


652
1988

ISSN 0134 3459

የጥንታዊ የጥንታዊ
የጥንታዊ የጥንታዊ

የጥንታዊ የጥንታዊ

352.



1988 1

ქოჩოხი

გამოცემის

30-ე

წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მფლობელთა კავშირისა და ამავეს განყოფილების ორგანო

ვ ი ნ ბ ბ რ ს ი

მიმდინარეობს გარდაქმნა

იური თავდუშაძე — როგორ ვიძუ-
შავებთ ახლებურად? 3

კოეზია, პროზა

შოთა შოიძე — ახალი წიგნიდან
(ლექსები) 8

ლადო მარდანიძე — თბილისი მზეს-
უმზირა (მოთხრობა) 18

ლალა თოთაძე — ლექსები 27

ანზორ კუდბა — ბიჭი და კაცი
(მოთხრობა) 31

ჯემალ ქათამაძე — ჩემს ძმას
(ლექსი) 40

ჯეჯილი

ვასტანგ ახვლედიანი — ორი მო-
თხრობა 41

ლევან ანანიძე — ლექსები 46

1

1988

იანვარი

თებერვალი



გ ა თ უ მ ი

ახალი თარგმანები

ვიტაუტას რიპკიავიჩიუსი — სა-
ღილ-წყეულება (მოთხრობა, თა-
რგმნა გიორგი ხალუქვაძემ) 47

კავშირების მართვის საკითხები

იუნონა გოგია—იქ, ოკეანის გადაღმა 55

კომუნიკაციების უზრუნველყოფა

საზონ ცეცხლად — ნახევარი საუ-
კუნე პოლიგრაფიაში 61

კვლევის ნათესავი

რამაზ სურმანიძე — წერილები შა-
ვეთიდან 65

წიგნები

შურად ნავლეიშვილი — ბრძოლა
საბჭოთა სკოლისათვის აჭარაში 74
შურაბ კომახიძე — სადაც ბავშვობა
იწყება 80

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შოთა ქურიძე — შეიცან თავი შენი,
ანუ ღათა თუთაშხია როგორც
ჩასათი 81

იური პიბილეიშვილი — „ჩიტის
ბუდე“ 90
გასულ ორ თვეში 93

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონი

სარედაქციო კოლეგია:

ბერიკ ახვლედიანი,
გიორგი გაჩეჩილაძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია მარშანიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
შოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით სახუტაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 8-23-71

გადაცა წარმოებას 15.12.87, სელმო-
წერილი დასაბეჭდად 28.12.87, სავა-
რდებოლო თიხის 4,6, შეკეთის
№ 3304, ემ 00224, ქაღალდის ზომა
60X90¹/₁₆, ტირაჟი 5000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის გაყიდვის სა-
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, ლექსეზბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательства, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

მიმდინარეობს გარდაქმნა

იური თაყაიშვილი

როგორ ვიმუშავებთ ახლებურად?

რამდენიმე ინტერვიუ ერთსა და იმავე საკითხზე

18936

რადიკალური ეკონომიკური რეფორმის პროგრამით უახლოეს ორ-სამ წელში სამრეწველო საწარმოები მართვის ცენტრალიზებულ, საკოპანდო სისტემიდან უნდა გადავიდნენ დემოკრატიულ — უმთავრესად ეკონომიკურ მეთოდებზე, ცენტრალიზმისა და თვითმმართველობის ობტინალურად შესაძლებელ დამკვიდრებულ სისტემაზე. 1988 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა სახელმწიფო საწარმოს კანონი, რომელიც მკვეთრად აფართოებს შრომითი კოლექტივის დამოუკიდებლობას, საშუალებას აძლევს წარმატებით იმუშაოს მთლიანი სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში.

პირველი იანვრიდან აჭარის ასსრ რესპუბლიკის ოცდახუთმეტზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია გადავიდა თვითდაფინანსების მეთოდზე, ამ საწარმოებმა უნდა გამოეყენებინათ რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 60 პროცენტი და მოგება უნდა იყოს მათი საქმიანობის განმარტავადებული მაჩვენებელი.

როგორ იმუშავებენ ეს საწარმოები ახლებურად, როგორია პრობლემები, წინააღმდეგობანი, სიმწელები, და საერთოდ, როგორ გვესაზნებო თვითდაფინანსებაზე გადასვლის აუკარგი?

ახალი წლის წინა დღეებში ამ შეკითხვით წავიარეთ გარდაქმნის რამდენიმე მონაწილეს. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

ერთ დიდ ავტორიტეტულ თავყრილობაზე მათუმი გემთსაშენი ქარხნის ბრიგადირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პრეზსიონ დარსსლინამ თქვა, გარდაქმნაზე უფრო მეტს ვლამარაუბობ, ვიდრე ვაკეთებთ.


ეს ფრაზა განსაკუთრებით მენიშნა, დამამახსოვრდა და, შემთხვევა რომ მომეცა, ბატონ აურასიონს ვკვლი, კონკრეტულად რას გულისხმობ ნათქვამში მეოქი.

— რა თქმა უნდა, იმას არა, რომ არაფერი კეთდება, რომ არ გარდაქმნებით, რომ არ ეზრუნავთ წარმოების დაჩქარებაზე. პირადად მე ტემპით ვარ უკმაყოფილო და ამის მთავარ მიზეზად ის მიმაჩნია, რომ საერთო საქმეში კოლექტივის ყველა წევრი ერთნაირად არ მონაწილეობს, უფროსებსაც ეძება ეს და რიგითებსაც.

ჩვენი ქარხნის მაგალითზე ვიტყვი. გარდაქმნისა და დაჩქარების გზაზე ერთი დიდმაშვენელოვანი მიმართულებაა ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა. წინათ ერთ ცვლაში რომ ვმუშაობდით, ვერ ვახერხებდით პროდუქციის დამზადების გეგმის რიგმულად შესრულებას, არ გვყოფნიდა საწარმოო ფართობი, უნდა შეეცადო მანქანის ხავესპლატაციო ვადაში რაც შეიძლება მეტი პროდუქცია მიიღო მისგან.

და აი, პრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გეცავით ორ რგოლად. ერთი

თბილისი
სსრ კ. მარკსის
სსრ. სსრ. რესპუბ.



დილის ცვლაში მუშაობს, მეორე — საღამოსაში. რა თქმა უნდა, მონაცვლეობით
12 შეხადულებელი აპარატი გვაქვს. ერთ ცვლაში მუშაობის დროს, როგორც მანქანაში
ში, 18 გვერდებოდა ყოველდღიური პროგრამის შესრულებისათვის. ამასთან, აპარატე-
ბიც რომ გვექონოდა, ფართობი არ გვეყოფოდა. ძალიან სივრცოვან ჩვენს უბანზე.

ამას გარდა, აპარატები ყოველთვის დატვირთული იყო და საშუალება არ გვქონდა
ადგილზე მოგვეშვადებინა არგონული შედუღების ოსტატები. ქარხანას სწრაფად
ბიდან ჩამოაყვავდა შემადუღებლები და ყოველი მუშის შენახვა დღეში 35 მანეთი
უქდებოდა.

ორ ცვლაზე რომ გადავდივით, აპარატების დეფიციტი თავისთავად გაქრა, საშუა-
ლება მოგვეცა სპეციალისტები მოგვეშვადებინა და უარი ვთქვით მოწვეულ მუშაზეზე.

უკვე გითხარი, რომ საამქროში სივრცოვან, არგონის შედუღებას კი განსაკუ-
თრებული სისუფთავე სჭირდება. ასეთ რეჟიმს ვერ ვიცავთ და გაწამებული ვართ.
ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს საქმეს უშველიდა სამუშაოების ატეხაცა.

მოეწყო კიდეც, მაგრამ ფორმალურად. დაიწერა ქაღალდები, რომლებსაც საქმე
არ მოჰყოლია, მუშაობის პირობები არ გაუმჯობესებულა. ზამთრობით ცხელი წყალიც
არ გვაქვს, ხელი რომ დავიბანოთ.

ერთი სიტყვით, ამ საქმის პრაქტიკული მხარე არ დაგინახავს.

კიდეც მოვიტანე მაგალითები. შემოვიღეთ შრომის ანაზღაურების ახალი მეთო-
დები, მათ შორის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტიც, მაგრამ ეფექტი ნაკლებია,
რადგან ხშირად ხელი გვეშლება მუშაობაში დეტალების არარსებული მოწოდების გამო.

დამონტაჟდა ლითონის პლაზმური ჭრის დანადგარი. ათასობით მანეთი დაჯდა. ამ
ხანად ძალიან გავიზარეთ — დანადგარი მაღალმწარმოებლურია, ზუსტად ჭრის დეტა-
ლებს და გადავიღებდა შედუღების სისუხტეც. მაგრამ აყერ მესამე წელია დანადგარი
არ ამუშავებულა. კვლავ ხელით ჭრიან ფურცლებს, რაც საოცრად შრომატევადია.
სასურველი შედეგი არც პროგრამული ჩარხების დამონტაჟებამ გამოიღო. ძალიან
ხშირად დგას უწყვეტობის გამო.

ზევით უკვე ვთქვი და კვლავაც გაეიმეორებ, ისეთ დიდ საქმეში, როგორიც
გარდაქმნა და დაჩქარება, წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ მთელი კოლექტივი ერთი
მიზნით არ განიმსჭვალა და თუ მისი ყოველი წევრი ერთმანეთს აქტიურად არ ამოუ-
დგა მხარში. ამისათვის კი დარწმუნებაა საჭირო. უნდა ხედავდეს კაცი სიტუციას და
საქმის ერთიანობას, მოდა, თუ ისე დაკარგე ავტორიტეტი, როგორც სამუშაო ადგი-
ლების ატეხტაციის დროს დავემართა, აღარ დაგიჩერებს და აღარ გამოგყვება დიდ
საქმეში.

საწინააღმდეგო მაგალითის მოტანაც შემიძლია. გადავივიაროთ ახალ კორპუსებში:
ჩვენმა ხამინისტრომ განკარგულება გაცა, ერთბაშად უნდა გადახვიდეთ. კოლექტი-
ვი არ მოიწონეს ასეთი გადაწყვეტილება. უმჯობესია ეტაპობრივად გადავიდეთ,
მარგანაკადი შევქმნათ და მერე მოვხსნათ მანქანები. ამას მხარი დაუჭირა დირექ-
ციამ და პარტიურმა. შეიმუშავეს ეტაპების პროგრამა და საქმე ისე კეთდება,
რომ გვემის შესრულებას საფრთხე არ ემუქრება.

ასეთ დამოკიდებულებას რომ იგრძნობს კოლექტივის წევრი, მიიჩნევს, გარდაქ-
მნა და დაჩქარება ჩემი და შენი საქმეაო და საერთო საზრუნავს საკუთარ საზრუ-
ნავად გაიხდის. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი წელიდან. აკი
გადავივიაროთ მეურნეობის მართვის ახალ მეთოდზე — თვითდაუნიანსებაზე და ყო-
ველ საქმეს, ახლა წვრილმანად რომ შეიძლება მოგვეჩვენოს, გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა ენიჭება, რადგან მისი წარმატება მანეთით იქნება ანაზღაურებული.

ასეთივე პრობლემები აწუხებს ბათუმის მანქანათმშენი ქარხნის ხარატს, პარტი-
ის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრს პლაზმიმარ დოლიძეს.

— გარდაქმნას ფორმალში თუ არ მოვაშორეთ, — თქვა მან, — საქმე დაი-

ლუბება.

არც ისე იოლია ეს. რომ იტყვიან, სისხლსა და ხორცში გაქდა მოჩვენებითობა, ქაღალდებით, სხვადასხვა თაობაობებით წარმოჩენის განწყობილება, არადა, ოდითგანე თვგავისაქნად საქმეა მიჩნეული.

შრომის ანაზღაურებაში გათანაბრებას შევეცადეთ. ერთი უკეთესად მუშაობდეს, მეორე უარესად, ხელუხასა და პრემიებს კი ერთნაირად ღებულობდნენ, დიდი უხამართლობაა! ზოგი რამ გამოვასწორეთ. მაგრამ პრობლემა ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, სწორედ ამას უნდა მივხედოთ დიდმა და პატარამ, სხვანაირად მატერიალური დაინტერესების ბერკეტი ისე ვერ ამოქმედდება, როგორც საქმეა.

პარტიული ორგანიზაცია მეტად უნდა გაისაჩუქოს ადამიანთა შეგნების დონის ამაღლებისათვის, აღმინისტრაცია — დისციპლინის განმტკიცებისათვის. აქ ბევრი შეუძლიათ წარმოების საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს — სამაქროთა უფროსებს, ოსტატებს, მკვამევებს, ტექნოლოგებს, დისპეტჩერებს. თუ ამ რგოლში საქმის მცოდნე, ხაყუთარი თავის მომთხოვნი, მუშაკაცის ქირსა თუ ღბისზე დაფიქრებული ხელმძღვანელები გვეყოლება, საქმე უფრო მოიგებს. მე რომ მკითხოთ, ამ თანამდებობაზე უფრო გაბედულად დაეაწინაურებდი ინიციატივას, კეთილსინდისიერ ახალგაზრდებს, ვინც უკეთესად შეძლებს ადამიანების აღზრდას, კოლექტივის გაყოლიებას.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და წერენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე. ეს იმის ნოთხივანაა, რომ, რასაც ვამზადებთ, უმადლები დონისა უნდა იყოს, — ყველა დეტალი, მთლიანად პროდუქცია. ამისათვის ყოველ სამუშაო ადგილზე უნდა გვქონდეს მტკიცე დისციპლინა, შრომის სწორი ორგანიზაცია. ეს ხურვილად რჩება ზოგჯერ, მაგალითად, ჩვენს საწარმოში — რიცხობრივი პროგრამული მართვის დაზგების უბანზე, რაც დაუყოვნებლად მისახდია.

შრომისა და უფაცხოვრების პირობებიც არა გვაქვს დღევანდელიობის მოთხოვნათა შესაბამისი. რატომღაც ლაპარაკი უფრო მეტი გამოგვდის, ვიდრე საქმე. არადა, ეს საკითხი სულ სხვაგვარად დგას ახლა და მოქმედებაც სხვაგვარია საქმეა.


ერთი დიდი საჩუკე, რომელშიც ობიექტურად აისახება საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის ავ-კარგი — სახელმწიფო ბანკია. ბუნებრივია, ბანკიც აქტიურად მონაწილეობს მეურნეობის მართვის გარდაქმნაში და სიახლის შემოღება მასაც ათან ახალ პრობლემას უსახავს.

აი, რა თქვა ამის თაობაზე სსრ კავშირის სამრეწველო-სამშენებლო ბანკის აჭარის სამმართველოს უფროსმა იოსებ ბაბანიძემ:

ზოგადი დადებითი ტენდენცია, რომელიც ამ უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება რესპუბლიკის მშენებლობაში და მთლიანად სახალხო მეურნეობაში, უმთავრესად მიღწეულია საორგანიზაციო-ეკონომიკური ფაქტორების მობილიზაციით. ვერ მოვასერხეთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის — განვითარების ამ გადაწყვეტი ფაქტორის ამოქმედება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ აქამდე მოქმედი სამეურნეო მექანიზმი არ წაახლისებდა საწარმოებსა და ორგანიზაციებს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებისათვის. მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე გადასვლამ უნდა შეცვალოს მდგომარეობა.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის აუცილებელია ბანკის მხარდაჭერა და დახმარება, დროებითი ფინანსური შეფერხებების დროს საწარმოებისათვის კრედიტის გამოყოფა.

1987 წელს გაკეთებულ კრედიტებს თუ შევადარებთ იმას, რომ სამშენებლო ორგანიზაციებში ბანკის მცირეგვლიანი სესხის ხაერთო დაფალიანება შემცირდა, მაშინ, როცა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა იზრდებოდა, უნდა ვთქვათ,



რომ საკრედიტო ურთიერთობათა განვითარებაში დიდი როლი უკავია მხოლოდ პარამონტარს.
მაგრამ მაინც ზოგიერთი მოგონება ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა საბარუნავი ხარისხების უქონლობის გამო კვლავ არადაკმაყოფილებელია.

საწარმოთა ანგარიშებზე მუშაობის პირობებში კრედიტის ფორმები უფრო მრავალფეროვანი უნდა გახდეს. კრედიტი არ უნდა გავრცნათ იმ ობიექტებზე, სადაც მუშაობა შეუძლებელია საკუთარი საბარუნავი ხარისხებით.

შენიშნულია სამრეწველო-სამშენებლო ბანკი კისრულობს, პარტნიორების თანხმობით, კრედიტორის სახით მონაწილეობა მიიღოს საწარმოთა რეკონსტრუქციასა და გაუმჯობესებაში. სხვა დონისძიებების განხორციელებაში, რომლებსაც სწრაფი თვითმომგები ექნებათ. ჩვენი ვფიქრობთ, თავდაპირველად მონაწილეობას მივიღებთ ბათუმის გზა ექნებათ. ჩვენი ვფიქრობთ, თავდაპირველად მონაწილეობას მივიღებთ ბათუმის გზა ექნებათ. ჩვენი ვფიქრობთ, თავდაპირველად მონაწილეობას მივიღებთ ბათუმის გზა ექნებათ. ჩვენი ვფიქრობთ, თავდაპირველად მონაწილეობას მივიღებთ ბათუმის გზა ექნებათ.

ამაში ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში არ არის შემოღებული ზუსტად განსაზღვრული გეგმა. იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა და საწარმო-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც სარგებლობენ ბანკის დიდი და ხანგრძლივი თუ მცირეგადახადებით, მუშაობის მართვის ახალ პირობებში, ჩვენი შეხედულებით, მხოლოდ წინასწარი საფინანსო-საკრედიტო გეგმის შედგენა, რომელშიც სხვა მაჩვენებლებთან ერთად უნდა აისახოს როგორც მიღებული კრედიტების დაფარვის წყაროები, ისე მათი ხარვეზი მოთხოვნილებაც.

საინტერესო პირობებში დააყენა საუბარში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის აქარის რესპუბლიკური კანტარის მართვებში ალექსანდრე ზემოშვილი.
აქამდე არსებული საბანკო სისტემა რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ჩვენი მუშაობა იმდენად იყო რეგლამენტირებული უამრავი ინსტრუქციით, რომ საშუალება აღარ გვქონდა გვემუშავა შემოქმედებითად და გამოგვეჩინა საკუთარი ინიციატივა. ყველაფერს ვაკეთებდით „ზედადან“ მიღებული მითითებით.

ახლა მოგვცა საშუალება სახსრებითა და კრედიტებით უკეთესად დაგეგმაროთ გარდემანს. მაგრამ ჭერჯერობით გვაქვს კადრების პირობები. უმაღლესი სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებით, დაბალია ამ სპეციალისტების დაინტერესება აღრიცხვისა და ანგარიშის ხფეროში მუშაობით, რატომღაც ახალგაზრდებს შორის ბულაბუღის საბუნაო ნაკლებობის გამოდგება.

შემცირდა სახსრების ბრუნვა. დამკვიდრდა საკუთარი საბარუნავი სახსრების იმობილიზაცია, წმინდა გაუმართლებელი სარგებო, რომლებიც გათვალისწინებული არაა გეგმიური დონისძიებებით.

თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდა, წელს ანგარიშებზე მომუშავე საწარმოები ფინანსური ხიშტილების წინაშე აღმოჩნდებიან.

საქართველოს სახელგანთავსო სახალხო უკვე მუშაობს მთლიანი სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში. ამ კოლექტივში საქმი კარგად მიდის, მაგრამ არის პირობები.

— სამეურნეო საქმიანობის საფუძველში, — თქვა სახალხო უფროსის მოადგილემ ეკონომიკის დარგში რამზა ონიშვილმა. — როგორც ცნობილია, „ჩაღებულია“ მოგება — საბოლოო განმარტებული მაჩვენებელი, მთავარი წყარო, რომელშიც უნ-

და უზრუნველყოფის როგორც კოლექტივის სოციალური განვითარება, ისე საწარმოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევითა დაწერგვა.

სანაოსნო განვლილ 10 თვეში მოგების გეგმას გადაამტკიცა 17 მილიონი მანქანის რაოდენობის 16,5 პროცენტის შეადგენს და რამაც საშუალება მოგვცა სტიმულირების ფონდში დამატებით ჩავეყრიდნა 4,845 ათასი მანეთი, უზრუნველგვეყო სანაოსნოსა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუხარი ფინანსური მდგომარეობა.

თითქმისდა ცუდად არ არის საქმე, მაგრამ საქარა აღინიშნოს, რომ მიღებული მოგებიდან სანაოსნოს რჩება მხოლოდ 12,8 პროცენტი, მაშინ, როცა მანქანათმშენებლობის დარგში ეს მაჩვენებელი 60-მე პროცენტით განსაზღვრება.

ახეთი მცირე ნორმატივით ძნელია იფიქრო წარმოების მართვის ბერკეტების ეფექტიანობაზე. ამასი სოციალური უთანასწორობის ელემენტებსაც ვხედავთ. თუ დიდ სახსრები დაუსაბუთებლად ჩაირიცხება სახელმწიფო ან დარგობრივ ბიუჯეტში, ზოგერთ საწარმოს საშუალება მიეცემა საკუთარი მაჩვენებლები გაეუმჯობესოს არა ჩაკუთარი, არამედ სხვისი შრომით.

თვითდაფინანსება გვაძლევს უპირატესობას, გაფითადისწინათ საკუთარი წყარო. ეს საკუთარი სახსრების მიღებისა, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ წარმოების კვადაღებულირვისათვის, სოციალური განვითარებისათვის, მაღალწარმოებლური ეფექტური შრომის წახალისებისათვის. ეს იქნება ყოველი კოლექტივის მუდმივი განვითარების გარანტია.

სწორედ ამის წყალობით ჩვენ შეგძლიათ სახელმწიფო კაპიტალურა დაბანდების გარეშე გავვესაზღვრონ ჩვენი ფლოტი.

მიგაჩნია, რომ შეგვეგვიანო მოგება მთლიანად უნდა დარჩეს სანაოსნოს განკარგულებაში და არ განაწილდეს როგორც ნორმატივების მიხედვით გეგმიური მოგება. უნდა ვინაგარიშოთ ისიც, რომ ფინანსური სახსრების ნაკლებობა არაოულებს სანაოსნოს და მისი საწარმოების სოციალურ პრობლემებს. ამჟამად საბინაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვს ათასნუთასი კაცი, ანუ სანაოსნოს ყოველი მეოთხე მუშაკი. ბინით დაუმკაფიოებლობა ხელს უწყობს კადრების დენადობას და სხვა ნეგატიური მოვლენების მიწეწი ხდება სოციალური სფეროში.

1987 წლის მიწურულს საქართველოს კომპარტიის აქარის საოლქო კომიტეტში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, იგი მიეძღვნა იმ ამოცანების განხილვას, რომლებიც სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უახლოეს ხანში უნდა გადაიდრას, სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის ნორმალიზაციისა და მთლიანი სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში გაერთიანებათა და საწარმოთა მუხარი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის.

რეკომენდაციებში, რომელიც ამ კონფერენციამ მიიღო, ნათქვამია, რომ აუცილებელია რადიკალური ღონისძიებების განხორციელება. სხვაგვარად ეს საწარმოები ვერ შეძლებენ ახლებურად მუშაობას. მაქსიმალურად უნდა ამოღდეს მომჭირნეობის რეზერვები და ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყოველმა მშრომელმა. განსაკუთრებული აქტიურობა მართებთ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს. ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ საფინანსო-სამეურნეო მაჩვენებლების გაჯანსაღება კეთილად იმპლმედებს სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე.



ახალი წიგნიდან

მ უ ზ ა

გული შენია და შენი ტყეუა,
შენი კალთა და შენი კეკრი,
მძლავრი ხარ, როგორც ღულაში ტყვია,
საქსე ხარ, როგორც მარანში ქვევრი.
მძლავრი ხარ, როგორც ქისაში ოქრო,
ფიცხი ხარ, როგორც ვაზნაში დენთი,
გაღმა ხევიდან მოწყდილი ექო.
ჩემი უფალი და ჩემი ღმერთი.

ქომაღილი სიცილი

ვერ ვეგუებო ჰომერულ სიცილს,
ნეტავი კიდეც როდემდე გასტანს?
გაიღო კარი და აი ისიც,
კვლავ ჰომერული სიცილა გასკდა.
არაფერი მაქვს საერთო მასთან,
ზოგა სიცილი მხოლოდ ფონია,
ო, ეს ხარზარი როდემდე გასტანს,
არარაობის ცერემონია.
რომ მქონდეს ახლა ღმერთიდან ვიზა,
ჩაუერაზავდი კარებს და ფანჯრებს,
მაგრამ მე ახლა კერაფერს ვიზან,
მას აქვს უფლება იცინოს მარჯვედ.
მას ვერ მოუშლი სიცილს და ხარზარს,
ღმერთი ღმერთია და შენ იცი, რომ
შენ კაცი ხარ და შენ ღმერთი არ ხარ,
შენ კაცი ხარ და უნდა იტყვი.
მხოლოდ ღმერთებმა უნდა იცინონ,
თორემ წაგედევას ყველას სიცივე,
მეც კაცი ვარ და კარგად ვიცი, რომ
ცაში ღმერთებმა უნდა იცინონ.



კარ კვლევი ჰომერულ სიცილს,
როდემდე გასტანს მათი სიცილი?!
გაიღო კარი და აი ისიც,
მაგრამ ვაი, რომ ვედარ იცინის.

წყალში უნდა ვიდგე

— წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკილია,—
ასე მღერის იეთიმ-გურჯის ჩანგი,
ქვეყანა და სოფელი დიდია,
მე სოფელში სულ პატარა ვჩასდი.
სოფლის გზაზე ჩრდილები მიდიან,
იმ ჩრდილებში მეც ჩრდილივით ვჩანდა,
— მე პატარა ვარ, სოფელი დიდია, —
მღერის ჩემი საცოდავი ჩანგი.
ამ სოფელზე მზე უფრო დიდია,
რა თქმა უნდა, მზე საღამოს ჩადის,
თუ ცხოვრება აქ ბეწვის ხიდია,
ბეწვის ხიდზე ჩემი ლანდიც დიდის.
სოფლის ახლოს პატარა ბორცვია,
ბორცვთან ახლოს დიდი სოფელია,
და იქ, სადაც ზღმარტლი და მოცეცია,
განისვენებს ქალი ოფელია.
ეს ქვეყანა წუთისოფელია,
მე კა ერთი სტუმარი ვარ მისი,
მარჯვნივ მიზის ჩემი ოფელია,
მარცხნივ მიქელ-გაბრიელი მიზის.
ოფელია თითქმის თმებს მვარცხნის,
ბეწვის ხიდი ჩაბიწვდება ვიდრე,
თუკი მიქელ-გაბრიელი მაილის,
ცეცხლიანი წყალში უნდა ვიდგე.

რატომ არ მოველ წემადა?

ვაჟა-ფშაველა.

მზე, ოქროს რაში უბელო,
ჩისლების თავზე ბრწყინავდა,

ცას მოეწვდი, როგორც ღრუბელი
და შენთან მოველ წვიმადა.
აღარ მოვაჭარ მას მკლავი,
სამარყდ მერგო შთაწმინდა.
ცას მოეწვდი, როგორც ვარსკვლავი,
და შენს თვალეში გავწვამდი.
და წვიმის კორიანტელი...
და ღრუბლებს იქით მნათობი...
ცას მოეწვდი, როგორც ფანტელი,
და შენს მინდორში გაეთოვდი.

. . .

ჩემი სიკვდილი შენ რას გიშველის,
ჩემი სიცოცხლე შენ რას მოგიტანს,
მივერგეები ჯოგს ფეხშიშველი,
რომ შენ მოგგვარო ერთი ჯოგიდან.
მომაჭიხენებს ღამე ვერაგი
და თავგანწირვა ისე დიდია,
რომ სისხლიანი ჩემი პერანგი
აღვაროზივით ზეზე ჰკიდია.

ატარის მთებში

თყურობს ისეთი ფარჩა აცვია,
დილით ისეთი მწვანე მოღია,
ნეტავი, ვიფო მწყემსი ქაცვია
და ბაღიკები ფეხით მოვლიო,
თითქოს ხასხასა აბრეშუმია,
ზოგან მწვანე და ზოგან რუხია,
აქეთ თყურობი და ბეშუმია
და იქით გიდევ მთა ჩირუხია.
შეიფუფები პირუღლ აღიონს,
ფილტვებში ჰაერს ეივლებ აბებად,
გაიბოღებენ მთები ყალიონს
და მერე ნაზი შემოლამება
გამწვანო, როგორც ფერისცვალება,
რომ წუთისოფლის წყალი დალიონს,
აქ ვნახე მთების გარდაცვალება

და გაცოცხლება ისევ ალიონს.
აგერ გოდერძის უღელტეხილი
ბებერი, თანაც მაღალ-მაღალი,
ნაძვი, მეხისგან გადატეხილი,
და მესოქერების აყალ-მყალი.
ძაღლების ყყჟა, შამლის ყივილი,
თეთრი ცხენი და თეთრი „ქიგული“,
შუამთობა და ჟივილ-ზივილი
და სახამლამედ გამომიგნული
ცხვარი, ღობეზე ჩამოკიდული,
ყასაბი ხელში მჭრელი დანებით,
ცა აქვე, ახლოს და ციხ კიდური
და არწივების საბუდარები.
რომლებსაც თეთრი ნისლი აცვიათ,
თავზე ცა ქუდად ისე ახურავთ,
ნეტავი, ვიფო მწვემსი ქაცვია,
რომ სულ ვეფერო და ვემსახურო.
რომ ვნახო უამი ფერისცვალების
და მისი ცივი წყალი დავღაიო,
გოგურო მთების გარდაცვალებას
და გაცოცხლებას ისევ აღაიონს.

ა ზ ს ა ზ ე თ უ ი

მწვანე მიწა რად მაგონებს ფრესკებს,
მიწაა თუ ღვთისმშობელის ტაძარი?!
ნელა თარბა წამიგითხავს ღექსებს
და იწთება პოეზიის ხანძარი.
გამახსენე, გამახსენე, ღმერთო,
შენს სახელთან რიწა როგორ გავრისიშე,
მაღალ მთებში კოცონი რომ ენთო,
იმ კოცონმა ჩემი გულისც გამითბო.
ის კოცონი რიწა იყო მწვანე,
თითქოს ანგელოსის თვალი ბრიალებს,
ახლაც მისი ნაპერწკლები მწვანე
და წვეთები მიაშებენ იარებს.
მინდა შენთვის ანათოს და ენთოს,
ცა, რომელიც მაღლდება და ღიღდება,

აფხაზეთშიც მოანატრე, ღმერთო,
ჩემი ლექსი, ჩემი ავლადიდება.
გულისტქმა და ფიქრი შევკეროთო,
აქ დაღვრილა მთელი ქვეყნის ნიჭი.
აფხაზეთშიც შეაფარე, ღმერთო,
ერეი ვინმე აჭარელი ბიჭი.

* * *

მეტაფორების კორიანტელი,
— დღეს თუ ხვალ ყველა გარდავცქმნებით..
რომ ეიფოთ კიდეც ორიამდენი,
შერე რა, მაინც ცოტა ვიქნებით!..
მსურს ძველი რომის ვაკედეთ მეომრებს,
თავად გვიპოვის ჩვენი სათქმელი,
რომ არ დაშორდეს ერთიმეორეს
ჩვენი სიტყვა და ჩვენი საქმენი!

მ მ ლ

ჯარისკაცები მაღალ მუხებში
მიაგორებდნენ მძიმე ქვეშებებს,
გული შეიძრა ისე უხეშად,
თითქოს საკუთარ საფლავს შეეხებ.
ვიგრძენი (ესეც თავისთავად მოდის),
გარდავდი მაღალ, იმედს და რწმენას,
მძიმე ღოფილა საფლავის ლოდი,
რომლის ქვეშ დიდი ხანია ვწევარ.
გული შეიძრა ისე უხეშად,
თითქოს საკუთარ საფლავს შეეხებ,
ჯარისკაცები მაღალ მუხებში
მიაგორებდნენ მძიმე ქვეშებებს.

განხეთქილების ვაშლი

მე არ ვყოფილვარ არავის ვაღში,
პირიქით, ჩემგან იღებენ ვალებს.
განხეთქილების დაგორავს ვაშლი,
და აბრიალებს თემიდა თვალებს.

რომელიც ზურავს ფარდებს და ფანჯრებს,
რომელიც კეტავს სასახლის კარებს,
გადაიწერე პირვეარი სამჯერ
და გაიხედე ფანჯრიდან გარეთ.

შ პ რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა

ბილიკი განაზდა დაბინდულ ბულვარში,
ლაბინდულ ბულვარში ბილიკი განაზდა,
ყანაში სიძინდისა დაისხა უღვაში,
მტევანმა თვალი შეირთო ანაზდად.
ტყვიდან წოროსწავის მოუხანს წყვილები,
აქვე იღრინება მსუნავი აფთარი,
მაღლე დაიწყება ნოემბრის წვიმები,
რაც იმას ნიშნავს, რომ ახლოა ზამთარი.

ბევრი გავიდა უკვე მოდიდან,
უბრალოება დიდი ნიჭია,
რა ვუყოთ მერე, ცივი ლოდიდან
მარგალიტი არ გამოიმჭრია.
თუგანდ ვარსკვლავი კრიფონ მგოსნებმა,
მეშვიდე ცაზე მოციმციმეთი,
ჰე მახლავს ჩემი პატიოსნება
და კადეკ ერთი რამის იმედი.

მოგონებების უზმო მდინარეს
მიქონდა ჩემი მსუბუქი ფიქრი,
და გაუღვიძე უცნებ მძინარემ
ურარტუს მთებს და ქვაბების იქით.
რწმენისთვის ახლა ისიც მეყოფა,
რადგანაც ღმერთი სარწმუნოდ ვაქე
და ვიგრძენ ჩემში ორი ებოქა —
ქრისტეს შობამდე და ქრისტეს აქეთ.
და რადგან ერთხელ ვიწამე ღმერთი,
და სამუდამოდ ვიწამე დედა...
სამაგიეროდ მომიკვდა ერთი —
სიკვდილის შიში და მისი ელდა.

მე ვარ მდინარე. ჩემი სხეული
შენს კალაპოტში ისე იღვრება,
როგორც მზე, ცაზე ჩამოსხეული
და დაკარგული კაცის სიმდერა.
ნაპირი ისე მიჭერს არტახებს,
რომ ტკივილამდე შენი მორჩილი
მე სული ჩემი გაგაპარტახე
და შენი სულა გადავარჩინე.
ამიტომ აღარ მეუცხოება
წუთი, რომელიც ისე სწრაფია,
რომ ვერ დაეწერე ჩემი ცხოვრება
და ჩემი სულის ბიოგრაფია.

საქმე კაცისა და ღმერთის
შუაშეა გაყოფილი,
და არ ვიცი, ერთმანეთის
თუ არიან კმაყოფილი.
ვეელამ ვიცი, ვინ ვის აქებს,
ვეელამ, რადგან ერთმა იცის,
კაცმა იცის ღმერთის საქმე,
კაცის საქმე ღმერთმა იცის.
ღმერთი კეთილი და მკაცრი,
კაცს თავს როგორ გაუყადრებს
ღმერთს რომ არ უყვარდეს კაცი,
კაცს რომ ღმერთი არ უყვარდეს.

ნეტავი პანოდინა

რამის სსონას

უკან არ დაბრუნდება გადაღმული ნაბიჯი,
გეშინ დაესაფლავეთ, რომ იცოდეთ, რა ბიჭი!
წუთისოფლის ზღაპრიდან, მძობლიური აფრიდან,
ის მიწას მივაბარეთ, სული ცაში გაფრინდა.
მერცხალივით გაფრინდა (არ გვინდოდა გაშვება)
ჩვენ კი აქ ვიხარებთ ჯოჯოხეთის ქვაბებში,
მისი სული ცაშია, ამიტომაც ცა მიყვარს,
მაღლე ჩამოფრინდება და მეც ცაში წამიყვანს.
ნეტავი პანოდინა ის წამი და წუთიო,
მანამდე კი სიცოცხლეს დამე უნდა ეუთოი.

მე იგი ვიწამე რა ხანია
და ლოცვასავით ვიცი,
შამილის ციხესავით მაღალია.
ერეკლეს ხმალივით მტკიცე.
გაზაფხულივით ახალია,
ურარტუსავით ძველი,
სიცოცხლე მისით მიხარია
და სასწაულებს ეელი.

1.

არ მიცხოვრია არასდროს მონათმფლობელურ რომში,
მაგრამ მეც ვმოსაწილებ თავესუფლების ორში.
აჯანყებული მონების გვერდით კიბრძოლი მუდამ,
მათი ჯვარცმული ცხოვრება არ მშორდებოდა გუელთან.

2.

ვიდრე ძალ-ღონე მეყოფა, აღარ გამწირაეს უფალი.
ჯობს მონობაში მეფობას სიკედილი თავისუფალი,
არცა კვერთხით და გონებით, არცა რამ რისი ქონებით,
ვათაფისუფლე მონები მუხლწაუხრელი ომებით.

3.

მოვიღივარ ძველი ომიდან, სპარტაკის დეციონიდან,
ახლა სულ სხვა დრო მოვიდა, იმ ქრისტესშობის დროიდან,
გულს სევდა გადამეყვარა, წემო მითო და ზღაპარი,
როლის იქნება ქვეყანა თავისუფალი სამყარო?!

ზამთრის ღამე

ძინავს სოფელს, ძინავს ქალაქს,
ძინავს ნოქალაქევს,
ძინავს პოეტს, ძინავს ღალაქს,
და არავენ აქებს
ქალებს, როგორც მინანქარებს,
ანდა მინანქრიანს,
სხვათა შორის, ძინავთ ქალებს
და სიზმრებში ქრიან.
ძინავთ ქალებს, მინანქარებს, —
უქმროსა და კმრიანს...
ცა მთევარეს შორს მიაქანებს
და ქარები ქრიან.
ქალაქია ქარიანი,
ღვიძავთ ქარს და მთევარეს,
რომ არ ძინავს, ღამე არი,
სულ ჩვენ გვითვალთვალებს,

ძინავს სოფელს, ძინავს ქალაქს,
ძინავს ნარიყალას,
ძინავს პოეტს, ძინავს ქალაქს,
მაგრამ დაიღალა
ქარი... და შლის მოგარის ლაქებს
და შორს მილაქლაქებს.
ძინავს რუსთავს, ძინავს ბათუმს,
ძინავს ღამეს ქართულს,
ძინავს პოეტს, ძინავს დაღაქს,
ძინავს თბილისქალაქს.

გიგლიის გოტივი

საით გაფრინდნენ ანგელოსები?...
ცალ მზარზე მაზის ჭინკა ვერავი,
ვარ გაყიდული, როგორც იოსები
და სისხლში ცურავს ჩემი პერანგი.
სამოთხეს ჩემსას დღე და მოსწრება
კვლავ ქერუბიმი უდგას დარაჯად,
გაყიდული ვარ, როგორც იოსები
და გამომხსნელი არსად არა ჩანს.

სად წავიდა ძველი სიხალისე,
სად წავიდნენ საცოდავი მტრები?!
გაზაფხული მენატრება ისევ,
მე გაზაფხულს აღარ ვენატრები.
სექტემბრის ცა გადაიყრის ნისლეbs,
კვლავ მიხმობენ ჩემი თეთრი მთები,
მე სიცოცხლე მენატრება ისევ,
ჩემს სიცოცხლეს აღარ ვენატრები.
მოლოდინი თავისთავად კვდება,
მე სისხლისგან ვიცლები და ვერები
სიყვარული ისევ მენატრება,
ჩემს სიყვარულს აღარ ვენატრები.
შორი გზა მაქვს და მაინც აქ ვრჩები,
სად არიან საცოდავი მტრები?
მენატრება მონატრება ჩემი,
მონატრებას აღარ ვენატრები.

ხიტყვას რითმა როგორ ეაბუნინო,
აღარ უერავს ძველი პიანინო,
ნეტავი არ დამეღია ღვინო
და მერე არ დაგერეკა, ნინო.
ვერ გავიგე ხვითთა თუ ჯადო,
სად ექმებო ჩემი ელდორადო?!
მოლოდინმა სანამდელი დადო,
იგვიანებს გაზაფხული რატომ?!
რატომ? ვიცი, პასუხია ერთი,
მხოლოდ მე და მხოლოდ ჩემი ღმერთი,
ქელი როგორ მოიხარე, გმირო,
ნეტავი არ დამეღია ღვინო.
ნეტავი არ ყოფილიყავ ბავშვი,
ნეტავი არ დაგერეკა მაშინ,
ნეტავი არ გამომეცნე ხმაში
და ღვინო არ დამეღია მაშინ.
მაშინ, დიას, მაგრამ რაღა ახლა,
მე ჩემი და შენ შენი გზით წახვალ,
ნეტავი არ დამეღია ღვინო,
ნეტავი არ დაგერეკა, ნინო.

ჭადრის ფოთლებს ათამაშებს ქარი,
ოქტომბერი ქორწილს იხდის ვერცხლას,
შემოდგომამ გამოადლო კარი
და ნეკერჩხლებს გაუჩინა ცეცხლი.
დაბინდულა ბულგარი თუ ქურა,
ბეიენებსაც მდუმარება მართავს,
გლეხმა ღვინო ქვევრში მოაყურა,
სტუმარივით ელოდება ზამთარს.



მწერის მეუსუფიძე

გარდაცვალა ბაბუა ხარდიონი. მის შვილიშვილს გურამს ეს ამბავი არ გაჰკვირვებია. უფრო ის აოცებდა, რომ მოხუცმა აქამდე იცოცხლა. ვე-
ლას დიდი ხნის გარდაცვლილი ევონა და მისი არსებობა აღარავის ახსოვ-
და.

რა გაეწყობა — ღაგრძალვაზე უნდა წახვიდე, დაადგე ოღროზოდრო
გზას, „ეოლვაც“ რომ ვერ გაივლის. ზუსტი კილომეტრა უვსით უნდა გზი-
რო. მერედა, კინ დიდის ახლა ფეხით!

გურამის მეუღლემ ლამიარამ, თავით ფეხებამდე ურბანიზებულმა ქა-
მა, სასტიკი უარი განაცხადა — არ წავალ.

— რა საჭიროა ამისმორე გზაზე ჩანჩალი, ბერიკაცს უჩვენოდაც და
მარხავენ. რისთვის გაეწვადდე — მე ხომ იგი თვალთაც არ მინახვს.

არც გურამს მისუწევდა გული მაინცდამაინც, მაგრამ ვერ კიდეე შერ-
ჩენოდა წათესაური გრძნობა. სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და ცოლს უსაყვე-
დურა: — არ გეკადრება, ლამარა, ბაბუა ხარდიონს ჩვენლა დავრწით,
უთვისტომოდ როგორ უნდა ღაგრძალონ? თბოლი ხომ არ ავო...

— თბლად მხოლოდ ბავშვები რჩებიან და არა მოხუცები, — მკვახედ
მიუვო ლამარამ.

— მით უფრო სამწუხაროა, როცა მოხუცი დარჩება თბლად...

ლამარამ თვალეები გადაატრიალა.

— როგორ ამიწუეე გული!.. თბოლი მოხუცი, თბოლი მიცვალებული...

— ხმა ჩაიწყვიტე! — დაუვეირა გურამმა და მაგიდაზე ხელი დაჰკრა.

ცოლისათვის არასოდეს დაუვეირია, მაგრამ ახლა ვეღარ მოითმინა.
ცოლა რომ დაცხრა, უთხრა:

— შენ ჭკვიანი და გულისხმიერა ქალი ხარ. პოეზია გიყვარს. არ შეგ-
შვენიის ასეთი გულციკობა და... სისასტიკე.

— პო, ჭკვიანი ქალი ვარ და სწორედ ამიტომ არ მინდა ებრალო რა-
მეზე თავი გავეჯახირო. პოეზია კი არაფერ შუაშია.



გურამმა ფანჯარა გამოაღო. ოთახში გრილი ქარი შემოიფარა.

იგი დიდხანს იდგა ფანჯარასთან ცოლისაკენ ზურგშეკცნულად.

დედ წყნარად თქვა:

— კარგი! მე და ღათო წავალთ.

— ღათო რად მიგვავს? ათი წლის ბიჭუნას ეს სრულიად არ ეპრიანება.

— რას ბჭვია, ეპრიანება თუ არ ეპრიანება? ჩვენ სომ დაკრძალვებზე მივდივართ და არა კარნავალზე. დიანაც წამომგვება, რადგან მის პარლემენტში წინაპრის სისხლი ჩქეფს და უნდა მოიზადოს კიდევ უკანასკნელი ვალი მიტვალბულის წინაშე.

— რა მწიგნობარიცაა მელაპარაკები?

— სწორედ წიგნებშია ისეთი. სიტყვები, რომლებსაც გვირდს ვერ აუვლია.

დიდხანს დიობდნენ.

მერე ლამარამ უცებ უთხრა:

— რომ წამოვიდე, რა ჩავეცვა? არც ერთი შაფი კაბა არა მაქვს.

გურამმა ჩადვლიახად ჩაიცინა.

— გადაღებე შენი წითელი კაბა.

— რა დროს გადაღებია? დეიდა თინა მაახოვებს, იგი ხომ ქმარზეა ძვლივიარე. ცოტათი დაფამოკლებ და წელშიაც გამოვავლებ.

— ოღონდ ძალიან ნუ დაამოკლებ, სოფლელებმა რომ არ დაგვძრახონ.

ლამარამ ჩაიცინა და ოთახიდან გავიდა.

უზა არც ისე გაუვალი აღმოჩნდა. სამსინებელი ვაგონით ჩავიდნენ პატარა ბაქანზე. იქ კი სოფლისაკენ მიმავალი „ნივა“ შემოხვდათ და ლამარას საწეწუნო აღარაფერი ბქონდა.

...აი ბაბუა სარდიონის სახლიც — სახურავშეღახული ძველი ხის ქონი. გზაში რამდენიმე ხნიერი მამაკაცი და ქალი იდგა. ეტყობოდა, ახლახან დაბრუნდნენ სამუშაოდან. ერთი მოხუცი მათ გამოეყო, გურამთან მივიდა, მიესალმა და უთხრა:

— გამარჯობა, ბატონო გურამ! ყველანი ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას.

გურამმა მოხუცს ხელი ჩამოართვა.

— რა თქმა უნდა, არ გახსოვართ, — განაგრძო ბერიკაცმა, — სანდრო ბქვია. სარდიონის მეზობელი ვარ. დეპემა მე გამოვავხანეთ.

— გმადლობთ! — უთხრა გურამმა.

— კარგია, რომ ჩამოხვედით, — თქვა მოხუცმა და ცოტა ხნის მერე დაუმატა, — თქვენს ჩამოსვლამდე ყველაფერი მოვაგვარეთ.

გურამი ცოლ-შვილით სახლში შევიდა.

ცარიელ შუა ოთახში ძველფარდაგაფარებულ ტახტზე ფეხები
მიცვალეხელის თავთან ძველებურ სპილენძის შანდალში სასთელი ენით.

გურამს დიდი ხანია არ ენახა თავისი ბაბუა და ცოცხალიც რომ შეხვედროდა, ვერც კი იცნობდა. კუბოში იწვა ჭადარაწვერიანი ბელატი მონხუცი. სახე ისე გამხდარა ჰქონდა, თითქოს შიშველ თავის ქალას მონაცრისფერო-მოყვითალო ტყავი გადააგრესო.

— „რამდენი წლისა იქნებოდა? — გაიფიქრა გურამმა. — ალბათ, ოთხ-მოდდაათისა, იქნებ მეტიცაც...“

მიცვალეხელს თეთრი ჩოხა ეცვა.

გვერდით მდგარმა ხანდრომ გურამს უჩურჩულა:

— სარდიონმა დაიბარა, თეთრი ჩოხით დამკრძალოთ, ქორწილის დღეს რომ მეცვაო. მას შემდეგ ის ჩოხა ერახელაც არ ჩაუცვამს.

— რამ მოკლა? — ჰკითხა გურამმა.

— გული გადაეღალა. — უპასუხა ხანდრომ.

გურამმა ლამარას შეხედა. დიდი შავმინიანი სათვალე ეკეთა. არ უნდოდა გულგრილი გამომეტყველება დაენახა ვინმეს. გლეხებს კი ეგონათ, შავი სათვალე გლოვის ნიშანიაო და მოწონებით შესცქეროდნენ.

ოთხმა კაცმა ასწია კუბო და სამგლოვიარო პროცესია სასაფლაოსაკენ გაემართა.

ახალგათხრილ საფლავთან, კუბოსთან მდგარი გურამი ფაქრობდა: „მგონია, წესით მიცვალეხელს უნდა ვაკოცო... ვაკოცო თუ არა? ეს არც ისე სასიამოვნოა“... აღარც კი ახსოვს, უკანასკნელად როდის აკოცა ცოცხალ ბაბუას.

ხალხი მოლოდინით შესცქეროდა. უნდა აკოცოს.

დაიხარა და აკოცა ცივ შუბლზე. ლამარა და დათო ცაზე აშლილ ღრუბლებს შეჰყურებდნენ.

ორი მოხუცი ქალი დასტიროდა კუბოს. ალბათ, ახსოვდათ, როგორ დააჭენებდა ცხენს სარდიონი.

ბაბუას რომ ეთხოვებოდა, გურამს ნათლად მიაგონდა სოფლიდან გამგზავრების დღე. რა დრო გასულა მას შემდეგ!

— ხომ დაბრუნდები, გურამ? — ჰკითხა ბაბუამ.

— აუცილებლად დაებრუნები. — უპასუხა შვილიშვილმა.

— მინდა მოვესწრო შენს დაბრუნებას.

ვერ მოესწრო...

როცა კუბოს მიწას აყრიდნენ, ერთი პეშვი მიწა გურამმაც მიაყარა. წარბი შეიკრა და ლამარას გადახედა. იგი დაიხარა, საში თითოთ დასწვდა მიწას და შეაბრუნა წესი. რომლის აზრი არც კი ესმოდა. შემდეგ ჩანათიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გულდასმით გაიწმინდა თითები.

გზოში, სარდონის დაცარიელებული ქოხის წინ, მეზობლებს ქელ-
ხის სუფრა გაეშალათ.

სანდრომ ღვინით სავსე ჭიქა ასწია და წარმოთქვა მოკლე, მაგრამ
გულწრფელი სიტყვა. იმას გარდა, რასაც ასეთ ღროს ანობდნენ, მან თქვა:

— ეს ღვინო, ჩვენ რომ ახლა ვსვამთ, განსვენებული სარდონის და-
წურულია... აწი ვეღარ დაწურავს. ეს ხეები სარდონის დარგულია. ისინი
დიდხანს მთისხაშენ ნაყოფს... ჩვენი სოფლის განაპირას სამ მუხას შო-
რის წყაროა. ოდესღაც იგი კლდის ნაპრაღში იკარგებოდა, სარდონმა
კალაპოტში ჩააგდო და ღარი გაუკეთა, რომელზეც დაღლილი მგზავრი
წყურვილს იკლავს. დე, არასოდეს დაიწრითოს ეს წყარო!

მზე მთებს მიეფარა. საღგურში დაბრუნება გვიანი იყო.

— ჩვენთან გაათიეთ ღამე, — მიიპატიჟა სანდრომ, — ხვალ გაემგზავრე-
ბით. მანქანასაც მე გავმოცნიო.

გურამმა მაღლობა გადაუხადა, დათოს მოჰკიდა ხელი და ასე, რომ ღა-
მარასაივის არც კი უკითხავს, სანდროს წაჰყვა. ლამარას ერჩია, რაც
შეიძლება მაღლე გასცლოდა აქაურობას, მაგრამ გურამი და დათო უკვე მას-
პინდლის სახლში შევიდნენ და, რა გაეწყობოდა, ლამარაც შეჰყვა.

გვილაზე ადრე გურამს გაეღვიძა. მამლის ომანისნმა ყივილმა გაძოღ-
ვიძა. დიდი ხანია არ გაუგონია მამლის ყივილი და თვალი რომ გაახილა,
გაეღიმა — უმაღ მთაგონდა ბავშვობა.

სწრაფად ადგა, ტანით ჩაიცვა და ჩუმად ჩავიდა ეზოში. ღრმად ჩაი-
სუნთქა დილის გრილი ჰაერი და მივიწყებულმა სიხარულმა უცებ აუსქრო-
ლა გული.

ღმერთო ჩემო! რა ლაღად ვსუნთქავ! ქალაქში ვერა ვგრძნობი ამას.
აქ კი სუნთქვაც კი გახარებს.

მზე მთაზე ჯერ კიდევ არ გადმოდგარიყო, მაგრამ წიბამოს უკვე მოჰ-
ყურნოდა ნათელი. გურამმა გადაწყვიტა ხეტიალი იმ ადგილებში, სადაც მი-
ნმა ბავშვობამ ჩაიარა.


გვილაზე უფრო წისქვილისაკენ გაუწია გულმა. აქ ნახელობდა ბაბუა
სარდონის. გურამი ხალისით უფურებდა, თუ როგორ აჩხრიდებდა ბაბუა
სიმინდს, როგორ აბრუნებდა ფროებიან ბორბალს წყლის მძლავრი ნაკა-
დი. გატაცებით უსმენდა წყლის მხიარულ ჩხრიალს და დოლიბის ღრუჭუნს.
ზოგჯერ ეჩმარებოდა კიდევ, როცა ხეიმირში სიმინდი იყო ჩასაყრელი.
ბაბუა უძებდა ზოლმე ასეთ გულმოღვინებას.

საღა ის დღე? ნუთუ ვერ მიაგნებს?

გურამი ბარდებს მიიკვლევდა გზას. ეშეებოდა ხრამში, მიჰყვებოდა
ბილიკს. ყურს უდებდა, იქნებ წყლის ჩხრიალი გავიგონო.

ახსოვს, წისქვილი ტყის პირად იდგა. აი, ის ტყეც, ოღონდ ხეები

შეძენსრებულა, მოხშირებულა ხის გადანატრები. ტყე უმოწყალოდ გაუჩნდა-
ხიათ.



დღეა არც მაშინ იყო დიდი, ნაკადული უფრო ეოქმობდა, მაგრამ რა
ღონიერი იყო. რა დოღაბებს ატრიალებდა!

აი, სწორედ ეს არის ის დღე. ვაწრო, ქვიან სეობაში ოდნავ შესამჩ-
ნევად ტლაშუნებდა წყალი. გურამმა ფეხზე გაიხადა, შარვალი დოკამაწა
და დეღუშის შევიდა. მოაგონდა, რომ ოდესღაც აქ სოფლის ბიჭებთან ერ-
თად ბანაობდა.

იქ, ხალაც კალაპოტი უხვევს, სერს გადამა წისქვილი უნდა იდგეს.
გურამმა ნაბიჯს აუჩქარა. ეგერ რაღაც უცნაური ხეხულაა. ნუთუ წისქვი-
ლია? ნახევრად დაცხავებულ უკარო ფარდულს მიუახლოვდა. შიგ შეი-
ხედა. ცარიელია. და მაინც, ეს ოდესღაც წისქვილი იყო. აგერ ბორბლის
დამტყრეული ფრთები ყრია.

გურამი ლოდზე ჩამოჯდა. ეს ლოდი ხომ მაშინაც აქ იღო.

რა მოხდა? რად დაანგრიეს წისქვილი? ნუთუ აღარ სჭირდებო?

ბავშვობის მოგონებამ გული აუფორიაქა, გურამმა ლოდს ხელი გადა-
უსვა. კიდევ კარგი, რომ შენ მაინც გაღარჩა.

ის იყო უკან გაბრუნებას აპირებდა, რომ ნაბიჯები შემოესმა. ვიღაც
ბილიაკს მოუყვებოდა. გამოჩნდა ხანშიშესული გლეხი, რომელსაც მოთხი-
ლამურის კოსტიუმში ეცგა და ზურგზე ფიჩხის კონა ჰქონდა მოკიდებული.
ნოხუცი მოთხილამურე არ იყო, მაგრამ სოფლის მაღაზიაში ეს კოსტიუმი
მოათანეს და სოფელელებმა უცებ დაიტაცეს.

გურამი წამოდგა და მიესალმა, გაასხენდა, სოფელში უცნობებიც
ესალმებთან ერთმანეთს. ისე კი არაა, როგორც ქალაქში — მეზობლები უც-
ნობებივით ჩაუვლიან ხოლმე გვერდით ერთმანეთს.

გლეხმა ტვირთი ჩამოიხსნა და დასასვენებლად გურამთან ჩამოჯდა.

— მახსოვს, — თქვა გურამმა, — აქ ოდესღაც წისქვილი იყო.

— ჰო, მართალია. იმ წისქვილში სარდლიონი მუშაობდა, კაცური კაცი
იყო!

— რატომ გააუქმეს წისქვილი?

— ეივს უნდა? სოფლის მაღაზიაში ბურს ვყიდულობთ და თავი რას-
თვისლა შევიწუხოთ?

— სიმინდს აღარ თესავთ?

— არა, აღარ ეთესავთ. ეველგან ჩაი და მანდარინა გავაშენეთ. ახლა
საკარმიდანოზე თითო-ორიოლა თუ თესავს თავისთავის სიმინდს. მანდარინი
უფრო სარფიანია.

გურამს რატომღაც აღარ მოუნდა ამ საუბრის გაგრძელება. მოსაუბრეს
გამოეთხოვა და ჩქარი ნაბიჯით გასწია სოფლისაკენ.

გურამი ფიქრობდა: „სოფელში ადამიანები, ცხადია, უფრო უმჯობესნი არიან, მაგრამ აქაც შეიცვალა რაღაც...“

უდიდესი ერთსახოვან სახლებს რომ უყურებდა, გული წყდებოდა, — არქიტექტორი ვარ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სოფლად ერთი სახლიც არ დამიბრძოვებიაო. არადა, რა მშვენიერი სახლების ამენება შეიძლებოდა ამ მწკრივდ მთხასხასე სერებზე.

ის იყო, სანდროს სახლს მიუახლოვდა რომ ეილაც მოხუცმა შეაჩერა.

— გამარჯობა, — მიესალმა იგი.

— გაგიმარჯოს, — უბასუხა გურამმა.

— განსვენებული სარდიონის შვილიშვილი ბრძანდებით?

— დიახ.

მოხუცი შეიშოშინა, შეცბუნებულად დახარა თავი, თითქოს საჭირო სიტყვას ეძებო.

ბოლოს თქვა:

— აი, სარდიონი მოკვდა, მე კი ვალი ვერ დავუბრუნე. ასი მანეთი მასესხა. ფულს აგროვებდა სახლის დაცხვევებული სახურავის შესაკეთებლად. შეიღიშვილი გამიხდა ავად და ქალაქის საავადმყოფოში უნდა დამეწვინა. მაშინვე მომცა ფული, სახურავს მერე შეეკეთებო. აი, — ბერიკაცმა უბეში ჩაიფო სულს, დაკვიცილი ყოფილი ამოიღო და გურამს გაუწოდა.

— გამომართეთ, გეთაყვა, თქვენს მეტი მემკვიდრე სარდიონს არაყის დარჩა.

— არა, არა, როგორ გეკადრებათ! — წამოიმახა გურამმა და მოხუცს ხელი დაუჭირა. — თქვენ მოიხმარეთ.

მოხუცმა კუშტად შეხედა და მკაცრად უთხრა:

— ვინა გკონივართ? მე და სარდიონს პატიოსნად კვიცხოვრია და არასოდეს არავინ მოგვიტყუებია. როგორ მაკადრებათ! — შეწიფე ღიმილით დასძინა:

— საიქიოში რომ შეგხედები სარდიონს, როგორ ვუთხრა, ვალი საფულავეში ჩავიტანე — მეთქი. არა, ამას ვერ ვინამ, ამიტომ ვალს ვუბრუნებ მის შვილიშვილს.

მოხუცმა ძალით ჩაუღო გურამს ხელში ფული, სწრაფად შებრუნდა და წავიდა.

გურამი აღარ გამოედგენა ფულის დასაბრუნებლად. მიხვდა, რომ ეს უზარობა იყო.

მზე უკვე მთის წვერზე იდგა და ქვეყანას ცხოველყოფილი სხივები ბოუფინა — ცა იყო ღურჯი, ღრუბლები — თეთრი, თეთრი, მთები — პისტური, ხეები — მწვანე, ყაყაოები — ცეცხლისფერი...

„წუთისოფელი მშვენიერია, — ფიქრობდა გურამი, — ვერავის
დიდი ვერ დაამწუხრებს მას“.

ლამარა და დათო ეზოში ელოდნენ.

ლამარა კარგი სანახავი იყო. ალუბლისფერი „სალამანდრის“ ჩექმა
ეცვა. მხარზე „ადიდასის“ სპორტული ჩანთა ეკიდა (სპორტი არასოდეს
იზიდავდა, მაგრამ მის მოხდენილ ტანს მოღუერი ჩანთა უზღებოდა).

სანდრომ სტუმრები საუზმეზე მიიპატიჟა.

ფიქრებში ჩაფლული გურამი უხმოდ საუზმობდა. ლამარა სანდროს
ცოლს რაღაცაზე ენუწრულებოდა.

სუფრა დათომ გამოაცოცხლა. ჩურჩხელას რომ ღრღნიდა, იკითხა:

— რატომ ეცვა ბაბუა სარდიონს ჩოხა? ხალხური ცეკვის ასსამბლეაში
ცეკვავდა?

ლამარას კინაღამ წასკდა სიცილი, მაგრამ გურამის მკაცრ მხერავს
რომ წააწყდა, ჩაახველა, თითქოს ფინჯს გადსცდა.

გურამმა ბიჭს ხელი მხარზე დაადო და უთხრა:

— ერთ დროს ყველა ქართველი ჩოხას იცვამდა. როცა წამოიზრდები,
შენს წინაპრებზე ისეთ რამეს გაიფიქრებ, ჩვენს დროს რომ აღარ შემორჩა.

— აჰა, ინებეთ, — თქვა სანდრომ და გურამს სარდიონის სახლის გასა-
ღები გაუწოდა.

— რად მინდა გასაღები ან სახლი, — თქვა გურამმა, — სასოფლო საბ-
ჭოს გადაეცით.

ლამარა აწრიალდა.

— ერთი წუთით შევალ სახლში. დათოსთვის წამოვიღებ რამეს დიდი
პაპის სახსოვრად.

გურამი მოიდგუშა, მაგრამ ხელი ჩაიქნია.

ლამარამ სანდროს გასაღები გამოართვა და სარდიონის სახლისაკენ
გასწია.

გურამი, დათო და სანდრო ეზოში გავიდნენ. ღობიდან სარდიონის
შეატყობი კარმიდამო მოჩანდა. ერთ გოჯა ცარიელ მიწაზე ობოლი მზესუმ-
შირა ირსეოდა. მაღალ ღეროზე ოქროსფრად ეღვარებდა დიდი პარშვია-
თი ყვავილი, რომელსაც თვალს ვერ სწყვეტდა გურამი. „აი, ესაა დარჩა ამ
მზესუმშირად ბაბუა სარდიონს“. — გაიფიქრა მან.

— სარდიონს ძალიან უყვარდა მზესუმშირები, — თქვა სანდრომ. —
გასაქანტუნებლად კი არ თესავდა — სილამაზისათვის. უყურებდა, როგორ
აზრუნებდნენ თავს მზისაკენ. ერთხელ შევნიშნე, მზესუმშირებს ესაუბრებო-
და. ჰო, ჰო, რაღაცაზე ენუწრულებოდა, თითქოს პასუხს ელოდა... ახლა
ერთი მზესუმშირაღა დარჩა ობლად.

ლამარა სარდიონის სახლიდან რომ გამოვიდა, „ადიდასის“ ჩანთას
მწორებდა მხარზე. „დიდი პაპის სახსოვრად“ დათოსთვის ძველებური

საქონლის შანდალი წამოყდო, მცველებულის სასთუმალთან რომ იდგა.
— ერთი შეხედე, რა მშვენიერი მზესუმზირაა! — უთხრა გურამმა.
ლაშარამ შავი სათვალე მოიხსნა, უკეთ რომ შეეთვალიერებინა და

— გან გოგის მზესუმზირები უკეთესია. (ინტელექტუალების ეიწრო
პოსტიმპრესიონიზმის მცოდნის სახელი ჰქონდა დავარდნილი).

— ჰო, — ნაღვლიანი ღიმილით დაუდასტურა გურამმა, — გან გოგის
უკეთესია, მაგრამ ეს ნამდვილია.

ჭიკპართან მანქანა შესერდა. წასასვლელად მოემზადნენ
ვიდრე უფროსები თავიანთი საქმით აყვნენ გართული, დათო ღობეზე
კადავრა, მზესუმზირასთან მიიბრინა, მოიწონია ღერო, მოწყვია ყვავი-
ლი და მარცვლები ჩააკანტუნა.

ამის დამნახველი გურამი გაოგნდა. სიბრაზისაგან სული შეეხუთა, და-
გუბებული ხმით უთხრა:

— ეს რა ჩაიდინე?

— რა მოხდა, დამენანა?

— ჰო, დამენანა!

— ქალაქში ერთი ჭიქა ათი კაპიკი ღირს, თანაც შემწვარი, შენ კი და-
გენანა!..

— დამენანა, რომ ვერ მიხვდი, რა ფასი აქვს ამ მზესუმზირას.

გურამმა თვალი დახუჭა — შვილის დანახვა არ სურდა, საკეთარი
თავის დანახვაც არ უნდოდა, არაფრის დანახვა არ უნდოდა.

მხოლოდ სანდრო მიუხვდა გულისტკივილს. მზარზე ხელი ძიუთათუ-
ნა, მაგრამ არაფერი უთხრა.


წვიმდა. მატარებელი ორ საათში უნდა ჩამოსულიყო. პატარა სადგური
არ იყო მოწყობილი საიმპოსოდ, რომ ესოდენ ხასვრძლივი მოლოდინით
გულგანყვალვებულ დედაქალაქელ მგზავრებს დრო მოეკლათ. გურამი ბოლ-
თას სცემდა და ზედხედ ეწეოდა სიგარეტს. დაღლილი ლაშარა თავი-
ქანდრული იჯდა, დათოს ეკვროდა.

წვიმამ იკლო და გურამი ბაქანზე გავიდა. დაღამდა. ცა მოქურუხებუ-
ლიყო. გუშინდელი განცდა მოსვენებას არ აძლევდა გურამს. მოძალეებულ
ფიქრებს თავს ვერ უყრიდა.

გვერდით ჩაუარეს კოჭლმა მოხუცმა და პატარა ბიჭმა, რომლებაც
უარდულში ჩემოდანზე ჩამოსხდნენ. მოხუცი ხრისწიანი ხმით ახველებდა.

— ახველას თავისი დარდი აქვს, — გაიფიქრა გურამმა. ფიქრები რომ
გაფუჭდა, გადაწყვიტა მოხუცს გამოლაპარაკებოდა.

— თბილისში მცემგზავრებით?



— არა, თბილისიდან ჩამოვედი და ახლა სოფელში მიმავალ მანქანაში ველოდებით. ალბათ, დილაძე მოგვიწევს ცლა.

— შვილიშვილი მიგყავთ სოფელში არდადეგებზე?

— არდადეგებზე კი არა, სულ მიმეავს, ჩემთან უნდა იცხოვროს.

— ძალიან კარგადაც მოქცეულხართ!

— რას იზამ ასეა საჭირო. დაობლებულია. დედა მოუკვდა. მამამისა ექიმია და აფრიკაში გზაგანიან სამუშაოდ, არ მახსოვს, რომელ ქვეყანაში. მოხუცმა ხვწნით მოქაჩა სივარეტა, ჩაახველა და განაგრძო:

— ჩვენს სოფელს თავისთვის არა ჰყავს ექიმი, ის კი აფრიკაში გაუშვეს. — შემდეგ ჩაიცინა და დაუმატა:

— რა გაეწყობა, ალბათ, ასეა საჭირო. ეტყობა, აფრიკას ჩვენზე უფრო სჭირდება ექიმი.

ბიჭუნამ ბაბუას ხელი ჩასჭიდა, თვალებში ჩასვლა და შიშნარევი ხმით უთხრა:

— მაგრამ ხომ დაბრუნდება, ხომ მართლა დაბრუნდება, ბაბუ?

— დაბრუნდება, აბა, არა? — დაამშვიდა მოხუცმა შვილიშვილი, — დაბრუნდება და სოფელში კი არ ჩამოვა, ქალაქში დარჩება. სოფელში არაეინ ბრუნდება.

მოხუცმა გურამი თავით ფეხებამდე შეათვალიერა და ჰკიოხა:

— სადაური ბრძანდებით?

— წვაროსთავში დავიბადე — თქვენს მესობელ სოფელში. ახლა თბილისში ვცხოვრობთ.

— ხომ ეთქვა, ასეთი ხართ ყველანი! — მოხუცმა ხელი ჩაიქნია. — დამთავრებთ საშუალო სკოლას, მიიღებთ უმაღლეს განათლებას და ქალაქიდან ფეხს არ მოიცვლით. სოფელს აღარავინ ეპარება, მარტო მოხუცები დაერჩიან, მიწას ვინდა უპატრონებს? ეს რა დეთვის რისხვია!

გურამს რაღა უნდა ეთქვა — მოხუცი მართალი იყო.

— ფეხზე რა მოგივიდათ?


ბოხუცმა პრატიკულად უთხრა დაარაკუნა.

— ფეხი ფრონტზე დავტოვე მოსკოვის მისადგომებთან... ბერლინამდე ვერ მივაღწიე ვერც იქ და ვერც ბერლინა ჩემისთანამ. ის კი არა, რამდენი შინ ვერ დაბრუნდა. მე კი, თუმცა უფესოდ, მაგრამ დაკბრუნდი მაინც. ვმუშაობ, შეილი გავზარდე. ახლა აკერ შევლიშვილს ვზრდი. მინდა, გლეხური მრობა შევადგარო. იქნებ ეს მაინც დარჩეს სოფელში.

მოხუცმა ბიჭუნას აღერსით გადაუსვა თავზე ხელი.

გურამი დაიხარა, ბიჭუნას აკოცა და მოხუცის ურუმრად ჩაუღი ვიბეში ფული — სარდიოსისათვის დაბრუნებული ეალი.

მატარებელი ჩამოდედა...



არ წყვილდებიან ვარსკვლავები

თუმცა სიყვარულს უმდგრიან დიდი ხალხით,
ღამეს ჩუქნიან ადრაცებას, ციმციმს და ქებას,
არ წყვილდებიან ვარსკვლავები, ყველა თავისთვის
ანათებს, ცოცხლობს; ბოლოს ყველა თავისთვის ქრება.
არ ეხებათ ოდნავ ერთურთს ერთი წამითაც,
შეხვედრის ხაზლი ბნელ სიშორეს ვერა და ვერ ცვლის,
ასე ამაყი სიმარტოვე ნუთუ არ გინდა,
ეს ელვარება ვარსკვლავებად დატეხილ ზეცის.
ჩხრეკენ მისიები. სიყვარულის პატარა ეტლი
იწვის სივრცეში ვარსკვლავების ელვარე მტკვროან,
ღარჩენილია მათ ციმციმში მწუხარე ბედი
ურარტუელთა, ქალდეველთა და ეგვიპტელთა.
მარადიული მარტოობის უბადლო წესი
მბრძანებლობს ცაზე, იმედების საუფლოს ფარავს
და ბიბლიური სიზმრების მწყვმსი
დარაჯობს თავის ელვარე ფარას.

მეზინებს

დაბადებამდე ნახული მთვარე
მახსოვს, ვეტრფი და მის ჩრდილს ვემოხვევი,
როგორ მეცვალა უკუნში მხარი,
გადაგეყარეთ როგორ შემთხვევით.
დიდხანს მესმოდა ქუხილი მკნის,
დიდხანს მეომა ჭირი და სენი,
ტუჩებით სიმწრის ნაყოფს შევეხე,
თვალებით ღმერთის მზერა შევხსენი.
სიკედილი მზერას მშესავით უშლის
თვალებს ვარსკვლავთა მტკერით დათოვლილს.
როცა ამოგედის სულ ბოლო წუთში
სული — სამქრალი ძველი მნათობი.
ღამნათის მთვარე, ძველი, ახალი,
უცნობი დედის უცნობ ნაშვილვეს,
და, როგორც ბნელში ღოღი საფლავის,
ჩემი უკუნი ისე მაშინებს.

ეჭვას პირქუშო სახევე, უღევი
გადახდილი მაქვს შენთან ომები,
ელვის კაშკაშა თაიფულები
შენთან შეხვედრებს აიოლებენ.
ვინ გადაგვწერა ცოდვილებს ჯვარი,
შენკენ მიბიძგა ხელი უხეში,
ჩემი შემკრთალი სისხლით და ძვალთ
წინასწარ მიწა რომ ანუგეშო.

პირქუშო სახევე, თუ გახსოვს, მაშინ,
ჩემი ზეიმის ნიღბებს რომ ხევდი,
დამაგმობინე ცრემლი და ტაში,
აღტაცებული სცენა და ბედი.
თუ გაძევება ტკივილებს ზადებს,
შენით ცთომილებს ისევე შენ არჩენ,
შეიწოვს ჩემს სისხლს წითელი ვარდი
და სიკვდილამდე სიკვდილს შემაჩვევს,
სალომეაა ბნელი თვლებით,
ძოწის სამოსით პინდერებში დადის
და უადვილებს შენს ტრფიალებას
თავმოკვეთილი წარსულის ლანდი.

იშნაშ გაიბო

როცა ბოროტ ბედს უკვდება ვინმე
აღრე, ამ შემცხარ ბედის ცრემლივით,
ჩემში იღვრება წარსული ისე,
სხვათაგან კრული და შერცხვენილი.
იქნებ გაიგო, რად ვარ ძლიერი,
რატომ ვაბრუნებ ტრფობით ამ წამებს,
სხვის ბედკრულ ტანში ჩამოქცეული
ჩემი საბრალო სისხლი მაწამებს.
სად დავემალო, რომელ მხარეში
ჩემი გზა-კვალის ზეცაში მძებნელთ
და ჩემი სისხლის მოზიარენი
მაფრახობენ, მღლიან და მაშინებენ,

იქნებ გაიგო, რად ვდგაეარ ნისლში,
რად შეძომცქერის, როგორც სწეული.
ჩემი საბრადო, შემკრთალი სისხლი,
სხვის ბედერულ ტანში ჩამოქცეული.

გოგაგონდება

სულ ერთი არის, გეცვლება მხარი,
სიმძიმე მაინც შეგაკრთობს ცაში,
ცა არის ალბათ სულეთის კარი,
მზე რომ ამოდის, იღება მაშინ.

დავესიზმრება სულ ერთი წამით,
როგორ წითლდება ღამაში მთლი,
როგორ იფრქვევა იესოს ტახი,
გამთბარი შენი სამარის ბოლით.


რა ახატია სულეთის კარებს:
შავი თილისმა უცნობ ნიშნებით,
თუ გულწითელა აფრენის წამში,
ვარდის კვირტივით როცა იშლება.


ღელავს სულეთი უცნობ ამინდით,
ფარფატებს მჩატე სისხლი და ძვალთ,
ხიკვდილი მჩაწის ძველი რაინდი,
გაგიღებს კარებს რიდით და კრძალვით.

რეკავს ღამეში პატარა ზარი,
ამკობენ რაინდს ძვირფასი ქვებით
და ღამისფერი, კვება ხარი
მზეს მოაგორებს ღამაში რქებით.

მოგაგონდება სულ ერთი წამით
ერთგული მიწის პატარა მთლი
და გაყრენილი იესოს ტახი,
გამთბარი შენი სამარის ბოლით.

ეხედავ წარმართულ სამშობლოს სიზმრებს,
 ცას მოელვარეს, აღტაცებულს, მცინარს და შტირადს,
 რა შორეულ და მივიწყებულ ნაღველით მიმსერს
 შენი თვალები აკრეფილბ ევფრატის პირას.
 ღრთ მოგზაურობს, მზეს ამუქებს და მაშინ ჩვენი გაცეცხლის,
 მწუხარ სიზმრებში ძველებურად როცა შევეკრთებით,
 ციდან მიწამდე გიბუსავით ეძება ცეცხლი
 და ზედ დიდთან ოქროსფერა მკაცრი კერბები.
 ძველი სამშობლო, სიჩუმეში რომ ვერ ისვენებს,
 გამოსმობილა ზეცური ძალების ნებით,
 ის, როგორც ღმერთი, სახეს მალავს და ზურგს გვიჩვენებს
 და შიდას მზეში ბიბლიური აზიის გზებით.
 აღმოსავლეთის მოელვარე ოქროს კარები
 ისევ ირეკლავს აღტაცებულ იმ ბედს და იმ მზეს.
 მშფოთვარე მტკვარში მონათლული კერპის თვალებით
 ეხედავ წარმართულ სამშობლოს სიზმრებს.





ბიჭი:

თოვს, ცივა...

ტირის, ცრემლად იღვრება. დაღურჯებია ფეხის თითები, პაწია ხე-
ლების დამალვას ცდილობს, მაგრამ არც შარვალზე აქვს ჯიბე და არც
ახე დ-გლეჯილ და გასოხუნებულ ხალათზე. სად, სად წაიღოს ეს შიშველი
ფეხები, როგორ ნოაცდილოს ამ დამწრალ მიწას? ანდა რა უფოს პაწია,
მორთილვარე ხელებს? როგორ დაღურჯებია ფრჩხილებდაჭმული თითები?!
„რა იქნებოდა, უხელ-ფეხოდ დაებადებულიყავით“, უთუოდ ანატრებდა,
უფრო დიდი რომ ყოფილიყო.

ახე პაწიაა სამწუხაროდ, შეიდი წლისა, პა, იქნება და არც იქნება.
ფიქრის თავიც აღარ აქვს! (ისე კი შეიდი წლის ადამიანებიც ფიქრობენ
და ოცნებობენ). გამწვლელ გამოძვლელს უსიტვეოდ შესთხოვს რაღაცას.
თვალეში, მისი თვალები დაპარაკობენ, მაგრამ არავის ქსმის ამ თვალების.


და ბავშვს ტირის, ცრემლად იღვრება, პაწია ხელისგულები ცრემლ-
ბისთვის შეუშვერია, მაგრამ ეერ გამბზარა მაინც.

ეპ, რა გაათბობს ამ პაწია ბიჭუნას?!

თმა აბურსცენია. მალე ამ თმას თოვლის ფანტელები დაფარავს, ბუნე-
ბა ერთ წუთში შეუკერავს ფინჯლის თეთრ ქუდს! და კიდევ უფრო ამაგ-
მაგდება სული ეული, გაუმწვანდება პირი-ხახუ, პაწია და მოკანკალე გუ-
ლიც აუძგერდება და ადამიანებზე გუდაყრილი ყველას... ვერა, ვერავის შე-
იძულებს! იქნებ (გაიზრდება და) ასეთი გულის პაჭარების შეუწყვარდეს ყვე-
ლაზე მეტად მოყვასი თვისი.

დამწაშავის... ბრალდებულის სკამიც მოეღის!—დასცენის ვარსკვლავთ-
მრიცხველი, მაგრამ ამაზე არარაი უწყის თბოლმა ბიჭმა. იგი მომავალ-
ზე არ ფიქრობს, იმისთვის არავის უსწავლებია მომავლის ფიქრი.

ადამიანებს გაელვებასავათ ხედავს, სადღაც რომ მიეჩქარებათ და
აღარც ზამთრის სუსხი აწუხებთ, აღარც ამინებთ!



— თბილად აცვიით! ნეტაი ღუმელთან დამსვა და... — ატფრდებოდა და კედელს მიეყრდნობა.

თავბრუ ესხმის და უტყვო კედელიც გამოეშლება, — იმათ უკვე მიაღწევს... ისაუბრეს, ბე კი...

ადამიანები მიდიან, მოდიან, მაგრამ ბავშვს ვერაფერს აძენენ, ვერაფერს (!) მასთვის ვერაფერს გაიმეტა რამე, თბილ ხიტყვასაც დაამადლებენ წარმოიდგინეთ და ბიჭი ვერაფერს ღაინახა, თუმცა უჩინმაჩინის ქუდი აჭურავს, გეფაცებით!

ყველას, ყველას თავისი საქმე აქვს! და თავს ანაცვალევენ ამ საქმეზე ბიჭი კი ვინ არის, საღაურია, ვის რაში სჭირდება, ნეტა?!

ეევზ... კითხვას უპასუხოდ მიტოვებთ?!

აქ წყალი ჩაივლის და მეხსიერების დაფაზე შლამს ნაკვალევით დაამჩნევს (!)

კანი:

სახე მოდუშულს შემოადამდა და წვედიადი შემოელახა.

— აუცილებლად გაწვიმდება, — გაიგონა საკუთარი ხმა და შედგა გაწვიმდა კიდეც.

იგი კი ასე შილიფადაა ჩაცმული.

— თებერვალი რაო, მარტო მე მომეძალა?! — კბილები აუკანაწაწა, — ამ ოცი წლის წინათაც ასე ციოდა... — ფიქრი აღარ გააგრძელა, მოიწვეთა თითქოს.

დაეშვა თავდაღმართზე. ესეც ასეო, ამოიოხრა და წაიბორძიკა. შერკურთხა ვიღაცას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოათენდა კიდეც.

აღარ წვიმდა.

უხარია, რომ აღარ წვიმს. სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა:

— დღეს ოცდამეოცი შემისრულდა... — ჩაფიქრდა და წარბი შეეკუმჭნა.

„— თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო...“ — წაიმღერა თავის თვის.

ხმა ნაღვლიანი და ჩახრინწული. თითქოს წუხილი ამოისროლა და კიდობა გულმაო;

— თავისუფალი ვარ... სუფთა ჰაერი და თავისუფლება! რა კარგია, რომ ჯერ არავის მოუფიქრებია სუფთა ჰაერით ეაჭრობა!

ვიღაცამ მხარზე გაჰკრა მხარი.

ბოდიში უნდა მოეხადაო, უნებლიეთ გაიფიქრა და ნაბიჯს მოუხშობდა.

წამოეწია და შეაჩერა, — თქვენ ბოდიშის მოხდა დაგავიწყდებო... — უთხრა
გაკვირვებულს.

— ვერ გავიგე... — მხრები აიჩეჩა იმ ვიღაცამ.

— თქვენ მხარი გამკართით და... ბოდიშს იხდიან ამ დროს შეგნებუ-
ლი ადამიანები...

— უნებლიეთ მომივიდა, — შეცბა ის ვიღაც, — რა დავიშავე, ბატონო?

— შესე ვერ დამინახე... ვერ გაპატიებ ამას! ევრავის გაპატიებ, ღმერთ-
ხაც კი მოვთხოვდი პასუხს, გეხმის?!

— მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ... — აგანკალდა ის ვიღაც.

— მხალისი ყოფილხარ და ამასაც ვერ გაპატიებ! ნუ გაცხცახცხებს, ალა-
მიანა არა ხარ?!

— მაპატიეთ... ძალიან შენქარება...

— საით, საითკენ მიგენქარება ნეტა?! რატომ უნდა გენქარებოდეს? რა-
ტომ? რატომ მე არ მენქარება!

— ანგარიშს არავის გაბარებს! — თქვა თავმოყვარეობაშეგლახულმა იმ
ვიღაცამ, თითქოს „დამნაშავემ“ და იმ ახარებულ კაცს თვალი გაუხსნო.

— რომ არ აღშფოთებულიყავი, მამაშეცდებოდა ვერ გიშეცდებოდა! კარ-
გი, კარგი, — მოღბო კაცი.

— იქნებ გიჭირთ, იქნებ... — მოუხიზლდა ის „ვიღაც“.

— გუშინწინ გავთავისუფლდი და... ერთი ფაცხა მაქვს და იქაც არ მა-
ძლევენ ცხოვრების ნებას... — კაცმა თავისი სატყეივარი თქვა და შეეხოთ
ამოსისუნთქა.

კაცი თავისი გზით მიდის.

ვიღაცა თვალში არ მოუვიდა და შეაჩერა.

იმან ფული ამოიღო ჯიბიდან და გაუწოდა, თღონდ დამეხსენი და გქო-
ნდესო, აი, სწორედ მაშინ მოხდა მუშტი ნიკაში. დარტყმა მოულოდნელი
იყო და ის „ვიღაც“ მოცუდილივით დაეცა თოვლტყეაში.

— ესეც შენ! მაინც დაიმსახურე! მე მოწყალებას არ ვითხოვ! მათხო-
ვარი ვეცნო? არ ვარ მე მათხოვარი, არ ვარ! მალე გამოფხიზლდები! შენ
მგონი სადღაც მიგენქარებოდა. არა უშავს... შენ ისეთი არ ჩანხარ, რომ
უშენობით ასე დაუშავდეს ვინმეს ან რამეს... ცოტა შეგაგვიანდება, ქვეყ-
ნას ამით არაფერი დაუშავდება...

დიღაც მოუხეშავი ეჩვენა. მოშორდა იქაურობას.


სიარულიდან სირბილზე გადავიდა. თითქოს ვიღაცას გაუბოძა.

— მეშინია?

არ ეშინოდა და შედგა.

გაირინდა რაღაც იდუმალის მოლოდინში.

— თებერვალი დადგა... — სადღაც გულში იმეორებდა, შუბლზე
მოისვა ხელი და გონს მოეგო, — ტყუილუბრალოდ შეწომეღაცა ის საცო-



დავი... — ხელისგულზე დაიხედა და გაელძმა: — ჭუჭყიანია... ცოცხელია...
 ნი მოძალადე... წამელეჯი... არა, მაინც ვერ გაქცევი წარსულს...
 მარია ის წარსული — ძარცვა და ციხე... თავისუფლება და... ისევ მარცვა?

— მომეტო?!

მაგრამ რატომ უნდა მომეტო?! რაო, ვალი აქვთ ჩემი?

აქვთ, აქვთ, მთელი ქვეყანა ჩემი შევალე! არავინ ღამინდო და მეც ვე-
 რავის დავინდობ...

ღმინილი:

იმედგაცრუებულის ღმინილი, ოდნავ დამცინავი, მაგრამ მაინც შესამჩ-
 ხევი.

გათოვდა, წვიმს თანაც.

საყვდოს მადლა იწევს, მაგრამ ეს უშველს? ხარხარებს. უმწეოა ეს
 ხარხარიც.

— რა იქნებოდა, უხელ-ფეხოდ დავბადებულებიყავი? — გაიქცა და სიცი-
 ჳეც გველის პერანგივით აიწია მადლა, გადაიხადა და გზაზე დააგდო. უკა-
 ნაც არ მიუხედავს.

ქალაქშიც ჩამოვიდა. ჩამოადწია ძლივს.

აქ ნაკლებ ციოდა და იმედი მიეცა.

გამომადგებოდა ის ძველი ქურქი, ციხიდან რომ გამოძევა... არ უნდა
 წამეგო, აბა ვინ აფიქრებდა, გათოვდებოდა თებერვალში?

ქესა მივრუებული.

— ეინმე გამოვიდეს მაინც! ასე როგორ გამწირავს ღმერთი? მგონი,
 გამოიწნდა! დილაჲ ჩემი, დღეს გმბიტანე და მეტს აღარაფერს, აღარასოდეს
 მოგთხოვ... მე ახლა ყველაფერი შენატრება... ნუთუ არ გეხმის, ღმერთო,
 ადამიანის? ვიცო, მართალი ხარ... აბა, რომელი ადამიანი მე ვარ! მაგრამ
 დავიბრუნებ მაინც... ადამიანობას!

— არავის დაუშავენ?

— ამას ვერ შეგპირდები... ადამიანებმა გამიმეტეს..

სული მოითქვა.

— აი, ისიც! — წამოიძახა, — ისაა, ვისაც ველოდი! — წინ გადაუდგა
 სადღაც მიმავალს.

— რა გნებაუთ?

— „თვალში“ მომივიდა შენი ფიზიონომია. ბევრს ნუ მალაპარაკებ,
 მომეცი... იმის ნახევარი, რაც ჯიბეში გიდევს! ტაქსით რატომ არ წამოდი?
 ფული დაგენანა? წუწკი ხარ, წუწკი! ამდენი მედოს ჯიბეში და ვეყანებო-
 დე? სადაა, ღმერთო, ღლოცა?! მაგრამ პირობა პირობაა, მხოლოდ ნახევ-
 რი მერგება! ახლა მეცა მაქვს... ახლა ორივეს ვვაქვს, აღარც მე მქვია აწი
 ღარიბი... ისე კი... გახსოვდეს: არც მომიპარავს შენთვის და არც წამირო-
 მქვია! დაგესხეს! თუკი შეგხვდი, აუცილებლად დაგიბრუნებ! ისე კი... გუ-



ნერა ვოფილხარ, რომ არ გამიძალიანდი... შესაძლო იყო არც დაგლაძებო...
და დღევანდელი დღე და აღარც ხვალსინდელი დღე გაგათუნებოდა... ისე კამბ...
ორივეს გვიჯობს დავივიწყოთ ერთმანეთი... მეხსიერებიდან ამოვიხლიწოთ
ეს უქმური დილა... დილაა ისეთი, რომ საღამოს მაგონებს...
მთავარ ქუჩაზე გამოვიდბ.

სასადილოში მკვიდა. დიდხანს არ უუთქრია და დაიკავა თავისუფალი
ადგილი.

— რა გაქვთ?
— მენიუში ჩაინედეთ, — გაიგონა თავიზიანი პასუხი.
— თბილი? ცხელი?!

— ხარხოს რომ ინებებდეთ... — ენა დაუთაფლა მზარეულს. — მერე
კუპატსაც დააყოლებთ...
— შენი წყალობით?
— უფასოდ კი არ გაძლევთ!
— მოიტა ყველაფერი!
...რომ ვეღარც გაძღა?!

ისე კი — შეთბა.
წამოდგა და ფული ჩაუთვალა მზარეულს.
ახლა უნივერსიტეტში შევივლით, გაიფიქრა გარეთ გამოსულმა.
— მაგრამ ეს ვინაა? მის რატომ არ წავა? — თვალი დააღება ბიჭს და

შეეცოდა.
თოვს და წვიმს, უჩვეულოდ ცივა.
ტრთტუარზე ფეხშიშველა, თმანუჭუჭა ბიჭი დგას და ძეგდავებს.
„მეოცე საუკუნეში ფეხშიშველა ბიჭი?“ — გული შეუტოცდა კაცს. —
მეჩვენება ალბათ, დაუფერებელი ამბავია! საიდან უნდა იყოს?

ბავშვთა სახლიდან ვარ გამოქცეულიო, უპასუხა ბიჭმა და ატირდა.
— რამდენი წლის ხარ?
— შეიდი წლის ვარ.
„მეც შეიდი წლის კიყავი მაშინ...“ — სული კინაღამ აუტირდა კაცს, —
შეიდი წლის ჰა, იქნება და არც იქნება...“
ბიჭს თმაზე ათოვს და აწვიმს.

— რატომ გამოიქცევი ბავშვთა სახლიდან? სად მიდიხდი?
— არსად... — ტირის ბიჭი. — მცირე.

„თითქოს მე ვიყო... მეც ასე მცირეა... არავინ შემიფარა... მე დედას
ვეძებდი, ჩემს დედიკოს... ვერ ვნახე და... მოხუცმა შემეფარა მაშინ... იმ
მოხუცმა ქალის ფაცხა ჩემია ახლა... რა კარგი ქალი იყო ანიკო ბებია... მო-
კლა და... დაერჩი მართო...“

— ბიბია, მცირე...

თითქოს შეანჯღრის კაცი ამ სიტყვებმა და ფაქრებიდან გამოარ-
კვეს.

ერეკლე
სიმონიძე

დგას ბიჭი ტრიალურზე და იყინება.

„ამას მართლა მოძალეობა თებერვალი...“ — აუწრიალდა კაცს სული, —
რადღა კქსა? ნუთუ არავინ შეიცოდებს ამ ბიჭს? რომ არ შეიცოდოს? კი წა-
ვიყვანდი, მაგრამ ცოდვა ჩემს ხელში... იქნებ შეიბრალოს ვინმემ... იქნებ
შეიბრალოს ვინმემ... დაველოდები...

— ბიძია...

— ძნელია თავისუფლება, ძნელი... მაგრამ შენ მაინც ბევრს უნდა
აჯობო... — ჩაილაპარაკა კაცმა და წასვლა დააპირა. ფეხი ვერ მოიცვალა
ადგილიდან, — მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი, რა მემართება ნეტა? — ისევ
შეთვალა ბიჭი, ჩაფიქრდა და აღმოჩინა, რომ სულში ამ თმახუჭუჭა
ბიჭისხელა თმახუჭუჭიანი ბიჭი გაცოცხლებოდა.

კაცს სევდა შემოაწვა გულზე და გულიც აიყარა ყველაფერზე. მისთვის
ახლა მართლა სულერთი იყო ყველაფერი. თოვდა და წვიმდა, ცხელოდა და
წურწურით სდიოდა ოფლი.

გულშეკრები გადაიღელა, შეიბერტყა მხრები და მოწყდა რაღაც ძის
სხეულს. გაცნობიერებული თითქოს და მაინც უხილავი, მაგრამ მალე გა-
მოიკეთა. დგას მუშტებშეკრული. ის მეორე კი ყურადღებასაც არ აქცევს
ხურციც შეუძევია მუშტებშეკრული ბიჭისთვის.

სუნთქვა შეეკრა კაცს.

— ენახოთ, რა მოხდეს? რას ეტყვის ჩემი უფალი იმას, ნეტა რომელი
დათმობს? — ჩემი უფალი თმახუჭუჭიანია... აი, მიეჭრა თმახუჭუჭას! მხრე-
ბში ჩააგდო ხელი და შეანჯღრია. თმახუჭუჭა ზანტად მიტრიალდა თმა-
ხუჭუჭიანისაკენ.

— რას მერჩი?

— ბავშვთა სახლიდან რატომ გამოიპარე?

თმახუჭუჭამ თავი დახარა, თუმცა თვალი მაინც არ მოუცილებია მე-
ტოქისათვის. — შენც, შენც ხომ ბავშვთა სახლიდან ხარ მოსული... ნეტა
ნე რას მემართლები?

— რას მემართლები? — გაცხარდა თმახუჭუჭიანი, — რას და... აქ
ჩემი ადგილია... მე პირველი მოვედი აქ! წადი, სხვაგან ეძიე შენი ადგი-
ლი... ნეტა, რა გეგონა, ადვილი იქნებოდა თავის გატანა? მაინც რატომ გა-
მოიქეცი?

— რატომ და... დედას დავუძე... აღმზრდელმა მითხრა, ამ ქალაქში
ცხოვრობსო, მე დედა მისდა... — ცინაღამ ატირდა თმახუჭუჭა.

— დაბრუნდი ბავშვთა სახლში! რომ დომებოდი დედაშენს, არ დავტო-
ვებდა ბავშვთა სახლში!

— არა, მე დედას მოვინახავ!

— წადი, დაბრუნდი ბავშვთა სახლში!

— ვერ დაბრუნდები!

თმააბურძგენილი შეცბა და უცებ მოუღბა გული. — იყავი აქ, იყავი, მაგრამ... რომ მიაგნო, მაინც არ მიგიღებს დედაშენი... ჩვენ ხელს ვუშლით მათ და ამიტომაც მოგვაძულეს... მივდივარ მე, მივდივარ, ღარჩი აქ... — მოიქანცა ანაზღად, შეიკუმშა, უკან-უკან დაიხია და ისევ შესახლდა კაც-სახლში. კაციც მოფხიზლდა. გულ-ბოყვები პაწია ბიჭი ჩაუთბა და კაცსაც აინათლე ჩაუდგა თვალებში. თვალებში წყურულმა შეათვალიერა თმახუჭუ-ტა ბიჭი.

ცივა თმახუჭუჭას, ფეხსაცმელი წყლით გაჟღენთია ხან ცალ ფეხზე შედგება, ხან მეორეს დაეყრდნობა. ცრემლი სდის, მაგრამ შველას არავის თხოვს.

დაიქუხა თებერვალმა და თოვლის ფანტელები მოძეტებულად დააბე-რტყა სუნთქვაშეკრულ მიწას.

ბიჭს კი ვერავინ ამჩნევს!

ძალა ეცლება, სადაცაა გაშეშებული სხეულიც ვეღარ გაუძლებს ამ-დენს და დამორჩილდება ბრაზიანსა და ასე განუკითხავ თებერვალს.

— არაა! — აღმოხდა კაცს, — შენ არავის დაემორჩილები! — მაეჭრა თმახუჭუჭა ბიჭს და მალლა აიტაცა. — გშია, შე უბედურო? მეც ასე შშია-და... მეტს აღარ გაგიწყრები... რატომ, მაინც რატომ გამოიქეცი ბავშვთა სახლიდან? დედა მოგენატრა? შენც გინდა გყავდეს დედა? მეც ასე მინ-დოდა...

თმახუჭუჭა ბიჭს ხმა ვერ ამოაღებინა, გაოცებული შეჭყურებს ამ ღვთისნიერ კაცს და ტირის გულაჩუყებულად.

— ნუ ტირი! მამაკაცი არა ხარ?! მე... მე... ის თმააბურძგენილი ბიჭი მაგრამ... თმააბურძგენილი ბიჭი...

რა გაუგებარია ეს სიტყვები თმახუჭუჭა ბიჭისათვის!

კაცი კი გულში იკრავს პაწია, გაყინულ სხეულს.

— დაე, მე შეტძივდეს... შენ კი...

თავის ფაცხაში მიიყვანა და ხის დივანზე წამოაწვინა, ორი ძველი სა-ბანი დაახურა და გვერდით მიუჯდა. — გშია შენ, გშია, ახლავე მოგიტან-ურს, ძეხვს, მაგრამ... შენ სიცხე გაქვს... მღალა სიცხე... ოფლა უნდა გდინო... არ ეცი, რა ექნა, იქნებ პურია ახლა შენთვის მთავარი... წყალი, მოგიტან მაინც...

გარეთ გამოვარდა.

ბარდნიდა და ბარდნიდა ისევ.

პურის მღალა დაკეტილი დახვდა.

რომელი საათიაო, ჰკითხა ვიღაც გამგელს.

— შვიდზე კეტავს... დაგაკვიანდა, — უთხრა ვიღაც ქალმა.

რა ექნა?

— ბიჭს შია, ეგებ ხელში ჩამაკლდეს! — კინაღამ ამოუვარდნა და წაიღო.
თვალეზე ბინდი გადაეკრა.

უკვე აღარ იცოდა, რას აკეთებდა.

ვიდაც-ვიდაცები ხელეხს უგრუნდნენ, ის კი არ ემორჩილებოდა.

— მივალ, პურს მივუტან ბიჭს და...

მაგრამ არ დანებეს, ხელეხი შეუკრეს და საბარგო ავტომანქანის ძარაზე შეაგდეს. თოვლქვაბში დამბალი და გაჭუჭყიანებული პური წინ დაუვდეს.

და მანქანაც დაიძრა ადგილიდან.

იმას კი ბიჭი ელანდებოდა, ბურანში წასულს დასიცხული ბიჭა ეზმა-ნებოდა.

...ხუთი წელი მიუხაჯეს.

ქერდი ქერლობას მაინც ვერ მოიშლისო, ჩაილაპარაკა მოსამართლე და ბრალდებულს ზიზღით შეაქცია ზურგი. — იქნებ სათხოვარი აქვს რა-ბე... — დარბაზს მაინც დაეკითხა.

ბრალდებულმა წელი ათორია და ითხოვა ასე:

— შინ მამიყვანეთ... იქ ბიჭი წევს მშვიდრი... სიცხე აქვს... ნეტა როგორაა? როგორ იქნება?

მაგრამ ვინ მოუსმინა?!

სასწრაფო კეთილმა უაზროდ გადახედა დარბაზს და მოხუცი ქალის მხერგს გადააწყდა. მეცბა, იცნო, როგორ ვერ იცნო, წამოდგა და ბამბაღლა ჰკითხა, ხომ ცოცხალია ბიჭით. იმანაც მოკლედ უპასუხა, ცოცხალიაო და ბრალდებულზე მოწყვეტით დაუშვა ბრალდებულის სკამზე. შევებით ამოიხუნთქა.

ბიჭი ბავშვთა სახლში დააბრუნეს. უმკურნალეს და წამოდგა.

— ნეტა ვინ იყო ის კაცი, რატომ მიმატოვა? — ცნობისწადილს აეჭიანა.

მონახა ის ყაცხა და შიგ შევიდა.

შეხსენებებისას მოხუცმა ქალმა შემოიღო კარი. გულში ჩაიკრა ბიჭი, რა კარგი პქენი, რომ მოდიო. — როგორ მოაგენი?

— არ ვიცი, — ბაწია მხრები აიჩეზა ბიჭმა.

— ხომ არ დარჩები? — ისევ ჰკითხა მოხუცმა.

— აქ მარჩევიანია... — გაიღიმა ბიჭმა, — იმ კაცს რა ჰქვია, აქ რომ მომიყვანა?

— ვიცი, გვინია? ისე კი მისია ფაცხა... ის რომ არაა, მე ვაოევ ამ ფაცხაში...

— მოვა?

— ხუთი წლის შემდეგ შეიძლება გამიჩინდეს... მანამდე ვერ მოვა...

— დავლუბე ბიჭი, დავლუბე! — ლამის ატირდა კაცო.
მატარებელი კი შორეული აღმოსავლეთისაკენ მიჰქრის.

— მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები... ის ბიჭი ცოცხალია, ცოცხალია... — ბორბლების რახრახს აჰოლია მისი გული, — დამელოდება, დამელოდება... თორმეტი წლის დამხვდება. თორმეტი წლის... მაპატიე, ბიჭო... მაპატიე... (უღი შენთვის მართლა არ მინდოდა...) ის მოხუცი ქალი მაინც გამოჩნდებოდა... მოვივლიდა... ისეთი კეთილი გული აქვს, რომ... მოვა, მოვა ის მოხუცი და მოგხედავს, მართლა ხომ არ გაგწირავს ღმერთი?! სახელი მაინც ვაცოდე შენი!

ბიჭი:

წამოიხარდა თითქმის. თერთმეტი წლის ხდება. იმ კაცს მოვლის დღეს, წერილი მოიწერა, მოვიხანოე და ერთი წლით ადრე მიმეგებნა. მაპატიეს...

ბიჭი სიხარულით ცას ეწია.

— ბები, არ გიხარია, ნეტა როგორია, ხომ უყვარვარ?

— ჰო, უყვარხარ მაშაშენს... მოვივლის... შენც გვეოლება პატრონი, გვეოლება, მართლა უბედურ დღეზე კი არ ხარ გაჩენილი?!

მოხუცსაც უხარია, ემინია, არ ატირდეს, წინდებს ქსოვს: თებერვალია და თოვს, წვიმს კადეც.

გარეთ ცივა.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

მოხუცი ქალი წამოიწია. — ისაა... გააღე კარი... მაგრამ რომ არ იყოს? — მე ვარ, გამიღე კარი... — თბილი ხმა დაირხა ფაცხაში.

ბიჭიც კარს მივარდა.

„შენ ხარ... მაშაო“, — უნდა ეთქვა, მაგრამ ენაზე დაადნა ეს სიტყვა.

— ჰო, მე ვარ... შენ კი... ხომ ხარ შენ?

კარის გაღების ჭრიანში იკარგება ბიჭის პასუხი.

იქით კუთხეში მოხუცი ქალი ცახცახებს, ხედავს, როგორ აიტაცეს ბიჭი მაღლა და მკერდზე მიიკრეს.

მოხუცს სიხარულსაგან მუხლები მოეკეცა. — მე ბედნიერი ვარ, ბედნიერი... — ტირის, სდის ცრემლი და ღავიწყებია მისი შეწმენდა.



ნაეს ქაეს

თუ ვინმეს უნდა ვაქებდე
 და ვადიდებდე ვინმეს.
 ეს შენ გეკუთვნის მადლობა —
 ხეშს სიყვარულს და იმედს.
 შენი ღამილის ჭირიშე,
 შენი დამსკდარი ხელის.
 შენი დარგული ხეხილის
 შენგან მორწყული ველის.
 შენი მჭადის და მწვანილის,
 შენა „მობრძანდი“ ტკბილის.
 შენ უფლა კერას მშობელთა,
 მათ სიხარულს და ტკივილს.
 შენი იმედით ქალაქში
 სტრიქონს ვაწყობ და ვრანდავ.
 უშენოდ წუთისოფელი
 გაბნეწარდება ალბათ.
 ორ ძმაში ერთი შემოპრჩი
 ოჯახის მარჯვე ფუძედ.
 შენი თვალებით ვიცინი,
 მომავალს შენით ვუმზერ.
 წამოგვეპარა სიბერე,
 ამაში გვათოვს და გვეცოვა.
 დეკემბრის ქარი სისინებს,
 გვასველებს ცივი წვიმა.
 შენ მაინც შრომა გიტაცებს,
 რგავ და ახარებ წერგებს,
 რომ კაცის სული აფეხვდეს
 და გაიშალოს შემდეგ.
 სხვა არა მინდა ბუნებაში,
 მიცოცხლოს შენი თავი,
 ძმაო, ღიმილო თვალისა,
 ძმაო, იმედო ხვალის.



ვახტანგ ახმდელიანი

მზი

მოთხრობა

მე, ვახტანგის და მკვდარი,
სახელად ჯანდაბა

შორს, ძალიან შორს იყო ერთი ქვეყანა, სახელად ჯანდაბა...
რა? რატომ ერქვა ეს სახელი?
ვიცი? ღაბრუკეს და იმიტომ.
მე, მაგალითად, არ ვასურვებდი ჯანდაბაში წასვლას.
თქვენ? თქვენ თუ იხურებდით-მეთქი. აჰა, არც თქვენ, ძალიან კარგი!
მე თუ ვყოფილვარ? სად, კაცო, ჯანდაბაში? როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებ-ბათ!
თუმცა, ერთხელ...
რა გაცისებთ, თქვე ეშმაკებო!.. ერთხელ ვინ არ ყოფილა... იქნებ, სექსუალურად ვყოფილვარ?... რა ვიცი, განა მახსოვს? რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, უუჰ...
ჟგონიათ, მინდობა? კის უნდა, ჩემო კარგებო, მაგ ქვეყანაში მოხვედრა, ეის! მაგრამ... რას ვაზამდი? მგზავნიდნენ და მგზავნიდნენ... ჰოდა, მეც მივდიოდი და მივდიოდი...
მახსოვს, სულ პირველად რომ მოხვდი ჯანდაბაში... ისე კარგად მახსოვს, ვითომ აგერ, გუშინ ყოფილიყო.
სამი წლის ვიყავი მაშინ. ჩემი მეხსიერებაც აქედან იწყება.
უცებ დავინახე, იატაკზე ტბაა. მე შიგ. შუაგულში ვდგევარ.
ფეხები ავატყაპუნე.
მომეწონა.
კიდევ უფრო მოვეუმატე ტყაპუნს. ვატყაპუნებდი ფეხებს და სიხარულითაგან ვეცდოპინობდი.

— ეს რა ვიქნია ამხელა კაცს, პა?!—ტკაც!.. ეს დედიკოს ხელმა გაიჭ-
კაცუნა ჩემს წელს ქვევით. კიდევ — ტკაც!.. კიდევ და კიდევ...

— ალ მინდა შენისთანა დედიკო!.. — მივახალე.

— არც მე მინდა შენისთანა შვილი,

— მაშინ წავალ.

— წადი.

— სულ წავალ.

— ჯანდაბაში წადი, ჯანდაბაში!

ეზოში გავუდი, „რა არის ჯანდაბა?“ — ეფექტობდი და მივდიოდი, მი-
ებაჯბაჯებდი. ჭიშკრის საგდული გადავატრიალე. ჭრრ-იიიიაა!.. — გაიღო
ჭიშკარი.

— ბავშვი სადაა? — მომესმა შორიდან მამიკოს ხმა.

— ჯანდაბაში წავიდა! — უბახუსეა დედიკომ.

„მორჩა! — გავიფიქრე, — აღარასოდეს დავბრუნდები უკას, ა-ლა-რა-
სი-დეს!“ — და გულიც ამიწუწდა. მივდივარ და მივხლუქუნებ.

ვიღაცამ მძიმე ტორა დამადო თავზე.

ავიხედე.

დიდულვაშა მია მიდიმოდა ძალიან მაღლიდან.

— რა გატირებს? — მკითხა.

მე კიდევ უფრო ნოვუმატე სლუკუნს.

— გაწყენინა ვინმემ?

— დედიკომ.

— რა გქვია?

— ბაადული.

— გამარჯობა, ბაადურ! — ხელი გამომიწოდა.

— მე ბაადული კი ალა, ბა-ა-დუ-ლი მქვია, გაიგე?

— გაგიგე. გამარჯობა, ბაადურ, კაცო!

— გაგიმარჯოს! — ხელი ჩამოფართვე. — მია, ჯანდაბა რა არის?

— რა არის და... რატომ შეკითხები?

— ისე.

— ქვეყანა.

— ცუდი?

— ძალიან. რატომ შეკითხები-მეთქი.

ვიფურე.

— გაგზავნეს?

კიდევ უფრო ჩავექანდრე თავი.

— მაგ ქვეყანაში, ჩემო ბაადურ, ჯიუტ ბავშვებს აგზავნიან. ალბათ,
დაამავე რამე. არაფერია, მოუხადე დედიკოს ბოდიში და გაბატეებს.

— არა! წავალ ჯანდაბაში.

— ჰო-ო? შენი ხაჭმე შენ იცი. აბა, ნახვამდის!

გზას გავუდექი.

ბეკრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, ერთი გოგონა შემომხვდა. წითელი კა-
ბა ეცვა, ყვავილებიანი. კიკინები აქეთ-იქით პქონდა გაფშვკილი. ტირი-
ლათ მოდიოდა. მეც სლუკუნით მივდიოდი. ერთმანეთის პირისპირ გავჩე-
რდით.

— შენ რა გატარებს? — შევვკითხე თვალების სრესით.

— დედაკარ პეკმააა!.. ბებო წინდას ქსოვდა და გავუნვრიე. მცემა დე-
დიკომ...

— ჯანდაბაში გავგზავნეს?

— უცებ შეაჩერა სლუკუნი.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი. მეც იქ მივდივარ.

— ჯანდაბაში?

— ჰო. ერთად წავიდეთ.

— წავიდეთ.

— და სულ ერთად ვიყოთ, კარგი?

— კარგი.

— შენ რა გქვია?

— ეკატერინე და ეკა. შენ?

— ბაადული.

— ბაადული კი არა, ბაადური. რ!

— მეც მასე ვამბობ, ლ!

— ლ კი არა, რ!

— ლ!..

ხელისგელჩაკადებული მივდიოდით.

— უი, მაყვალი! — შეპყვირა ეკატერინემ, — გემრიელიააა!

ჯაგნარში შევედიო. ვერეფდით მწიფე მაყვალს და გჭამდით. მაღე წი-
თლად დავითხუბნეთ ცხვირ-პირი. გული რომ ვიჯერეთ, ისევ გზას გავუდე-
ქით.

ჯაგნარი სულ უფრო და უფრო მაღალი ზდებოდა.

— ეტყობა, ჯანდაბაში შევდივართ, ბაადურ.

— ეტყობა.

გზაზე ცხოველი გამოინდა. წვერიანი, მოღუნულტყანნი.

— ეს ვინ არის? — შემეკითხა ეკატერინე.

— არ ვიცი.

ცხოველი ეკატერინეს უყურებდა. მე თითქოსდა ვერც კი მამხნევდა.
უყურებდა და უბრიალებდა თვალებს. არა, ეკატერინეს კი არა, მის წითელ
კაბას.

— ურჩხულია? — შემეკითხა ეკა.

— ალბათ.

— შეშინია, ბაადურ, დაგბრუნდეთ უკან, — მაჯაში ჩამაელღო ხელი.

— არა!

ცხოველმა თავი დახარა, გამოექანა და დაეჯახა ეკატერინეს, დაეჯახა და ჯაგებში ისროლა. იწივლა ეკამ.

— როგორ გაბედე! — ვიყვირე და ვეცი რქებში. მახსოვს, საკმაოდ ბუთხუზა ვიყავი. არც ძალა მაკლდა. მამა იტყოდა, რომ გაიზრდება, ნამდვილი ამირანი გამოვაო.

ურჩხული თავს აქეთ-იქით იქნევდა. უნდოდა, მეც გადავეფე ჯაგებში.

— ტუტუტო, უზრდელო, შტერო!.. ეს როგორ გაბედე!.. — ვუყვიროდი. ხელები მაგრად ძქონდა რქებში ჩატყერილი და ვევიროდი: — იცი, რას გინაპ? ბოდიში მოუხადე ეკას, თორემ!..

ურჩხული კიდევ უფრო მძლავრად იქნევდა თავს. თან ფეხებსაც აბაკუნებდა.

ნელ-ნელა მეცვლებოდა ღონე.

ჯაგნარში კი ეკატერინე ღრიალებდა:

— დე-დი-კოოო... დეეე!..

— უხ, შენიი!.. ბოდიში მოუხადე-მეთქი, არ გასმის?

ის იყო, ძალიან მძლავრად გაიქნია თავი ურჩხულმა და მეც ხელები გავეშვი რქებს, მაგრამ ძირს დავარდნის მაგივრად მაღლა ავიტყერ. ვიღაცას ვეჭარე ხელებში.

მოვიხედე. მამიკო იყო. მის უკან დედა იდგა.

— ფოჩად. შვილო, ფოჩად. ნამდვილი დევეძიარი ყოფილხარ! — შემაქო მამამ.

— ხომ არაფერი გატკინათ მაგ საზღვემ? — დედიკო ხან ეკას ეფერებოდა, ხან მე გადამისვამდა ხელს. — წადი იქით! — ცხოველს დაუცაცხანა.

— მმმ-ეე-ე!.. — დაიბლაღლა ურჩხულმა და განზე გაეარდა.

— ეკატერინეს დაეჯახა და მე ვიხსენი! — დავიტრაბახე. — ბოდიშს მოხდაც არ უნდოდა მაგ ტუტუტს!..

— უყურე შენ!

— მამო, მამი, ჯანდაბაში სულ მასეთი ურჩხულებია?

— კიდევ უფრო უარესი, შვილო.

...დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ჩემო პატარა ძეგობრებო, ძალიან დიდი კიდევ ბევრჯერ ვყოფილვარ ჯანდაბაში. რანაირ ურჩხულებთან არ მიომია იქ, მაგრამ... ის პირველი დამამახსოვრდა ყველაზე უფრო.

რატომ?

რა ვიცი. ძნელია მაგის ახსნა. ძალიან ძნელი...

ის ქვეყანა დღესაც არსებობსო, ამბობენ...



ვრიპი მშენებარებს ქალაქში.

ლოგინში ხუთი წლის ბუთქუნა გოგონას მამა ბორჯავს. მას მაღალი
სიცხე აქვს.

— იგეიანებს, — აბოზს დედა.

— არ მოკა! აი, ნახავ... ასად რომ გაიჭრას ჩვენი უბნის ექიმი, მაინც
არ ეყოფა გამოძახებებს, — პასუხობს მამა.

— მამიკო, მამი, კომარესი გაგიკეთო? — ეკითხება გოგონა.

— შენ რომ მიკეთებ, მაშინვე მიქრება სიცხე.

— მართლა? — გოგონას უხარია, — მართლა, მამა?

— გუფიცები.

გოგონა მაგიდიდან ქაფურის სპირტიან პატარა ბოთლს იღებს, ფრთხი-
ლად ასველებს ბამბას და უბრძანებს:

— აბა, გადაბრუნდი!

სიცხიან ზურგზე წამლით გაჟღენთილი ბამბა წინულავით ცივი ეწვე-
ნება ავადმყოფს, თანაც უსახელოდ სიამოვნებს შვილას ფუნჯულა ხელას
ფათური.

— ო, აგაშენა ღმერთმა. პო, შენ ვინა ხარ ჩემი?

— ექიმი.

— რომ გაიზრდები, სამღვლი ექიმი გამოხვალ, ხომ?

გოგონა თავზე უხვამს ხელს.

— ახლა ავად ხარ და შენი წყენინება არ შეიძლება.

— მოთხარი, არ მეწყენება.

— მე მხატვარი უნდა გამოვიდე, მამი.

— კიდეც უკეთესია! როცა დიდი გაიზრდები, დახატავ ძაღლიან-ძაღლიან
ლაბაზ სურათს. ნოვა ხალხი და ნახავს მას. დიდხანს, დიდხანს უფურებენ
ისინი შენს ნახატს და თანდათანობით განიკურნებიან ყველა სენისაგან.

— გრძიპისაგანაც, მამი?

— გრძიპი რა ყოფილა, ბერად უფრო უარესისაგან. მაგალითად, შუ-
რიასაგან, აფეიოზისაგან, მლიქვნელობისაგან, ეგოიზმისაგან, მექრთამეობი-
საგან, კარავიზმისაგან...

— უუფ! — ხელებს შლის გოგონა, — რამდენი საშინელი ავადმყოფობა
ყოფილა!



მალე მოვა გაზაფხული

დედის იმედი

— თუ არ გვყავს, მთელი, ნახე, —
ეუბნება თინას თებრო, —
უცმიციმებს იებს სახე.
ზუჩქთან გაშლილს განაჩებო,
მერე რა, თუ ზამთარია,
მთა დაგვეურებს წარბშეკრული,
ხითბო დადგა რა ზანია,
კვირტში ფეთქავს გაზაფხული.
გზასთან ვარდი ახასხასდა
და უვარცხნის სიო ქონორს,
ფურჩქნება ფიჩქარდა,
მისი ნახვაც ძლიერ მომწონს.
ბილიკ-ბილიკ ავიაროთ,
ამ გზაზე არ დავიღლებით,
კლასში ბავშვებს მივანართო,
რომ გაძონდა ვეკვილები.
ღურჯი აა შემოგვეურებს
ბროლის ცვარიო დანამული,
სიხარულით გული მღერის, —
მალე მოვა გაზაფხული.

— როგორ ბავშვზე ითქმის, გია,
დედის გულის ვარდი?
— ვინც სწავლაში ბეჯითია
და ქცევამდე კარგი.
— რატომბა, დედის ამაგს
ვერ გადხდის შვილი?
— იმიტომ, რომ ჩვენზე ფიქრმა
დაუკარგა ძილი.

ფოველ დამით იავნანას
გვიგალობდა ტკბილად.
— რას ნატრობდა? — გავეზარდეთ
ქვეყნის ერთგულ შვილად.
— სიხარული, აბა, როდის
კმატება დედას?
— თავის შვილის მომავლის გზას
როცა ნათელს ხედავს.




პიტაუტას რიგბიპოლიტის

საქი-ზეჟი



— ო, ღმერთო! — თქვა გაღვიძებულმა მოხუცმა დედა. — ო, ღმერთო! რა კარგია, რომ სიზმრებს გვხუქნი! რა მშვენიერი სიზმარი ენახე, — წამოიძახა მან და ოთახს თვალი მოაქო; დიდიხანით ყოველთვის ათვალიერებდა ოთახს. მესამე წელია აქ ცხოვრობს და თავი მაინც სტუმარი ჰგონია. მთელი ეს აუჯი, რა თქმა უნდა, საუცხოოა, სარკესავით პრაქტებს მუხის იატაკი, შეკრული ისე პატარა ნაჭრებისაგან, რომ ვიკვირს, როგორ მოუსადგავს ერთმანეთს. ფანჯრებიდან შემოდგომის მზის შუკი უცნაურ ნაყმებს ხატავდა პარკეტზე. სამზარეულოში ჭურჭელმა გაიფლარუნა — ალბათ, ქალიშვილი დაასახლისობს. იგი ყოველთვის ადრე ღვიბა და დედას ეუბნება, დედა, შენ ნუ შეწუხდები, კარგად გამოიძინე. კარგია, რომ ქალიშვილთან ცხოვრობს. სოფელში რძალთან საცხოვრებლად არასგზით არ წავიდოდა. თქმა არ უნდა, რძლები კარგები არიან, მაგრამ ღვიბლ ქალიშვილებს ეერასოდეს შეცვლიან. ქალიშვილს შეიძლება დაემდურო და შეეკამათო კადეც. მაგრამ გულში ზინჯი არ ნაგრძნება, რძალს კი რას გაუგებ. მოხუცი არასოდეს დამდურებია ქალიშვილს, თუმცა ყოველთვის ეგონა, რომ იგი ისე სრულიადაც არ ზნდის თავის ორ გოგონას, როგორც საჭიროა. თავდაპირველად შეეცადა დაერეებინა, მაგრამ ბრახსიდა: დედა, რატომ მოგესურვა, რომ ჩემმა გოგონებმა ისე იცხოვრონ, როგორც მე ცხოვრობდი სოფელში? მოხუციც განაწყენდა და აღარ ერეოდა შვილისშვილების ცხოვრებაში. ეს ჩიტირეკიები კი მთელი დღე ტელეფონით რეკვის მეტს არაფერს აკეთებენ — მეგობრებს ელაპარაკებიან. ჯერ



პირზე რძე არ შემოიბოძა და უკვე ბიჭებს ურეკავენ, ამას თავი დავანებოთ, გული ეტკინა, რომ ქალიშვილმა სოფლიდან ავეჯის წამოღება არ ვარგა, დედა, შენი სოფლური ავეჯი — ბინას დაუშნოებს, ჩვენა რომანები ხომ ახალი გარნიტურითაა გაწყობილი! მე კი საკუთარი ავეჯი მიარჩევნია. ღოვინსზე დაგებული თავიანთ ლეიბს რა სჯობია — გმინავს და თავთ ტკბილი სურნელი გელამუნება. ეს საწოლები, თუმცა, რბილია, ლამაზიცაა, მაგრამ ასე მგონია, სახლში კი არა, ავეჯის მაღაზიაში მძინავს. მოხუცმა აღრეც იცოდა და ახლა კადეც უფრო დარწმუნდა, რომ ადამიანს ცხოვრებაში მხოლოდ ერთი სახლი აქვს, მხოლოდ ერთი. რა თქმა უნდა, ისეთებიც მოიხებნება, რომლებსაც ყველგან აქვთ სახლი. ამის გამო ტრაბახობენ კიდევ, მაგრამ მათ დაკარგეს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი.

— ო, ღმერთო!

მოხუც დედას წუხელ ესიზმრა, რომ ახალდაბნილ ცხენებს, რომლებსაც ზურგზე ორთქლი ასდით, გლეხები ამხედრებულან და ტბის ნაპირს მიუყვებიან. თანაც როგორ მღერიან! სწორედ ისე, როგორც მის ქალიშვილობაში მღეროდნენ ტბის პირად. სიზმარში სარეცხს წყალში ავლებდა. მხედრების ხმა რომ მოესმა, წელში გასწორდა, მიანერდა და ყური მოუგდო. თვალი არ მოუცილებია, ვიდრე ცხენების ზურგებიდან აღენილი ორთქლი სერს მიღმა არ გაქრა. მხედრები თვალს, მიეფარნენ და თითქმის ცის კაბადონიდან დაძრული საძღერა დაბლა მიედანებოდნენ და თანდათანობით წყდებოდა, წყდებოდა... და მაშინ მოხუცს გამოეღვიძა, ალბათ, ეგონა, ვაი თუ სიმღერა მოლაღ შეწყდესო.

მესამე წელია ვილნიუსში ცხოვრობს, მაგრამ ქმარი ერიხელაც არ დასიზმრებია. მშობლიური პაგიონისი ესიზმრება — ტყეში სოკოებს და მარწყვს კრეფს. ლუკოშკოში მუდამ ბეკრია მოცვი ან მარწყვი. ახლა დათვის სოკოს არ იტყვი? მშობლიური სახლიც ესიზმრება. რა არის სახლი? არც ქოხია, ცხადია, და არც კედლები. ყოველთვის ხულაში იძინებდა ქალიშვილობაში. რის სურნელი არ ტრიალებდა აქ — ფქვილისა და შებოლილი ხორცის, სამკურნალო ბალახებისა და თავების! ახ! მაინც ყველაზე საამიო სურნელი ანტონოვკის ვაშლს ასდიოდა შობის დამდეგს.

ო, ღმერთო!

ყველაფერი რა მშვენიერია სიზმარში! მეთევზის ნაჩუქარი თევზი ბავშვის ზელისგულზე ხტის. მისი ქერწული მხეზე ბრწყინავს. მეთევზის კატა იქვეა და თვალს აცეცებს. ბავშვის ზელისგულს მისწერებია. ახ! რა კარგია, რა კეთილია ეს მეთევზე, მისი შადლობელია, რომ ნება მისცა ტბაში გადაესროლა თევზი. სიზმარში ყველაფერი მშვენიერია. უკრავს გარმონი. ახალგაზრდა რომ იყო, ცქრიალებდა და მის გარშემო საოცრად ნათელი დედამიწა ტრიალებდა, რადგან კარაბიდის ლამფა ბრიალებდა. მამაკაცის თფლის სუნი აბრუებდა. ბაზრობა!.. აჰ, რა თავსაფრები ფრიალებდ-

ნენ! იცოდნენ იმ შორეულ წლებში მათი მოხატვა, იცოდნენ, ამას წინათ მისი ვაჟი ამერიკაში იყო, თავსაფარი ჩამოუტანა — რა შედარებაა! სპეციალური ჯგუფი... ორდანი... თვალი სატრფოს სახეს დაემებდა.

ქმარს, ღმერთმა აცხონოს, სიზმარში მხოლოდ ორ იპოსტასად შევადგა, სხვაგვარად არასოდეს დასიზმრებია, თუმცა ძალიან სურდა. თავდაც ესმოდა, რატომ მეორდებოდა სიზმარში სულ ერთი და იგივე ორი სურათი, გულს რომ უკეპქეპდა. ერთ სურათზე ორივე თევზს ეზიდება. ოთხთვალაზე მისი ხელით ახვნიულ თევზზე სხედან და ირწევიან. ოთხთვალა საცაა გადავირადება, გრძნობს, როგორ გადაყრდლა, მაგრამ მიწაზე კი არ აპირებს დაცემას — ეს ბედსიერება იქნებოდა, — წყვილიდით მოცული უფსკრულისაკენ მიექანება. იღვიძებს, აღმათ, ყვირას კიდეც, მაგრამ, მძინარის ყვირილი ყოველთვის ნალვლიანი და წყნარია, როგორც კატის კრუტუნის ყელშია განხერილი და იქიდან ვერ ამოდის. იღვიძებს და ჰაერს ეწაფება, თითქოს მართლაც ოთხთვალადან გადმოვარდა. მეორე სურათი პირველზე არანაკლებ სევდიანია: ურწყავი, ტრიალი მინდვრების გასწვრივ ჭალებთან რომ ვაღჭიმულა, სამელიორაციო არხს მიუყვება და მასთან შესახვედრად მოდის კაცი — მისი ქმარი. ოცდაათი წელიწადია აჭარებს ტანსაცმელს, რომლითაც კუბოში ჩააწინეს და კვლავ ახალივით გამოიყურება. ქმარი უახლოვდება და ამ უკაცრიელ მინდორში ზღვარი ეუბნება: გახსოვს, რა ლამაზი იყო აქაურობა! იღვიძებს და თვალები ცრემლებით ევსება. რატომ ესიზმრება ეს ორი იპოსტასი და არა სიყვარული, ცუდი გაჩიარებული სიყვარული? ბედმა არგუნა და უსაზღვროდ უერთგულა, უიქრშიაც არ გაუვლია ღალატი, ჩრდილი არ მიუყვებია სიყვარულისათვის. ან რა ცოდვებზე შეიძლება ღაპარაკი, როცა მოკლე დღე მუშაობდა და თავის მოსაუზნად დროც არ ჰქონდა. რატომ არ ესიზმრება სხვა სახით, ნუთუ სიყვარულსაც ეყრება მიწა, ნუთუ სიზმარშიაც არ გამოცხადება?

— არ მინდა ამაზე ფიქრი. დღეს კვირაა. წაეღ — როჟიტესთან ვარ მიწვეული. ამ საღიღეს ხუთმაბათს აქეთ ველოდები, ეკლესიაშიც შევივლი, ლოცვას მოვისმენ, მერე კი როჟიტეს ვეწვევი.

ეკლესია აქვია. გზა მშვენიერია — არც ტალახი, არც ნამქერი, მაინც იშვიათად ღადიოდა, მხოლოდ დღესასწაულზე თუ შეივლიდა სალიტაცად.

ის და როჟიტე თანასოფელები იყვნენ. როჟიტე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ვილნიუსში გაემგზავრა და გათხოვდა კიდეც. ხანდახან ჩამოდიოდა სოფელში დის მოსახარებლად, თუმცა ახალგაზრდობაში შეგობრები იყვნენ, როჟიტე რომ ჩამოვიდოდა, საღაპარაკო არაფერი ჰქონდათ. როჟიტეს სულაც არ ენადვლებოდა, რა ხდებოდა. სოფლად, ზოლი ანტონინას — ასე ერქვა მოხუც დედას — არ აღეულებდა ქალაქური ცხოვრება. ახლა კი, როცა ანტონინა ვილნიუსში გადაბარდა და როჟიტეს შე-

ხედა, თითქოს დაუბრუნდნენ შორეულ წარსულს, იმ დროს, როცა იგი ქალაქში არ იყო გადასული. ხანგაპოშვებით — მესამე წელია ზეგონებით როჟიტე თავისთან პატიუებს ანტონინას: ვიხსოვ კვირას თითხმეტ სანახევრად ნეწვიო სადილად. ანტონინა თავაზიანად იღებს მიპატიუებას. — დღეს სახლში არ ვსადილებ, — უთხრა ანტონინამ ქალიშვილს, ეიდრე წავიდოდა, — როჟიტემ დაძაბატიჟა სადილად.


ანტონინამ ეკლესიაში კურთხევანი გადაშალა, ლოცვები წაიკითხა, შემდეგ დახურა და ორდანს მოუსმინა. რა სეტარება! თითქმის სიზმარია.

ეკლესიიდან რომ გამოვიდა, საათს დახედა: ორის ნახევარი იყო, მოსწერებს. როჟიტემ სრულ ორ საათზე მიიპატიჟა. არ უნდა დაიგვიანოს. პირველ მიპატიუებაზე ანტონინამ გაიფიქრა — დიდი ამბავი: ათი წუთით გინდა ადრე, გინდა გვიან. მაგრამ როჟიტემ გააფრთხილა, სადილ-წყველუებაზე დაგვიანება არ შეიძლება. ანტონინა არ გამოდავებია — როჟიტემ უკეთ იცის. სოფელში სადილზე არავინ არავის პატიუებს. ზოგჯერ ანტონინა ათ ან თხუთმეტ წუთს იცდიდა როჟიტეს სახლთან, ზუსტად დანიშნულ დროს რომ მისულიყო.

კარგია, საათი თუ გაქვს, როცა სადილად გპატიუებენ. ანტონინას სოფელშიაც ჰქონდა საათი — ერთი ძაჯის, მეორე დიდი, კედელზე რომ წაყრებოდა, მაგრამ ზედაც არ შეუხედავს, ისეღაც ვერძნობდა, როდის რა ეკეთებინა. დროს იგი მხოლოდ თავის სახლში ვერძნობდა. აი, სახლიდან რომ წავიდა, მას შემდეგ იხედება საათზე.

ანტონინა ტროლეიბუსში ჩაჯდა, ბავშვების ადგილზე მოიკალათა და თითების მოკეცვით შეუდგა განერებებას თვლას. როცა ერთი ხელის ყველა თითი მოკეცა, გასასვლელისაკენ გაემართა. გიჟებით დაქრია მანქანები და ტროლეიბუსები. ქუჩებზე გადასვლისას გული ეკუმშება. მისი ზარავს, თითქოს ყველა მანქანა მის გატანას ეძიებოს. მიდი, თხოვე, რომელიმე ახალგაზრდას, რომ ქუჩაზე გადაგიყვანოს. გაგიგონია? ახალგაზრდები უკან მოუხედავად გადადიან ქუჩაზე. ნუთუ სხვის დაუხმარებლად ვერ გააღწევს ქუჩის მეორე მხარეზე? ერთხანს იდგა და აქეთ-იქით იფურებოდა. მერე, როცა ტროტუარიდან ქუჩის მეორე მხარისაკენ ყველა გამფლული გაემშრა, სწრაფად გაჰყვა მით, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდა. მაღლობა დმერის, გააღწია სამშვიდობოს. ორს ათი წუთი აკლდა. აი, როჟიტეს სახლიც. მართალია, სახლი მართო როჟიტეს არ ეკუთვნის. აქ უამრავი მცხოვრებია და მეზობლები, ალბათ, ერთმანეთს არც იცნობენ. შვიდ წუთს ისეირნა სახლთან. ერთ ადგილზე ხომ ვერ დაესობა? ერთიც ვნახოთ და, ვინმე მოვიდეს და ჰკითხოს, აქ რას გაჩერებულხარო. შემდეგ კიბეებს შეეყვანა. მეორე სართულზე ავიდა და დარეკა. როჟიტემ მაშინვე გაუღო კარი, თითქოს ხეობებზე დარაჯობდა.

— გამარჯობა, ანტონინა, გამარჯობა! სადილი გელოდება.



როჭიტე მიეშველა ანტონინას ლაბადის გახდაში, თითქოს თავად უნდა შეეძლო! სტუმარს მსუბუქი ნუსტები გამოუტანა, ანტონინამ სარკის წინ ჭადრა თმა დაივარცხნა, შეისწორა კაბის საყელო, კარგად შეათვალიერა საკუთარი თავი — ხუმრობა ხომ არაა — სადილზეა დაპატიჟებული! მიაღწა-
ნე უკვე ელოდა ცივი საუზმე.

— დაჯექი, ანტონინა, დაჯექი!

— გმადლობ როჭიტე.

— აი, ეს გასინჯე, — უთხრა დიასახლისმა და სტუმარს თევზზე რა-
ღაც გადმოუღო. ანტონინამ გასინჯა, მაგრამ, ვერ მიხვდა, რა კერძი იყო.
შემდეგ კიდევ რაღაცას გაუსინჯა გემო, კიდევ რაღაცას. ყველაფერი სარ-
ცრად გემრიელი იყო.

— სუფი გასინჯე. დღეს ხახვის სუფი მოვამზადე ფრანგულად. ახლა
მეორე კერძი მიირთვი, ანტოსელე, ესეც ფრანგულად.

— გმადლობ, როჭიტე.

მოუქრება არ გინდა? სოკოს ქედი ახალი ხორცითაა გამოტენილი.

— მიირთვი წვენი. გადავწვევით, დღეს ნამდვილი არყის წვენი დაგ-
ლით.

— გმადლობ, როჭიტე.

მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. ანტონინა როჭიტეს მორთმეულ ყვე-
ლა კერძს აქებდა. მიირთმევდა განსაკუთრებით ამაღლებული განწყობილუ-
ბით, როგორც წვეულს შეეფერება, მადლობა გადაუხადა.

— გმადლობ, როჭიტე, სადილისათვის.

— გაამოს ანტოსელე, გაამოს.

ანტონინა თითქოს კი არ სადილობდა, ორდანიც მუსიკას უსმენდა, რო-
ჭიტემ მაგიდიდან ააღაგა ჭურჭელი, სამზარეულოში გაიტანა, დაბრუნდა,
სტუმარი სავარძელზე დასვა.

— ახლა კი დავლით და ეიბაასოთ, — ფქვა მან, — რა დაგისხა?

სულ ცოტა არაფი დაუსხა, თითონ კი ჭიქა კონიაკით შეავსო.

— გადღეგრძელებ ანტოსელე, კიდევ დიდხანს, დიდხანს შეგზვდეთ
ახე ერთმანეთს. — ჭიქა ასწია მასპინძელმა.

— აგრე იყოს, როჭიტე.

ანტონინამ იცოდა: ამით ზეიმი დამთავრდა, ახლა როჭიტე დაიწყებს
ლაპარაკს. თავადაც ილაპარაკებს, მაგრამ სათქმელი რომ არაფერი აქვს?
განა საინტერესოა იმის მოსმენა, თუ ქმარი როგორ ეხიზმრება, ან ქალი-
შვილი შვილიშვილებს როგორ ზრდის?

— რა გემრიელია შენი კერძები, — ერთხელ კიდევ გულწრფელად შეა-
ქო სტუმარმა დიასახლისი, როჭიტეს კი ქებას მოსმენა არ ბეზრდებოდა.
მხოლოდ ახლა შენიშნა ანტონინამ, რა ღარიბულია როჭიტეს ბინა, ირგვლივ



თითქმის ყველაფერი გაცვეთილია. სავარძლის ზამპარები
ქორწილებზე.

— რესტორანში ვმუშაობდი, ანტოსელე, რესტორანში. კერძების დამ-
ზადება ვაცი. განა პატრონი ისეთ მზარეულს გააჩერებს, რომელმაც არ
იცის როგორ აამოს ბატონებს? ბევრი მაოგანი მინახავს და კარგად ვიცი
შათი ზნე. გამოთვრებიან ხოლმე და სამზარეულოში მოძვრებიან. ვფელა
მოვრალი მამაკაცი ღორია — ბატონებიც და რა ჰქვია იმათ? ამხანაგებიც.
ვიცნობ! ისინიც მინახავს და ესენიც. მაგრამ ამაზე არ მინდა ვილაპარაკო,
ჯული მერევა! ჩემი ქმარი თეატრში მნედ მუშაობდა. ჩამოვა ვიღაც გასტ-
როლიორი და მოვიყვანს. კანონს არ დაგიდევენ და სამართალს. იცი, ან-
ტონინა, თუ არა, რომ თმის შემდეგ სამოც წლამდე, სახლში საკუთარი სა-
სადილო მქონდა.

— აბა, საიდან მეცოდინება, როჟიტე?

— სასადილო, საკუთარი სასადილო! უნდა გიხსენებოდა, რომ ხალხით
ვმუშაობდი. ვინ არ სადილობდა ჩემთან, ახლა ისინი პროფესორები, დირი-
ჟორები, მწერლები და სახალხო არტისტები არიან. მაშინ ახალგაზრდები
იყვნენ. სადილში თუქმანს ვახდევინებდი, ვეუბნებოდი, თუ მოსვლა არ შეგი-
ძლიათ, დარეკეთ, არაფერს არ გადაგახდევინებთ. ქმარი სოფლებში და-
დიოდა, პროდუქტებს შეისყიდდა და ჩემთვის მოქმენდა. ფინანსისტებსაც
ვეყვებოდი, რომლებიც ამ საქმეებს ამოწმებდნენ. თავდაპირველად მაგიდას
რომ მოუსხდებოდნენ, წითლდებოდნენ, მაგრამ ჭამდნენ. ახალბედებს მხო-
ლოდ ძველი მჭამელების რეკომენდაციით ვლებულობდი. ბევრი მუშტარი არ
მყავდა — ხან თორმეტს ვისტუმრებდი, ხან — თხუთმეტს. საბჭოთა და კა-
თოლიკურ დღესასწაულებზე მაგიდაზე გრაფისსაც შემოვდგამდი ხოლმე
მხიარული სადილობა გვქონდა, მართო დღესასწაულებზე კი არა, ყოველ-
თვის კარგი ოჯახი უჯდა მაგიდას. ზოგაერთებმა შეიყვარეს კიდეც აქ მო-
სადილე ქალიშვილები. შეირთეს თუ არა, არ ვიცი, ერთმანეთი რომ შეიყ-
ვარეს, ეს კი ვიცი. მერე დავიდალე და კერძების დამზადებას შევეშვი,
მაგრამ გაჭირვებამ მაიძულა. საქმე ისაა, რომ სიყვარულმა მეც დამახვია
თაებრუ.

როჟიტე დაღუძდა. ანტონინა გრძნობდა, რომ დიასახლისი ძოვლის
შეკითხვას.

— მერედა ვინ შეიყვარდა?

წარმოვიდგენიათ? ქმარი ცოცხალი ჰყავდა და სხვა შეიყვარა. რაკი
ასეთი უბედურება დაატყდა თავს, ახლა მაინც უნდა გაჩუმებულიყო, მაგრამ
როჟიტეს როგორ გააჩუქებ — იგი ახლაც იღებავს ტუჩებს. ანტონინას მა-
ლიან არ მოსწონს ასეთი საცქიელი, როჟიტეს სახე შემწვარ ვაშლს მთუ-
გავს, ერთ დროს კი მზეთუნახავი იყო, რამდენი პუდრიც არ უნდა შეიყა-

რო, ნათქვამს ვერ დამალავ, თანაც შებუდრულ სახეს გველაფერი ედებოდა.
მაგრამ რას გააწვობ — როფიტე, როფიტეა.

— შემიყვარდა! როცა ციხეში არ იჯდა, ფული სჭირდებოდა, როცა
იჯდა — ამანათებს ვუგზავნიდი. არა, ქურდი არ იყო. დაბატონებოდაც
დიდი ხნით არ აპატიმრებდნენ. ჩხუბისთავი და აყვია იყო. არაფერი ეშვე-
ლა. ფრონტზე იბრძოდა, მაგრამ იბრძოდა. ამიტომაც დიდი ხნით არ აჯენ-
დნენ. თუმცა მართალი რომ გითხრა, დღესაც არ ვიცი, ვის ებრძოდა. ქალს
ქმარი უნდა და არა ჯარისკაცი. ცუდად დამთავრდა ჩემი სიყვარულის ამ-
ბავი. ერთ თვეში ოცი წლით დაბერდა. მე ასე მგონია: როცა აღამიანი იბა-
დება, ღმერთი მას იმდენ ძალას აძლევს, რამდენის დახარჯავს უწერია.
ბოლომდე რომ დახარჯავს, მორჩა! ალბათ, ჩემმა საყვარელმაც, რაც ძალი
ჭკონდა, დროს ტარების მიახარჯა. ციხიდან რომ გამოვიდა, ვეღარ ვიცანი.
თითქოს ის არის და არც არის. დანახანაკებულ მოხუცს დაემსგავსა. დავს-
ვი სადილად ქმრის გვერდით. მოგვიანებითაც ასე ვიცეკვოდი — ეასადი-
ლებდი. ის კი, არ დაჯერებ, ისეთი მჭირალა გახდა, რომ სულ გადავიწყ-
და ძველი აყალბაყალი. ჭამას მორჩებოდა, მადლობას მეტყვოდა და ხელზე
მავიცებდა ხოლმე. აჰ, აჰ, აჰ, სისხლი აქამდე მიდუღს. ნათქვამი რომ არა
— მე ხომ შემწვარ ეაშუს ვგავარ, — ბევრს დაუფესებდი თვალებს. ღმერთ-
მა ჩემთვის წყალობა არ დაიშურა, მაგრამ ბოლოს წამამწარა. ჯობდა, ამ-
დენი სიკეთე არ გაემეტებინა ჩემთვის. ოჰ! ძლიერ მტანჯავს ჩემი ფანტა-
ზიები. კერძების კეთების თავე დავანებე. ჩემი მოხუცი, აი, ეს ჩხუბისთა-
ვი, მე რომ მიყვარდა, გაყრილ ცოლს დაუბრუნდა. ახლა ცოლი უმზადდება
საჭმელს. ჩემი ქმარი კი მიიცვალა. და, რა თქმა უნდა, მეც დავმომძინდი.
ბენსიის გულისსათვის დავიწყე მუშაობა სასადილოში, რომელსაც მასადი-
ლენი თავლას ეძახდნენ. სულაც არ მეხალისება, მაგრამ რა ვქნა. იცო წუ-
ხელ რა მესიზმრა? ჩვენი ტბა! გლეხებმა ცხენები აბანავეს, შეკაზმეს და
გაატენეს. მე კი ამ დროს ღელეში ვბანაობდი. შენც ხომ იცო, სოფელში
დღემობილა ვბანაობდიო ხოლმე. ბუჩქებს ამოვეყვარე, მკერდზე ხელისგუ-
ლები ავაფარე, თან მრცხვენია, თან ტანში ტკბილი ჟრუანტელი მივლას,
გლეხები ცხენებს მოატენებენ, თან მემსნია არ დამინახონ, თანაც ძალიან
მინდა დამინახონ!

— მეც დამესიზმრა ჩვენი ტბა, — ის იყო დაიწყო ანტონინამ.

— არა, არა, შენ ისეთს ვერ დანახავდი მას, როგორიც ჩემს თვალში
ჩანდა, მოვარდნილმა ქარსიხალმა ჯერ გაამაგა, შემდეგ ლურჯად-ღურ-

ჯად აღაველიდა, შიგ თეთრი-თეთრი ღრუბლის ქულები გამოჩნდა. ოჰ-ოი!
და როფიტე ისევ დადუმდა. სახე მოეღუშა: არც მეტი, არც ნაკლები,
ნამდვილ ქალბატონს დაემსგავსა. ანტონინამ იცოდა, რა მოხდებოდა შემ-
დეგ, როფიტემ გამოსწია კამოდის ყუთი, ამოიღო ოქროს საათი, დაქექი-
ლი ბიბლია და მაგიდაზე დადო.

— ესღა შეძიძრნა, ოქროს საათი შავი დღისათვის, ბიბლია ვეფხვეს ღდას კი ვკითხულობ, გული რამ ამოფორიაქდება და ვევედრება შენთვის, დამიცხროს თინა.

სტუმარი გრძნობდა, როგორ ეპარებოდა ძილი, როგორ უბოჭავდა ფეხებს, ეწეოდა ზევით, თავისკენ. როგორ ეწებებოდა ერთმანეთს ქუთუ-თოები, ერთი წუთიც და, ხვრინვას ამოუშვებდა.

— არამც და არამც არ შეიძლება წვეულების ასე დამთავრება. როჟიტეს ეწინება. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მოხუცი მაინც წამოიღვა სავარძლიდას და თქვა:

— წავალ, როჟიტე, გმადლობ სადილისათვის.

— შეგერგოს, ანტოსელე.

ჩაცმამი მიეშველა, ავოცა, ჩაიხუტა:

— ჩვენ ორწაილა დაერწით ამ ქვეყანაზე. სრულ ორ საათზე გთხოვ მო-მაგელ კვირას მეწვიო შენთვის გამართულ სადილზე.

— მოვალ, როჟიტე, ნახვამდის.

— ნახვამდის, ანტოსელე.

თარგმნა პიოტრპი სალუქვაძემ

რედაქციისათვის: ცნობილი ქართველი პოეტის, ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრის გიორგი სალუქვაძის ლექსები თუ თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა „ჭოროხის“, და არამარტო „ჭოროხის“, ფურცლებზე.

ლიტველი მწერლის ვიტაუტას რიშკიავენიუსის ამ მოთხრობის თარგმანი, შეპირებისამებრ, ჟურნალის საახალწლო ნომერში უნდა დავებეჭდოთ. პირობა შევასრულეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, გიორგი სალუქვაძე ამ თარგმანს ვეღარ იხილავს. იგი მისი უკანასკნელი ნამუშევარი აღმოჩნდა...

იუნონა გოგია

იქ, ოკეანის გადაღმა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიანის მ. ს. გორბაჩოვის ისტორიულმა ვიზიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერამ, რომლის თანახმად უმეცაბესი კონტროლის პირობებში ისტორიაში პირველად განადგურდება ორი კლასის ბოროტული შეიარაღება, მთელი მსოფლიოს კეთილი ნების აღამიანების საყოველთაო მოწონება და მხარდაჭერა გამოიწვია. ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას, ხალხთა შორის ურთიერთნდობის ზრდას.

სწორედ ურთიერთნდობისა და კეთილმშობლური კონტაქტების გაფართოების მიზნით გასული წლის შემოდგომაზე ამერიკის ორგანიზაციის — „საბჭოთა-ამერიკელ ინიციატივითა ცენტრის“ მოწვევით ამერიკის შეერთებულ შტატებში ესტუმრა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის რეკავიანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო კომკავშირის აპარის საოლქო კომიტეტის ისტრუქტორი იუნონა გოგია.

იუნონა გოგია ბათუმელია, წარჩინებით დაამთავრა ქალაქის მე-7 საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგ-სტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1983 წელს დაამთავრა. უნივერსიტეტშივე დამოუკიდებლად შეასწავლა ინგლისური ენა. ვფიქრობთ, „ჭირბოხს“ მკითხველებს დაახტებრესებთ მასი ამერიკული შთაბეჭდილებები.

ბრგორ იმსხვამვა სტამბოლში

საერთოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლა თუ წარმომედგინა, რატომაც მხოლოდ ოკეანის გავლით, ნიუ-იორკში, თანაც ფანტასტიკური ცათამბჟენების ფონზე ამაყად უნდა აღეშარათ ხელი დიდებულ ლიდის — თავისუფლების ქანდაკებას. მაგრამ სულ სხვანაირად კი მოხდა: საოკეანო კი არა, საჰაერო ლაინერთი ეიმგზავრ და ნიუ-იორკში კი არა, ჩიკაგოში ჩავედი — სიდიდითა და ეკონომიკური მნიშვნელობით ამერიკის მეორე ქალაქში.

ადგილობრივი რეკლამა ჩიკაგოს „საოცნებო ქალაქს“ უწოდებს. მართლაც, ჩინებული ქალაქია, მეტადრე დამით — უშუაველი ელექტრობით გაჩირადნებული ჩიკაგო ბრწყინავს, ელვარებს და მიჩიგანის ტბის წიაღში ირეკლება. ხოლო რა იმალება თანამედროვე სუპერინდუსტრიული ქალაქის პრობლემების წიაღში? სამწუხაროდ, სამი დღის ნაცნობობა მეტად მცირე დროა, რომ ამ კითხვას ეუბასუთო.

ჩიკაგოში განსაკუთრებით დამამახსოვრდა მსოფლიოში უდიდესი სავაჭრო ბირჟა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სკოლა ოუკ პარკი, სადაც ერნესტ ჰემინგუეი

სწავლობდა, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკონსულტაციო პირველად შეცვლით დიდ აუდიტორიას.

ეს შეხვედრა იმიტომ იყო აღსანიშნავი, რომ დავანახვა, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი ქვეყნისადმი, როგორ ესმით უთარგმნელად წარმოთქმული სიტყვების — საჯაროობისა და გარდაქმნის — შინაარსი. ამ ბოლო დროს ამერიკელებმა უბრალოდ ეცნობიან საბჭოთა კავშირის ცნობრებას ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. და მაინც ამერიკელებმა საოცრად ცოტა რამ იციან ჩვენი ქვეყნის შესახებ. ეს ცხადი გახდა მრავალრიცხოვანი შეხვედრების დროს, ამას მრავალი მიზეზი აქვს: გაუცხოებისა და უნდობლობის წლები, აზროვნების სტერეოტიპულობა, საბჭოთა კავშირზე დამახინჯებული წარმოდგენა, რაც დიდიხანს განსაზღვრავდა უბრალო ამერიკელების დამოკიდებულებას საბჭოთა ადამიანებისადმი. ამიტომ იყო, რომ საუბრისას უკუღმართი კითხვები წამოიჭრებოდა ხოლმე: შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირში ადგილმონაცვლეობა? ყველასათვის ხელმისაწვდომია თუ არა სპორტი? შეიძლება თუ არა საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა? ზოგჯერ ქირდა მათზე პასუხის გაცემა, ხოლო შემდეგ ადვილიდან რთულზე გადასვლა — მოსაუბრისათვის ჩვენი ახლანდელი გარდაქმნების მნიშვნელობის გაგებინება.

სასკოლო განათლება

სასწავლებლების გაცნობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩვენი მგზავრობის ბროგრაფიაში. შეხვედრები ამერიკის სკოლებში თავისებური მშვიდობის გაცვეთილებად იქცეოდა ხოლმე. ბავშვები რას არ გვეკითხებოდნენ თავიანთ საბჭოთა თანატოლებში. დიდი ინტერესით გვსინებდნენ, როცა თხოვნები საბჭოთა რესპუბლიკის მშურ კავშირზე მოუფთხოვდით. გვთხოვდნენ ქართულად გვეთქვა რამე, დავაზე დაგვეწერა ქართული სიტყვები, რასაც შემდეგ გულმოდგინედ იმეორებდნენ. თავდაპირველად გაუბედავად, მერე კი უფრო ხმაბლად გაისმოდა „სამშობლო“, „მშვიდობა“, „მეგობრობა“, გამოთხოვებისას კი — „ნახავამის“.

სასკოლო სწავლების თავისებურებად უნდა ჩაითვალოს სპეციალიზაცია უფროს კლასებში და მოსწავფეთა განაწილება ჯგუფებად ნიჭიერების მიხედვით. მიღებული ცოდნის სისტემატიზაცია მოსწავლეს უნდა გამოადგეს მომავალში საზოგადოებრივი ღირებრის როლის შესასრულებლად. მოსწავფე უნდა ემზადებოდეს წარმატების მოსაპოვებლად, იყოს შრომისმოყვარე და საქმიანი, დაიმსახუროს პატივისცემა და ავტორიტეტი. ეს თვისებები საქმიანი კაცის „ქვეტელმენტური კომპლექსის“ უმნიშვნელოვანესი შენადგენელი ნაწილებია.

შთაბეჭდეა ამერიკული სკოლების მოწყობილობა, როგორც წესი, მათ სკოლას აქვს მრავალი სასპორტო მოედანი, სტადიონი, აუზი, საცეკვაო და მანუერბელთა დარბაზები, კომპიუტერების ლაბორატორია. ამიტომ დიდი შესაძლებლობაა მისდევდნენ სპორტს, მეცადინეობდნენ შენი ინტერესების შესაბამისად. მაგალითად, ჩიკაგოს სკოლა ოლე პარკში, სადაც 2000 ბავშვი სწავლობს, 80-ზე მეტი სპორტული წრე და 50 ინტერესის კლუბია, აქვთ დრამატული სტუდია, სიმფონიური ორკესტრი, ქალაქ ლოს-ანჯელისის უმაღლეს სკოლაში — სასულე ორკესტრი, როკ-ჯგუფი, ჯაზ-ანსამბლი.

უფროს კლასებში მოსწავლეები ირჩევენ მათთვის საინტერესო და მომავალში საჭირო კურსებს — ენებს, ისტორიას, ბიზნესს, ტექნოლოგიას, საოჯახო ეკონომიკას, ხელოვნებას, ფიზიკურ აღზრდას, მეცნიერებას და ა. შ. საოჯახო ეკონომიკის კურსის ფარგლებში ისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა „სამომხმარებლო განათლება“, „ექსპერიმენტული საქმელი“, „მოსწავლის ტანსაცმელი“, „უახლესი ტანსაცმელი“.

„ბავშვის განვითარება“, „სახლისა და ინტერიერის დიზაინი“, „ოჯახის ცხოვრება“, ტექნოლოგიური კურსი მოიცავს საგნებს: „ელექტრონიკას“, „წარმოებას“, „მშენებლობას“, „ტექნოლოგიას“, „კომპიუტერებს“ და ა. შ.

ნიჭიერების მიხედვით ჯგუფებში მოსწავლეთა შერჩევის საფუძველია მასწავლებლებისა და დეკანის რეკომენდაციები, აკადემიური წარმატება, ტესტების შედეგები, თვითგანათლების უნარი და პიროვნული თვისებები. ზაფხულის არდადეგებს — დაახლოებით ორთენახევარს — ბევრი მოსწავლე ფულის საშოვნელად იყენებს. ამერიკელი ბავშვები დამოუკიდებლობისაღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებით გამოირჩევიან, ამიტომ საკუთარი ფულის ქონა მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

აღზრდის საქმე მხოლოდ სახელმწიფო სკოლების ხელში როდია, ამ ამოცანას წყვეტენ კერძო სკოლებიც. სადაც სწავლება ძვირია, მაგრამ მისი ხარისხი ძალზე მაღალია.

ქალაქ ლოს-ანჯელის კოლა მარია მონტესორის სკოლაში, რომელიც 1970 წელს დაარსდა, ამჟამად 88 ბავშვი სწავლობს. პროგრამაში სწავლების მიზანია ასეთ ჩამოყალიბებული: „აღზრადით ისეთი ადამიანი, როგორიც შეიძლება ბავშვი გახდეს“. თუ შემდეგ: „იღიბები იმისათვის მუშაობენ, რომ გარემო სრულყოფილ, ბავშვი კი — თვითსრულყოფილსაღმდეგ“. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ყველაფერი — მასწავლებელთა მთელი გულისყური, მრავალმხრივი ინტელექტუალური, კულტურული და ეთიკური განვითარებისათვის ზრუნვა, ჩინებულად მოწყობილი კაბინეტები, კლასები, ოთახები.

ამერიკული სკოლა, ცხადია, ბევრი რამით განსხვავდება ჩვენი სკოლისაგან, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით. ბავშვებს ფორმა არ აცვიათ, ვაკეითილებზე უფრო ლაღად უჭირავთ თავი, ამავე დროს შეიმჩნევა დისციპლინა: მცადინეობა იწყება წუთი წუთზე, კლასებში სიწყნარება, შეხვედრებისას — არავითარი ფუსფუსი და სიბიბილი. და მაინც იმით, რაც თავიდათავეა მოზარდის ცხოვრებაში — სწავლა, სამუშაო და თავის თავის შეცნობა, — ჩვენი ორი ქვეყნის ბავშვები ძალიან ჰგანან ერთმანეთს. ასევე, მაგონა, ასაკობრივ თავისებურებასთან დაკავშირებული პრობლემებიც ერთნაირია როგორც ჩვენი, ისე ამერიკელი ბავშვებისათვის.

ბრაიან უილსონი

ახლა ყველასათვის ნაცნობია ბრაიან უილსონის სახელი. ეს მამაცი ამერიკელი ამ რამდენიმე ხნის წინ გადაუღვა მატარებელს, რომელსაც იარაღი გამოჰქონდა ერთ-ერთი ამერიკული ბაზიდან ნაკარავი კონტრარევოლუციონერებისათვის. ჩვენ სან-ფრანცისკოში შეგვხვდით ბრაიან უილსონს, სოლიდარობა გამოუფიქრად საბჭოთა ადამიანების სახელით და გადავცით მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ოფიციალური მიწვევა ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში დასახელებულად და სამკურნალოდ.

როგორც მოგვხსენებთ, მაშინ მატარებელმა ბრაიან უილსონს ფეხები მოსწვია, მაგრამ მას არ დაუყარავს სულიერი მხნეობა. მტაცებელმა აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა სამართლიანობისათვის, ნაკარავის საქმეებში ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ. იგი თავდაპირველი და სიტყვაძუნწია, იმ ტრაგიკულ დღეს მშვიდად იგონებს, ცრუ პათეტიკის გარეშე.

ისეთი ადამიანები, როგორც ბრაიან უილსონია, მართებულად ფიქრობენ, რომ სიკვდილს მხოლოდ სიცოცხლე დაამარცხებს, უკუნეურობას — ფიზიკური განსჯა. მათ მიაჩნიათ, რომ პასუხისმგებელნი არიან მსოფლიოს ბედისათვის, ისინი როდია ეღო-



დებთან, რომ თავისთავად მოვა პასუხი კითხვისა — „ყოფნა, არყოფნა?“ მათი პასუხი პათოლოგიური კაცის მოქალაქეობრივი პოზიცია, სიყვითლე და სამართლიანობის მოთხოვნაა. ჩვენთვის სწმენა, დრო წარმოშობის თავის გმირებს!

ინტერვიუ

„ისინი მეცადინეობენ სასპორტო კლუბებში, ღაღიან კინოში, კითხულობენ ფანტასტიკასა და ლეტენტურებს, ესწრებიან დისკოთეკას...“ ასე იწყებოდა ჩვენი ჩასვლისა დამიძღვნილი ცნობა, რომელიც „სან ოზე მერკური წუთისში“ გამოქვეყნდა. არ ვიცო, რამდენად ჩვეულებრივია ასეთი დასაწყისი ამერიკელი მკითხველისათვის, ჩემდა თავად კი მათ აღვიღწე რომ ვყოფილიყავი, უთუოდ გავიფიქრებდი: დახტო, ჩვეულებრივი აღმამანებელი არ იქცევია?“ მთელი ამერიკული პრესის განცხადებები ვიცისრებ, მით უმეტეს ჩემს თვალსაზრისს ყველა გამოცემასა და ყველა ჟურნალისტზე ვერ გავავრცელებ, მაგრამ ისინი კი, ვინც ჩვენს ამერიკაში ყოფნას აშუქებდნენ, ჩემი შეხედულებით, სქემატური იყვნენ. სხვათა შორის, ეს ხტილის ერთი თავისებურებათაგანია — მკითხველს აწვდიან ინფორმაციას და არა დასკვნებს. და მაინც უჩვეულოდ მეჩვენებოდა რეპორტიორების მიღწევილება — კი არ გაიგონ, არამედ შეამჩნიონ, კი არ მოუთხრონ, არამედ აღწერონ.

რეპორტიორებს, რომლებიც ყველგან თან გვანდნენ, აინტერესებდათ, ჩვენი აზრით, რამდენად მკეთრიან განსხვავება ამერიკელებსა და საბჭოთა აღმამანებს შორის. ამიტომ არაერთაზრის ისტუდენტული ენაყვით განვედმარტა, რომ ჩვენი ჩამოსვლის მიზანი განსხვავების ძებნა კი არ არის, არამედ სახიათების, ინტერესების, საზრუნავის, იმედების შეხების წერტილებსა; ძიება ურთიერთგაგებისა და ნდობისა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ პუბლიკაციებში ასეთი სტრუქტურები გვხვდებოდა: „ეს ვიზიტი კეთილი ნების გამოხატულებაა და ხელს უწყობს სტერეოტიპების მსხვერპლს. ასეთი შეხედვრები სპონს ბარბერებს“.

გალაქული დიპლომატიკა

ჩვენ „ქალაქელ დიპლომატებს“ გვეძახოდნენ. ჩვენი მგზავრობა იმითაც გამოირჩეოდა, რომ სასტუმროებში კი არა, ამერიკელთა ოჯახებში ვცხოვრობდით, მასპინძლების სტუმართმოყვარეობა და გულთბილება ზოგჯერ გვაფიქვებდა, რომ სტუმრად ვიყავით. ჩვენ ვხვდებოდით და ურთიერთობა გვქონდა ჩაკაგოს, კალიფორნიის ქალაქების სან-დიეგოს, ლოს-ანჯელესის, სან-ფრანცისკოსა და ნიუ-იორკის მცხოვრებლებთან. ყველა მათგანმა კეთილი და სასიამოვნო მოგონებები დაგვიტოვა. მაგრამ მაინც ორმა ქალაქმა — სან-დიეგომ და ლოს-ანჯელესმა განსაკუთრებული აღვილი დაიკავა ჩვენს გულში. პირველმა ოთხი ჩვენგანი, მათ შორის მეც, თავის საპატიო მოქალაქეებად ავტორია, მეორემ კი გასაღები გადმირგვცა, რომელიც ნიქტომბრით — ჩვენი ვიზიტის დღით არის დათარიღებული.

სან-დიეგოს მერის ხელმოწერილ სიგელში ასეთი სტრუქტურებია: „ქალაქისათვის დიდი პატივია, რომ თქვენი ვიზიტის აღვილად აირჩიეთ“. გააა ნაკლები პატივია ჩვენთვის კალიფორნიის ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქის საპატიო მოქალაქეობა!

იგი თუ არა გავიგებოდა?

სან-დიეგოში კაფე დელ-მორიში ლიენჩის დროს ერთმა სანდაშულმა ქალბატონმა ფერადი ლენტები მაჩუქა. თითოეულზე რაიმე გამონათქვამი ეწერა, მაგალითად, ასეთი: „დღემიწის მშვიდობა დამოკიდებულია იმაზე, შეგვიძლია თუ არა მე-

გობრობა და გვსურს თუ არა ვისარგებლოთ მეგობრობის ნაყოფით“ და სტუმოწიკა „ბერტაკოდე“. ეს აზრი არც ახალია და არც ორიგინალური, მაგრამ აქტუალური. მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ. ხოლო ცოტათი თუ შევცვლით: მითხარი, შეგიძლია თუ არა მეგობრობა და გეტყვი, ვინა ხარ, სომ ასე აუცილებელია გავუვით სხვას, თუნდაც სულ სხვანაირად ფიქრობდეს და ცხოვრობდეს. სხვაობასთან ერთად ხაერთაც ხომ გვაქვს — ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრების სურვილი. რაკი საერთო მიზანი გვაქვს, მეგობრობას წინ რაღა დაუდგება! მე განსაკუთრებით დამამახსოვრდა შეხვედრა სან-დიეგოში სანდრა და კრეიგ ლონგების მყუდრო და სტუმართმოყვარე სახლში. დაახლოებით 50 კაცმა მოიყარა თავი. ზოგნი ხავარძლებზე დასხდნენ, ზოგნი — ხალიჩაზე, იატაკზე გაშალეს უზარ-მაზარი მსოფლიოს რუკა, რომელზეც აღმებით აღნიშნული იყო ქალაქები — მოსკოვი, თბილისი, ბათუმი, სან-დიეგო. შეკრებილნი რიგ-რიგობით ჰყვებოდნენ თავის თავზე, თავის ცხოვრებაზე, ინტერესებზე, იმაზე, რაც ყველაზე უფრო სანუყვარი და მთავარი იყო მათთვის. აქაც, ისე როგორც სხვაგან, დაწვრილებით გვეკითხებოდნენ ქართველების ტრადიციებზე, წინაჩვეულებებზე, ისტორიასა და კულტურაზე. გვთხოვდნენ წაგვეკითხა ლექსები ქართულ ენაზე, იწერდნენ ცალკეულ სიტყვებს ინგლისური ტრანსლიტერაციით. რუსულად, ქართულად, ინგლისურად ვაისმოდა სიტყვები: მშვიდობა, მეგობრობა, სიყვარული, მშე, დედა, თვალს კი ისევ და ისევ რუკაზე დამაგრებულ აღმებს ვაპყრობდით: დიღა მსოფლიო და მაინც ვიწროა იგი. ბოლოს ვნაბით ამერიკელი მოსწავლეების მიერ გადაღებული ფილმი შარშან მოსკოვსა და ლენინგრადში მათი მგზავრობის შესახებ. სურათის ფინალში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დროშები ფრინველებად იქცევიან და მოწმენდილ ცაში აიპრებიან ხელიხელჩაკიდებული საბჭოთა და ამერიკელი ბავშვების თავზე.

რა არის მოღაში?

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მატერიალური წარმატების, კომფორტისმისა და პიროვნების სტანდარტიზაციის, ფარისევლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ახალგაზრდობის პროტესტის გამოხატულება იყო სხვადასხვა დროს მიმების, ბიტნიკების, გოდზის, როკერების, პანკების მიმდინარეობები. გამოხდა ხანი და ამ მიმდინარეობებმა დაკარგა პოლიტიკური, უფრო სწორად, აპოლიტიკური მიმართულება და ვარცხნილობის, ტანსაცმლის, მუსიკალური სტილის მხოლოდ მოდად იქცა. რა აზრითებს დღევანდელ ამერიკელ ახალგაზრდობას? მართალი გათხრათ, მე არხად არ შემხვედრია ჩვენთვის ჩვეული ახალგაზრდობის მოდური მიმდინარეობათა ნიშნები: არც მამლიხებული ვარცხნილობა, არც მოპარსული კეფა, არც ღითონის მოქლონები და ჭაჭვები. როგორც მე მომეჩვენა, ახლა მოდაშია ჯანსაღი კეთილდღეობის სტილი. თუმცა უთუოდ ძნელია იმის თქმა, თუ რა არის მოდური ამერიკაში და მაინც... მოდაშია, გამოვყურებოდე ლამაზად, იგულისხმება ფიზიკური სილამაზეც: ხაზის უფრო, ტანადობა და მომართულობა. ამიტომაც, გატაცებული არიან სირბილით, სპორტული სიარულით, იცავენ დიეტას. მოდაშია მონებილიონ ზედმეტობა, არ მოსწიონ თამბაქო, ტანსაცმლის სტილი ნაირ-ნაირია, ოდნავ სპარბობს ჭინსის, ქვედატანი სულ ზევით-ზევით მიიწევს. პოპულარულია მძიმე როკი: „ბლუ-პი“, „უაიტსნეიკი“, „ბიკ ფლოიდი“, „მოტლი კრიუ“, „ფლადეუდ შეიკი“. პოპულარობის ცხრაღში კვლავ საპატიო ადგილზეა: მადონა, მაიკლ ჯექსონი, უიტნი ჰიუსტონი.

ასეთი კაცის ბუნება: უცხოეთში რომ მოხვდება, ცნობისმოყვარეობით შესცქერა ურყეულობს, ამჩნევს დამახასიათებელს, აკვირდება და აღარბა...

მგზავრობისას არაერთხელ დაგვხვდებოდა კითხვა: როგორი არიან ამერიკელები? აი ისინი — გულწრფელი და კეთილშოსაუბრენი, უბრალონი და თავაზიანი, გულთაღნი და გულისხმიერნი. მათ აღელვებთ ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, აფიქრებთ მშვიდობის ბედი მსოფლიოში. მაგრამ რატომ არიან ასე გულმშვიდნი, როცა სიტყვა ჩამოვარდება უმუშევრობაზე, უსახლკარობაზე, რასიზმზე მათ საკუთარ ქვეყანაში?


უსახლკარო ადამიანებს, საბანში გამოსვულთ, სძინავთ ქალაქის ქუჩებში, მძიმე სანახაობაა. სან-დიეგოში გეწვიეთ უსახლკაროთა თავშესაფარს. კარგი, კეთილმოწყობილი სახლია, კათოლიკური ეკლესიის სახსრებით აშენებული. გავსინჯეთ აქ მობინადრეთა საკმელი: პლასტმასის ლანგარზე აწყვია ცოთადენი ტომბიანი ცერცვი, კომპოზტოს საღათი, პური, ფორთოხალი და ერთი ქილა პეუსი-კოლა. იმათ ხავიზიტო ბარათებზე, ვინც უსახლკაროებს ეხმარება, არის ასეთი წარწერა: „დააპურე მშვიერი, შემოხე შეშველ-ტიცხელი, შეიფარე უსახლკარო“. დიდებული სიტყვებია! მაგრამ ამ შემთხვევაში ეს შეგონება მხოლოდ ამ სახლის ოთახს მობინადრეზე ერცელდება და ისიც ექვს თვეს (თავშესაფარში ყოფნის დრო შესწდულულია).

ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ, უსახლკარონი შეკრებილან, ხელში ხამშვიდობო პლაცატები უჭირავთ. გამვლელები და ტურისტები მისჩერებიან მათ როგორც დედაქალაქის თავისებურ ღირსშესანიშნაობას. ერთი უსახლკარო მოგვიანდოდა და გვთხოვა ხელი მოგვეწერა მოწოდებაზე მისიელ ხერგის ძე გორბაჩოვის სამშვიდობო ინიციატივის მხარდასაჭერად.

ნახვამდის

ორი კვირა გავატარეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ალბათ მეხსიერებიდან წაიშლება ბევრი სურათი, დღეს რომ ასე ნათლად გვიდგას თავაღწინ, მაგრამ დრო ვერ შეეხება მთავარს: სტერეოტიპების მსხვერვის, არცოდნიდან ცოდნისაკენ, ინტერესიდან გაგებისაკენ მიმავალ გზაზე გადაგმულ კიდეც ერთ ნახევს.

მოგვიწყენია, მეგობრებს რომ ვშორდებით, მაგრამ ამ სეუდას ანელებს შინ დაბრუნების სიხარული.



ნახევარი საუკუნე კოლიგრაფიაში

აქარაში საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებული იყო, მახარაძის რაიონის სოფელ შეღვერდისიდან ბათუმში რომ ჩამოვიდეთ — მუშაობის დაწყება მსურდა. მივაკითხე ჩემი ბიძაშვილის მეუღლეს ამაჟოა როგავას, რომელიც № 1 სტამბაში მუშაობდა. მან მირჩია სტამბაში დამეწყო მუშაობა.

დავთანხმე და სტამბის გამგე სიმონ შიპიციანთან მიმეყვანა. შიპიციანი ცოტათი იყო ჩემზე უფროსი, გახშიანებულ ბოლშევიკურ გაზეთებს „ბურევესტიკა“ და „გოლოს ტრუდას“ აწეობდა!

შიპიციანმა მითხრა, ბატარა საბეჭდო მანქანაზე იმუშავო და ბეჭდე ერემა აკოფოვს უხმო: ეს ყმაწვილი შენი მოწაფე იქნება და ხელთა კარგად შეასწავლო.

სწორედ რომ განმარტდა — საუცხოო მასწავლებელი შემხვდა. ერემა აკოფოვს თბილისში მამასთან ერთად საკუთარი სტამბა-ლითოგრაფია ჰქონდა. იგი პოლიგრაფიის დიდი ოსტატი იყო, კარგად იცოდა საბეჭდო მანქანების დაშლა-აწყობა და ბეჭდვა. სტამბა-ლითოგრაფია რომ ჩამოართვის, ბათუმში ჩამოვიდა და აქ დაიწყო მუშაობა.

მისი ზედმძღვანელობით შევიღე პირველი შრომითი ნათლობა და პოლიგრაფიაშიც მალე გავიწაფე.

ბათუმში შევიღე კერძო სტამბა, ორი ლითოგრაფია და ერთი სამაქინძო იყო. როცა ისინი მეპატრონეებს ჩამოართვეს, პირველ ორ წელიწადს ყველა ძველ შენობაში განაგრძობდა მუშაობას, მხოლოდ პოლიგრაფიის კანტარა მდებარეობდა ლენინის ქუჩაზე, სადაც ახლა სამკერვალო საწარმოა გახსნილი.

ღირექტორი მიხეილ გეტმანსკი ძალიან ცდილობდა სტამბებისათვის ერთ შენობაში მოეყარა თავი, მაგრამ თავდაპირველად ასეთი შენობა ვერ გამოჩნდა. ბოლოს თვალი დაადგა ლუქსემბურგის ქუჩის № 20-ში მდებარე ყოფილ საბავების სახლს, რომელშიც შეიძლებოდა ყველა სტამბის მოთავსება.

ამ სტამბებში ბევრი მანქანა-დანადგარი იყო და ახალ აღვიდას კარგად რომ გემართათ, გამოცდილი მექანიკოსი ღარჩა საჭირო. ეს საქმე ერემა აკოფოვს მიანდეს, რომელმაც თავის თანამშენებელ მომითხოვა.

მანქანა-დანადგარები პირველ სართულზე დავდეთ, მეორეზე კი სამაქინძო ე.წ. თები განვალაგეთ. ყველა საბეჭდო მანქანა გამართულად რომ ამუშავდა, ღირექტორმა სტამბების გადატანის მონაწილეებს ბრძანებით მადლობა გამოგვიცხადა.

ეს იყო 1923 წლის შემოდგომაზე. ახალი, ფართო და მაღალმწარმოებლური სტამბა-ლითოგრაფიის გახსნას ბათუმში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: საგრძნობლად გაუმჯობესდა საბეჭდო პროდუქციაზე მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და შესაძლებელი გახდა პოლიგრაფისტთა კვალიფიციური კადრების აღზრდა. ამ პოლიგრაფიულმა ბაზამ კეთილსინდისიერად იშრომა, აქამდე მოიტანა თავი და ახლაც ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ უკვე ვეღარ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს. ამიტომ ახალი სტამბის გახსნა გორკის ქუჩაზე, რომელშიც ოფსეტური ბეჭდვა იქნება, უადრესად საშუაო საქმეა.

ახალ სტამბაში მუშაობა დაიწყო პატარა საბჭოდ მანქანზე, რომელსაც „ამერიკანკას“ ვეძახდით. ვებედავდი ბლოკნოტებს, საქორწილო წერილებს, სამგლოვარო უფრცულებს, რომლებსაც როგორც ჭაღაქად, ისე სოფლადა კედლებზეც კი აკრავდნენ და საგზიოთ ბარათებს, რომლებიც მაშინ ძალიან პოპულარული იყო.

საბჭოთა ხელისუფლებამ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. თბილისში ვეღარ შეძლო სახწავლო სახელმძღვანელოებით ყველა რაიონის დაკმაყოფილება და 1925 წელს აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატმა ჩვენ შეგვავიყვანა 1-4 კლასებისა და წერა-კითხვის უცოდინართათვის რვა სახის სახელმძღვანელო საბეჭდო.

შევეთა გვიან — იენიხის ბოლოს მოგვცეს. საქირო იყო დღე და ღამის გასწორება, რომ პირველი სექტემბრისათვის წიგნები მზად ყოფილიყო. მასსოვს, რა მუხლჩაუხრელად შრომობდნენ გვერდების ამწყობნი ნესტორ ზვინგია და ალიოზა გოგიავა, როცა აწყობილი გვერდების ნაწილი საბეჭდო საამქროში ჩამოვიდა, უფროსმა დასაბეჭდად ძველ მბეჭდავს მისცა. ბეჭდვის დროს ასო გატყდა და 15 ათასი ცალი დაწუნებული იქნა. შემდეგ მეორე მბეჭდავს დააკისრეს ეს საქმე. მას ბეჭდვის დროს პატარა სურათი ამოუვარდა და კიდევ მეორე 15 ათასი ეგზემპლარი დაიწუნეს.

ამ მომენტში მარცხმა გამოშეცემილი დავით ჭავჭავია გააღიზიანა და ატეხა აურზაური. საამქროს უფროსმა მე დამავალა წიგნების დაბეჭდვა.

დავიწყო ბეჭდვა. პირველ დღეს ორი თაბახი დავბეჭდე და მესამე თაბახის ანაბეჭდი ღამის 4 საათზე დათიყო ჭავჭავიას ხატლში მივუტანე შესამოწმებლად. რომ გავაღვიძე, გაუყვირდა და მითხრა: ძილი კი გამიტეხე, მაგრამ საქმე დაჩქარდებო.

ორი თვე თავაუღებლად ვმუშაობდით და სახელმძღვანელოები დროზე ჩავაბარეთ. ეს იყო სასწავლო წიგნების პირველი გამოშვება აჭარაში. ვინ იცის, რამდენმა კაცმა ისწავლა ამ წიგნებით წერა-კითხვა. ამის შეგნება მაამყებდა მაშინ და ახლაც მინდა აღვნიშნო, რომ მომდევნო ბერიადში, 1940 წლამდე სასწავლო წიგნები აჭარაში გამოდიოდა და ყოველწლიურად მე მიხდებოდა მათი ბეჭდვა.

კარგად მახსოვს ქართული გაზეთი „ფურხარა“, მისი მეთათხე და მეორათათხე ნომრების გამოსვლისადმი მიძღვნილი ზეიმები, რომლებიც 1924 და 1928 წლებში გაიმართა. ჩვენი მეათვედღეობისათვის, ალბათ ცნობილია, რომ პირველ ზეიმში მოწაწილეობა მიიღო მაშინ ბათუმში სტუმრად მყოფმა დიდმა საბჭოთა პოეტმა ზერგეი ესენინმა.

იმ დროს გაზეთის კიოსკები არ არსებობდა. სტამბის შემოსასვლელთან მოდიოდნენ გაზეთის გამყიდველები, რომლებიც რედაქციის მიერ იყვნენ შერჩეულნი. მე მქონდა სია, ვისთვის რამდენი გაზეთი უნდა მიმეცა. გამყიდველები ქუჩებში დარბოდნენ და გაიძახოდნენ: გაზეთი „ფურხარა“, „ბატუმსკი რაბოჩი“ ფულს იხინი რედაქციას ახარებდნენ. „კრიკუნები“ (ახე ვეძახდით მათ) იმდროინდელი ბათუმისათვის დამახასიათებელი კოლორიტული პაროვნებანი იყვნენ.

1930 წელს ამირჩიეს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. ნდობამ ძალია შენება, მაგრამ მოვალეობაც გამეზარდა. შემოევანეს კომისიაში, რომელიც ამოწმებდა საწარმო-დაწესებულებათა მუშაობას. 1932 წელს ცაკის რეკომენდაციით შემოევანეს კომისიაში, რომელსაც ევალებოდა დაწესებულებების, ორგანიზაციისა და კოლბერადიული ობიექტების მუშაობა კონტროლი.

ვცდილობდი პრინციპული და სამართლიანი ცხოვრებით. ეს დაფახეს და მომდევნო არჩევნების დროს კვლავ ამირჩიეს ცაკის წევრად.

ციყავი სტამბის მუშაობა პროფკავშირის გამგეობის წევრი, დავალებული მქონდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. გვყავდა მომდერალთა გუნდი, რომელშიც ჩემთან ერთად შედიოდნენ ალიოზა მიქელთაძე (მედროდა მუშათა კლუბშიც, ვალერიან

გოგირდის გუნდში და სოლიდის (ფო), ლეო სხარულოძე და ქიქოლა გაბადაძე.

ამ დროს სოციალდემობდა კოლექტივიზაცია და ჩვენმა ორგანიზაციამ ფაქტობრივად ორთაბათუმის (ამჟამად ზელვაჩაურის რაიონის ჩაიხუბნის) კოლმეურნეობის შეფუძნა. საშეფო კომიტეტის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს.

ერთ დღეს სტამბის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს ილია ხომერაძის ეწვია კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მუსტაფა ჩახვაძე და უთხრა, რომ დათესილი მქონდათ ყანები, სიმინდი მუხლამდე გაიზარდა ბალახთან ერთად, კოლმეურნეები ვერ ასწრებდნენ გამარგვლას და მოსავალი იღუპებოდა. ილია ხომერაძე მე მისმო, შევიპირდი, რომ სტამბის კოლექტივში ამ საქმის მცოდნე პირებს შევარჩევდი და კვირა დღიას კოლმეურნეობას ვესტუმრებოდი. მუსტაფა ჩახვაძეს ეთხოვე, ჩვენთვის თხოები დაგვედგინა.

შევარჩიე 11 კაცი და ერთდროით მივაღებეთ ორთაბათუმის კოლმეურნეობის კანტორას, ხალხი ბოლომდე დაგვხვდა — ანტერესებდათ, რას გააკეთებდნენ ქალაქელები. სიმღერით დაეწყოთ მუშაობა. მხარში ამოგვიდგნენ მუსტაფა ჩახვაძე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და ექვსი მოწინავე კომკავშირელი. სამ საათზე სადილად დაგვხვდით. რამდენიმე გლეხმა სადილი და ღვინო მოიტანა და შემოგვიერთდა. ილია ხომერაძე დადგოდა და გლეხებს ღიმილით უთხრა: სამარგულში დაგვხმარეთ და საოოხარ-შიც დაგვხმარებით. თუ თქვენ კვლავ განზე იდგებით, როცა სიმინდი შემოვა, მოვალთ და მოეტეხთო.

დამთავრდა სადილი, განვახლეთ მუშაობა. ვინც ჩვენთან ერთად ისადილა, ყველა შემოგვიერთდა. შემდეგ დღის ბოლომდე კიდევ მოდიოდნენ გლეხები სამუშაოდ.

წამოსვლის წინ მუსტაფა ჩახვაძეს და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ეკითხეთ, თუ რას იტყოდნენ ჩვენს მიმდევანდელ საქმიანობაზე, დიდი მადლობა გადაგვხადეს და გვითხრეს: როგორც ჩანს, თქვენი აქ მეტი ამოხვლა საჭირო აღარ იქნებაო.

მუსტაფა ჩახვაძე ძალიან აქტიური მუშაკი იყო და შემდეგ პასუხსაგებ თანამდებობაზე აირჩიეს.

1935 წლიდან ფართოდ გაიშალა სტახანოვური მოძრაობა და მასში ჩვენი სტამბაც ჩაება. შრომის ნაყოფიერება რომ გავგზნარდა, გავადიდეთ საბჭოედი მანქანების სიჩქარე. დიდი ზომის გლეხ მანქანებს დღეში 1.200 ბრუნნი მივუმატეთ, მცირე ზომისას კი — რვაასი. ამით მთელი საბჭოედი სამჭრო ჩავაბთ სტახანოვურ მოძრაობაში.

მე ამ დროს გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანს“ ვბეჭდედი, რომელიც სულ მალე „საბჭოთა აჭარად“ გადაკეთდა. ერთხანს „ბატუმსკი რაზონის“ ბეჭდვაც დამეფლა, მაგრამ ორ საქმეს ვერ გავწევდი და რუსული გაზეთი აბრამ შაქარტიანს გადავაბარე.

1936 წელს თბილისში გაიმართა სტახანოვური მოძრაობის მონაწილეთა პირველი რესპუბლიკური შეკრება და აჭარის წარგზავნილთა შორის მეც მივიღე მასში მონაწილეობა.

არასოდეს დამავიწყდება 1940 წელი, როცა საქართველოს პოლიგრაფიულმა სამმართველომ გაანალიზა რესპუბლიკაში გამოშვებული გაზეთების შენაარსობრივი და პოლიგრაფიული მხარეები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად „საბჭოთა აჭარა“ ცნო. ერთ დღეს ის იყო მუშაობა დავამთავრეთ, რომ გაიღო სტამბის კარი და შემოვიდნენ ჩვენი დირექტორი ევგენი კლდიაშვილი და გაზეთის რედაქტორი ლავით დუმბაძე. ჩემსკენ გამოემართნენ და მომილოცეს: საუონ, ეს შენი დამსახურებაა, რომ ჩვენმა გაზეთმა სოცშეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა საქართველოში.

1941 წლის პირველი იანვრიდან კარგ ქაღალდზე დაბეჭდილ გაზეთის 5 ეგზემპლარს გზავნიდით მოსკოვში, ემონაწილეობდით სრულად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იმავე წლის მაისში დავით დუმბაძე იყო მოსკოვში, დაინტერესდა შეჯიბრების



მიმდინარეობით და იკითხა, როგორი შეხედულებების იყვნენ „საბჭოთა აპარატი“. რედაქტორს უპასუხეს, რომ „საბჭოთა აპარა“ ყველა სხვა გაზეთზე უკეთ დატყვევებული მოდიხს და იგი ძალიან გახარებული ჩამოვიდა.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. 1941 წლის ნოემბერში სამხედრო კომისარიატმა გამოიძახა და ის იყო, ფრონტზე უნდა წავსულიყავი, რომ ამ დროს რკინიგზის საბარგო სადგურში პოლპოლყოფნიკმა ჩემი გვარი დაიძახა. მასთან რომ მივიდი, ავტო. მანქანასთან მიმიყვანა, შევხდე — ჩემი რედაქტორი დათიყო ღუმელში იყო და მასთან პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი, პოლპოლყოფნიკს საჭირო ქაღალდები გადასცეს, მანქანაში ჩამისევს და სტამბაში მიმიყვანეს. გაზეთს მებეჭადი აღარ ჰყავდა!

ომის წლებში „საბჭოთა აპარა“ ორგვერდიანი გახდა და შავ მუყაოსფერ ქაღალდზე იბეჭდებოდა. 21 საათს მინდებოდა მუშაობა, რომ ისეთ პირობებში როცა სტამბა ახალგაზრდობისაგან დაცლილი იყო, საქმიანობის თავი გამერთვა.

ომის შემდეგ მუშაობის ქუჩაზე გაისხნა ახალი საგზეთო სამქრო, სადაც დაიდგა ორი საროტაციო მანქანა ქართული და რუსული გაზეთებისათვის.

ვხვდებოდი სტამბაში არ უმუშავნია, მან არ იცის, რა მომქანცველი საქმეა ეს. გაზეთები უმთავრესად დამით იბეჭდება. მასალების გამოვსავნა ხშირად გვიანდება, ზოგჯერ აწყობილი გვერდები გადაიდება და რაღაც სასწრაფო მასალა იდება, მაგრამ საქმეს ვერ მიატოვებ, სანამ გაზეთი არ გამოვა!

ზისარ გაბრუნებული ტყვიისა და საღებავების სუნით და ძილი გერევა. ხშირად გვეშველია ენერგიული და მუდამ ხალისიანი მარო ნინიძე. იგი სიმღერას წამოიწყებდა და მუშები აყვებოდნენ. ხანდახან რედაქციის მორიგეები და კორექტორებიც მონაწილეობდნენ სიმღერაში და ეს გამოავსიზლებდა ხალხს, სანამ მასალა მოვიდოდა. ახალი ძალით შევუდგებოდით მუშაობას.

1950 წელს დაარსდა ქუთაისის ოლქი და გამოვსავა იწყო გაზეთ „სტალინელმა“ 50 ათასი ტირაჟით. ერთი საროტაციო მანქანა ქუთაისში გადაიტანეს და იმ მანქანას მეც გამაყოფეს. ოლქის გაუქმებამდე ქუთაისში დავუავი, შემდეგ კი ბათუმში დავბრუნდი.

ნახევარ საუკუნეს ვიმუშავე პოლიგრაფიაში. 1971 წელს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მომიანიჭეს და პენსიაზე გავედი. მაგრამ მას შემდეგაც არაერთგზის დავხმარებოვარ სტამბასა და რედაქციას გაზეთის ბეჭდვის სარგებების გამოსწორებაში, ჩემი ცოდნა და გამოცდილება გამიზიარებია ახალგაზრდებისათვის.

ბედნიერად მიმაჩნია თავი, რომ ტყუილად არ ვიცხოვრე, რომ ჩემი ნიჭი და უნარი მოვახმარე ოქტომბრის საქმის პროპაგანდას, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. ახლა რომ მკითხოს კაცმა, თავიდან რომ მოვიხილეს ცხოვრება, როგორ ააწყობდი, რა გზას დაადგებოდი, ვუპასუხებდი: პოლიგრაფიას ავიჩიევდი მთელი ცხოვრების საქმედ-მეთქი...

საზონ ცაცხლაძე,

საქართველოს სსრ კულტურის
დამსახურებული მუშაკი.



რამაზ სურმანიძე

წერილები შავშუთიდან

(ივანე ჯავახიშვილის პატივსაცემად გამოცემული)

„ივერია“, № 164, 1983 წ., 3 ავგუსტი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი), 28 მკათათვე. ესმოებით „ივერიის“ მკითხველთ, წინანდელი წელი წერილი შესახებ იმისა, რომ მურღულის ხეობაში (ართვინის ოლქში) მალაკენები უნდა დაასახლონ. ამ ხეობაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებმა თუმცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მოახსენეს და შესტარეს აქ მობრძანების დროს, არ გადმოასახლონ მალაკენები, მაგრამ, როგორც ახლა საქმით მტკიცდება, ეს თანგება-ვედრება არ იქმნა შეწყნარებული. ამის გამო იქმნა გამოგზავნილი ამ ხეობაში თვითონ ოლქის უფროსი თ. მ. ერისთავი¹ და თ. ი. აბაშიძე² (ართვინის უფროსი). ამით უნდა დაცულიყვნენ ორი აქაური სოფელი მალაკენებისათვის და ადგილობრივი მცხოვრებნი — კი შეეერთებინათ სხვა სოფლებთან. ესენი კიდეც ჩამოვიდნენ ოც ამ თვეს მურღულის ხეობაში, სოფ. არხვას, აქ უნდა გაეთიხათ დამე მემეტ³ აღასთან და მეორე დღეს წასულიყვნენ ამ სოფელში, საიდანაც უნდა გადა-ესახლებინათ ადგილობრივი მცხოვრებნი. შემდეგ-აღას უფროსი ორ-სართულიანი სახ-ლი და, რა თქმა უნდა, ზემო სართულში მიიღო საბატიო და ძვირფასი სტუმრები. სტუმრებმა მიირთვეს ვახშამი და მორსვენეს. ნაშუაღამეს თ. ერისთავს უნდოდა ქვემო სართულში ჩასვლა და ბიჭების გამოღვიძება, გასაგზავნად სოფელში სამსახუ-რისა გამო. ამ დროს ზემო სართულიდან ჩაუტყდა პირველი კიბის ფიცარი და ჩა-ვარდა ძირს. დაცა იმ ადგილს, სადაც ტალახის ასაშორებლად ქვემო დაგებული, თითქმის ექვსი არწინის სიმაღლიდან ძირს ქვეზე დაცემის ხმამ ფეხზე დააყენა მოელი სახლი. რასაკვირველია, მაშინვე გამოცვიდნენ გარედ და დიდის გაფრთხილებით ამოიყვანეს ზედა სართულში, სადაც დღესაც წევს ავადმყოფი. თუმცა ბევრს ეცოდნენ საფუჯიო ჩამოყვანათ ქოროზის პირამდის და იქიდან ართვინს წაყვანათ ნავთ, მაგრამ ჯერ ვერ დასძრეს ადგილიდან, რადგან ძალიან ნატყენი ჰქონდა წელი და ზელ-პირი; მოტეხილი—კი არაფერი აქვს მოტეხილი.

იმ თვის 15-ს, ქ. ართვინის მახლობლად, სოფ. სკემას (ორი ვერსტის მანძილზეა ართვინიდან) ეკლესიებს თურმე ოცე ცხენი მოჰყავდათ დატვირთული ევროპულ საქონლით. ეს ამბავი ვილამს შეატყობინა მილიციის ჯარის კაცთა კამანდერს, კაპიტანს თ. ფ. მიჭელაძეს⁴. ფ. მიჭელაძემ წაიყვანა ათიოდე ბიჭი და წავიდა გზების

გაგრძელება. იხ. „ქოროზი“ № 3 — 5, 1987 წ.

5 „ქოროზი“ № 1

დასაკავებლად, კონდრაშინსკის პატრონებმა ბევრ ბანს არ იცუცუნეს. სამი თვის
საათხედ კონტრაბანდის მიმჭონებმა მოპარეს თვალი ღარაქს. კანგოებმაც, თავსაქს
ერთის ვერსის მანძილზე ორი დატვირთული ცხენი. რასაკერაველია, გაეცნენ
ენ, მაგრამ კონტრაბანდის პატრონებმა დაეშინეს თოფი.

მილიციონერებმაც იგივე ბასები აგეს, და თითქმის 15 წამს გაატანა ორთვე
მხრივგან სროლამ. შეატყეს კონდრაშინსკის პატრონებმა, რომ კონდრაშინსკის გადასაქრნი
მოუხერხებელი იყო, ცხენებოვან გადაადგდეს კონტრაბანდის და თვითონ თავს უშველეს.
გლახა გზისა და სიხნელისა გამო გამოვიდნენ იმათი არ შეიძლებოდა. ახლა, როგორც
ვიცით, ექვსი წელი მოჰყვებოდა თურქ ამ კონდრაშინსკის და ორიც ცხენების პატრო-
ნებმა. ამ კონტრაბანდის გადმოსატანის სამოცდა-ცხრა მანათიანი ღირსა მოტკიოთ და და-
მოქნის ექვსა მანათი დაუღასებია ეს გამოხატებული საქონელი. ამ უბანის კონ-
დრაშინსკი არაგის დაეყვრია ამ მოთმეტკია წლის განმავლობაში, თუნცა ამ ხელისას
ბევრი პატრისა სცემს და ემსახურება გადაღმა მხარეში.

რ. ა. ჯაიან

„ივერია“, № 170, 1893 წ., 18 აგვისტო

სოფ. ბორჩხა (ბათუმის ოლქი)

მ. ნარიაშვილისთვის.

— თქვენ მტერს გაუჭარბა ისე საქმე, როგორც ჩვენ გაგვიჭარბა ამ ორის, ოვის
უწყვილობის გამო, მთელ ამ ზაფხულს ნაშრომი და ხაფილარი კაცისა და ქალ-ბატონისა
გადაგვიწეა გვალვამ. სასოვადოდ ჭირიბის ხეობა იმისთანა ქვეყლიანი ადგილებია,
რომ თუ კვირაში თუ ერთჯერ მაინც არ მოვიდა წვიმა, აქაურ ადგილს ცის ნაში არ
უნახავს და ამის გამო არ იციან, როგორ გამოყვებონ ქალბატონა მომავალში. ოთხ-ღუბ
საქონლის შეგებდამ ხომ გული შეეწუხა ადამიანს. ზამთარში უფრო მსუქნები იყვნენ,
ვიდრე ეხლა. გაზა ბალახი და ღამის ზომილით დაიბოცეს. ხე-ტყე ისე გახმა, რომ
ცეცხლი წაეკიდოს, ნათივით მოედება.

ამის წინათ ოთხიწოს აბანოსთან (ქარჩაღის მთის ახლა), ტყეა ცეცხლი წაე-
კიდა და დიდის ვაი-ვაგლახით გააქრობინა სოფელს იქაურმა ბოჭულმა. კიდევ კარგი,
რომ ვინც იმბარა ქეუა, პური და ქერი დათესა, იმან მოივო. პურისა და ქერის დროს
სამყოფი წვიმა მოდიოდა და კიდევ კაი კაკლიანი გამოდგა. მაგრამ სამწუხაროდ,
ეს პური და ქერი ძალიან ცოტა ჰქონდათ დითხილი, რადგანაც ამათი სარჩო ერთად
ერთი სიმინდია, უფრო სიმინდის თესვაა მისდევს აქაური ღებარა. თუ სიმინდი
არ მოუვიდოდა, თუთუნა მაინც ექმნებოდა სამყოფი და ამით მაინც იბრუნებოდა
სულს. ახლა-კი რამდენ ადამიანს ტირილის მოწმენი ეართ და შიმშილით დასოცვის
ნიშნებიც თვალ-წინ გვიდგას.

სხვა დროს ამ თვეში ზოგიერთ ალაგას მოსატეხი ექმნებოდა ხოლმე სიმინდი,
დღეს კი ნახევარ არზინის სიმაღლეც არა აქვს. თუთუნსაც სიმინდზე უფრო
გლახა დრო დაუდგა, კელაჟ ამ დროს თითო მოსახლეს თუ ფუთიდან ორმოცამდის
ექმნებოდა ნოტეხალი და გაშრობილი კიდევ, ეხლა კი აქაურობაში წაბლის ფოთლის
ტოლას ვერსად ვერ ნახავთ და რაც დღედილიმე მიდის, იმდენად უფრო იწეის სიკ-
ნისა და ცხელის ქარისაგან. მადლობა ღმერთს, შიმშილით ამ დღენახედ არაიან
დახტეილა და ჩვენც იმედი გვაქვს არ მოკვდებით, მაგრამ ჩვენი საღარდელი
საქონლის გამოსაკვებია, ჩალა და „ნაქტრჩაღა“ თუ აღას იქნება, რით უნდა გავ-
ცეთ ბასუხი. სიმინდის შოვნის იმედი კიდევ გვაქვს ბათუმშიდამ. გახაბერში, როგორც
ამბობენ, წვიმებიც არის და მოსავალსაც კაი პირი უჩანს, იქ თუ იქნა სიმინდი,
ამოტანაც იქიდან არ არის ძნელი, მაგრამ ამა იქიდან ჩალა როგორ ამოვიტანოთ

საქონლობის, რომ შეხუთდა არ მოგვეცემა შინამდის, რადგანაც ამ სიმართლი ჩაღის ზიდვა წოდებულია. სოფ. მარადიდის ქვევით ბათუმამდის არიქსის ყუ-
ველ კერა წვიმა მოდის და ჩვენ-კი ასე ვართ წვიმის ნატრული. ეხლა რომ ~~მარადიდის~~
კადეც, მაინც ჩვენ გაჭირვება არას ღმრთის, ისეა სიმინდი და თუთუნა ~~მარადიდის~~
წვართ, რომ არაფერი წვიმა ანას ვერ მოაბრუნებს. მოხუცებულები ამბობენ, ამის-
თანა ვერაღს (გვალვას) ჩვენ არ მოვსწრებოვართ და უსათუოდ მივუბნოვდით ამ
ღუნის „აზიზსა“.

ჩეობის მკვიდრთა სარჩო და საყვები ნავით მოგებული ორს გრამს, იყო ისინიც
ამ ღრობით თითქმის უსაქმოდ აღმაგზენ, რადგან ჭორობი იმ ზომამდის დაატარავეა
გვალვის გამო, რომ ძალიან გაააჭირია დატვირთულ ნავის ტარება ბათუმამდის არ-
თენამდის. ინდენად დაპატარავდა წყალი, ამბობენ, ხელის წასქეღს ვერ მოაბრუნე-
სო. და აბა ნენავეებმა როგორ ანღწაონ ნავი. მენავეები გრადელ თოვს აბამენ ნავსა, შე-
ეშვება ზეთი კაცი და ისე იწვევენ თავილმა დატვირთულ ნავს, მაგრამ ღოგელ ფეხის
ნაზიკზე დატვირთული ნავი ქვას ედება, ახლა იფიქრეთ, ვინ იქნება იმისათვის და-
რბი და დატვი, რომ ამ ნაირად ატაროს ნავი ოთხმოცდაათ ვერსის მანძილზე
თავადსა. წყალ-დაპატარაობის გამო ართენიდგასაც ძალიან საშიში შეიქმნა ნავთა სი-
არული ბათუმამდის, რადგან ზევიდან ქვევით ცოტა ჩქარა მოდის, ამ ღრობს ადგი-
ლად შეიძლება ან სადნე კადეც მივაჯახოს და ან არა და ქვას დახლის ვისაც ცუ-
რის იქელი არა აქვს, იაინი თითქმის ვერა ბედავენ ნავში ჭდომას და წასვლას
ბათუმამდის.

სამი დღის წინაც მურღლულის ხეობაში ეყავი, სახელდობრ სოფ. ტრაპენსა და
არხვას, რომელიც მურღლულის ხეობაში საქებია თუთუნით. მაგრამ როგორც სხვაგან,
აგრეთვე იქაც ძალიან დაუზიანებია თუთუნის გვალვას, ასე რომ იმის წყაფე ნაწილიც
არ მოუვათ, რაც შარშან და შარშან წან მოსდიოდათ. რადგან მურღლულის ხეობის
გამო წამოცვდა სიტყვა, არ იქნება ურიცო ერთი ორი სიტყვაც კიდევ მოვახსენო
იმ ხეობის შესახებ „იყერის“ მკითხველთ.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით 24 ივლისს ამოვიდა მურღლუ-
ლის ხეობაში ბ-ნი ბათუმის ტყეთა ზედამხედველი ა. ლ. აბაშიძე, რომელსაც ჭეონ-
და მინდობილი ჩაებარებინა ადმინისტრაციისაგან ამ ხეობის ადგილ-სამიჯლი და ტყე.
იმ ღრობს აქ ბრძანდებოდა თვით თავ. მ. ერისთავი (ოლქის უფროსი) ავადმყოფი და
აგრეთვე ართიანის განყოფილების უფროსი თ. ი. კ. აბაშიძე. ზუთა-ეჭვის დღის განმავ-
ლობაში ჩამოიარეს მთელი ხეობის სოფლები და დაათვალიერეს სახნავ-სათესი ადგი-
ლები და ტყეები. ამ თვის პირველს გაათავეს ნაბარება. ახლა, როგორც გაიგეთ ნა-
მდვილ წყაროდან, ბ-ნ აბაშიძემ უხდა დაურეგოს უმაღლეს განკარგულების ძალით,
აქაურ ფუნარებს მოსახლეზე თორმეტი დესეტინა სახნავ-სათესი, დესეტინაჩე-
ვარი საზღ-კარის ადგილი, სამი დესეტინაც ტყე. როგორც აღმოჩნდა „ნართაში“
(კარტაში), თუ უმაღლეს განკარგულებს ძალით დაურეგდა ფუნარას სახნავ-სათესი
ადგილები, მაშინ იმათაც არ ეყოფათ, ვინც აქ დარჩენილან და არ გადასახლებულან
ოსმალეთში. ახლა ამ ფუნარებს იმედა აქვსთ ბ-ნ აბაშიძისა, რომ არ დაეცლებს ამ
ზომას და დაურეგებს, რაც კი კანონმა არგუნა ამათ. მაშინ რასაკერეცელია, თუ რამე
გადარჩა, დაურეგებს იმათ, ვინც უფრო გაჭირვებულა, მაღანება თუ სხვები. თუ-
მეტი მურღლულის ხეობას აქვს ჭორობიდან საზღვარამდე 15 ვერსის სიგრძე და სი-
ვრით კი ორი ვერსია მეტი არ იქნება გაღმა-გამოღმა მხარეს, მაგრამ როგორც სა-
რთიდანა სჩანს, ნახევარზე მეტი კლდე და ქვიანი ადგილებია, სადაც არაფერი და-
თესილა თავის დღეში და არც ეხლა დაათესება. სადაც კი ტყეებია, იმის გაყაფვის

ნებას უსათუოდ მთავრობა არ მისცემს და, მაშასადამე, ის ადგილები უნდა დაუბრუნდეს ფუხარას, რომელიც დღემდის იწვნოდა და ითესებოდა.

ქართული

თ. ი. ჯაიხანაშვილი

„ივერია“, № 102, 1893 წ., 8 სექტემბერი

კორესპონდენცია

ს. ზორნა

ორ ცოლიანი ქართველი მაჰმადიანი აქ ძალიან იშვიათია. თუ ვისმეს ორ ცოლიანს ნახავთ, იმას უსათუოდ ან მოხუცი ცოლი, ან საპყარი (კეტი), ან არა და უშვილო იქმნება. ეს სამი მიზეზი თუ არ არის, მეორე ცოლს ვერ შეირთავს, ან პირველი ცოლის ხატობით. ან იმის ნათესავების ხატობით და მორიდებით, ან კიდევ ქალის „ხისიმის“ შიშით. უფრო საყურადღებოა, რომ გორიხის ხეობაში, ქვედა და ზედა აჭარას, ათში ერთ სახლს ვერ ნახავთ, რომ სამი-ოთხის წლის გათხოვილი ასალგაზრდა ქალი კუჭი არ იყოს. ამის მიზეზის გარჩევას და გამოკვლევას ამ დროებით არ გამოვუდგებით. ხოლო ვიტყვი, რომ ვისაც ამ ქვეყანაში ცოტა ზნობით მაინც არის უცხოვრია და დამკვირვებია აქაურ ქალისა და კაცის ყოფა-ცხოვრებას, ის ადვილად მიხვდება, რის გამო კუჭდებიან აქაური ქალები. ზოგიერთი ქალი, როცა დაკუჭდება, მაშინ სთხოვს თავის ქმარს, მეორედ „დასაჩლდეს“, რადგანაც საქმე არ სახლ-კარის და მინდორ-ბოსტნის შემუშავება — ქალის ვალია და ადამი, ოჯახის პატრონი დიდი სიამოვნებით ასრულებს თავის ავადმყოფ ცოლის თხოვნას და იმისი დედ-მამის თანხმობით სცდილობს მეორედ დასაჩლდას. მაგრამ ძალიან იშვიათია, რომ მეორე ცოლმა სახლს მშვიდობიანობა და ბედნიერება მოუტანოს. პირიქით, სახლ-კარსაც ატრიალებს და ოჯახშიც სიძულვილს ჩამოაგდებს. სულ უბრალო რამეზედ ისეთი ალიაქოთი ასტყდება ხოლმე, რომ ყველანი თავ-ბედად იწყებენ. ამას წინადაც მე თვითონ ვიყავე ამისთანა ამბის მხატველი. ერთს ოჯახს ვეწვიე უცხო სოფელში. ოჯახის პატრონი ჩერ შერბეთითა და ყავით გამამასპინძლდა, შუაღამე გადასული იყო და მოსვენება ვათხოვე, რადგანაც ძალიან დაღალული ვიყავი. — ცოტა „ხეფის“ მიირთვით და ისე მოსივენეთო. გავიდა ვახშამის შემოსაჭაწად, მაგრამ ისევ მალე შემობრუნდა ვაფთორებული.

— რა დაგმართია-მეთქი ეკითხე.

— ჩემს ცოლებს ეახშმის გაკეთებაზე მოსკლით ჩხუბი და ერთმანეთისათვის თავ-პირი დაუმტკრევით შეუეზლითა. საუბედუროდ ორი ცოლი მეყვს: პირველი ჰაყარი იყო და ამის გამო მეორედ დავსახლდი. საპყარი ქალი აბანოზე წავიყვანე და ერთის კვირის ბანაობის შემდეგ მორბა. ჩამოვიყვანე შინ თუ არა, მის აქეთ ისა და მეორე ცოლი დღე და ღამ ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში არიან. ამაღამ უმცროსის რიგი იყო თურმე მჭადის გამოცნობა და უფროსმა ჩასვა კეცი. მეძმე მოაგონდა, რომ ზისი რიგი არ იყო, აუღია ცომიანი კეცი და დაუმტკრეცია. ამაზედ მოსკლით ჩხუბი და ერთმანეთისთვის თავ-პირი დაუმტკრევით და ასლა ორივენი უგონოდ ჰყრიან მუთაქაში (სამშარეულო). აგერ მეზობლის ქალებს ვაფადვიებ და ისინი გაგვიკეთებენ ვახშამს.

მე ვახშამს არ მოვუცადე და, როგორც იყო, დავიწლიე ორი ცოლის ქმარი წისქულით და თავის ცოლებსათვის დაეხდინა. ამისთანა შემთხვევა ძალიან თხევად მოსალოდნელია. ორ-ცოლიანს ცალ-ცალკე ჰყავს ცოლები დასახლებული და, მოვესხენებათ, ორი ოჯახს შენახვა რა ძნელია და დამღუპველი. არც თუ ამათი ცხოვრებას მოსდევს რაიმე სიამოვნება.

ი. ჯაიხანი

სოფ. ბორჩხა

— უნდა მოგახსენოთ, რომ დიდს საშველებას და შეღავათს აძლევს აქაურ ქართულ მაჰმადიანებს ოთინკოს ჩერმუქი (აბანო). საიდგან გინდათ რომ აქ არ მოდიოდნენ ავადმყოფები, კაცი თუ ქალი, მაგრამ მომეტებით ქალები. ეს აბანო ძალიან უხდება მომეტებულად კუტებს და ქარებიან ავადმყოფებს. მაგრამ სამწუხაროდ, გზა არა აქვს და მიძიმე ავადმყოფისათვის სამწუხაროა მისედა, მაგრამ წრეულს მაინც ათასობით იყენებ ავადმყოფები, რადგანაც გაიგეს ცოტათი შეაყუთეს გზებით.

თუმცა ადგილობრივმა უფროსმა, თაე. ლეონიძემ ცოტათი შეაყუთებინა ეს საჭირო გზა, მაგრამ ამისთანა პატარა შეკეთებით და ყურის თხრებით ვერ ვისწნით, არა თუ ავადმყოფთ, კარგად მყოფებსაც. გასაჭირის მგზავრობისაგან. ამა ვინ იტყვის უარს იქ წასვლაზე, ხეირიანი გზა რომ იყოს. მშვენიერი პატარა, ნაძვის და კატრის ხეებით შემოკრული და მასთან დევს ღვთისმშობლის აბანო (ეს ღელვს სავსეა კალძანით), მეორეც კარჩხალის მთაც ახლოა, სადაც დიდა იალაღები. აქა ჰყავთ ზაფხულობით საქონელი. რა გინდათ აქ ვერ იშოვოთ იაფად: ცხვარი, ერბო, რძე, მაწონი და ყველი. ქათმებიც მოჰყავთ სოფლიდან (სოფელიც ახლოა), მხოლოდ გზა კი გააკეთონ, რომ საშინო არ იყოს კლდეზე გადაჩხვინა: მაშინ ყველა წავა სიამოვნებით ბათუმდგან, რომელიც თრმოცდა-თეჭესმეტ ყარაზე ძლივს იქნება. მეორე აუცილებელი საჭიროებაა, აბანოსთან რამდენიმე ხეირიანი ოთახი გააკეთებინონ, რომ მთმსვლელებს ჰქონდეთ თავ-შესაფარი. მდლობა ღმერთს, ტყე არ არის საძებნელი, ყურის ბორჩხა აქავე; ერთი, ზე რომ მოაჭრევიოთ, ორ ოთახს მშვენიერს გააკეთებინებთ და ჟვარიც იმ ხიდგან გამოვა იმის დასახურად. ყველაფერი ადვილია, თუ მსურველი და გულშემატკივარი გინაჲ გამოგვიჩნდა ამ სასარგებლო და საჭირო საქმისათვის. უფრო ამით არის ეს აბანო საყურადღებო, რომ იგი თამარ დედოფლის დროის გამოჩენილი და თითქმის მისი ხელით ნაშრომი და ნაშენებია. ხოლო დრო და ჯამა მთელი ბოლო ამ სასარგებლოს და სახსოვარს ნაშთს. ამაზე უკეთესი და გამართლები ამ ქვეყანას არა მოიპოვება-რა, აქამდის ახსოვთ აქაურ ქართველ მაჰმადიანებს ამ აბანოს ისტორია.

თამარ დედოფალს ამ ოთინკოს ახლოს სადღაც სასახლე ჰქონია, (სამწუხაროდ, დღეს კი არა სჩანს-რა იმიო. ეტყობა ნანგრევი თუ სადმე არის, იმ უზარ-მაზარ ტყეში უხდა იყოს დაფარული, რომელიც დღეს არის ოთინკოს ახლო-მახლო), ერთ ზამთარს აქ დარჩენილა საცხოვრებლად. სასახლეში ჰყოლია ბევრი გოგარჩინი (ტრედი). ერთ დღეს უნახავს, ერთი ტრედი ავად იყო. უბრძანებია თამარს, სახლში არ მოეცდეს, სადმე წაიყვანეთ და გაუშვიოთ. მოსამსახურეებსაც ბრძანებისდავარად წაუყვანიათ და სახლის ეზოს გარეთ (იმ წელს საფენ ნახევარი თოვლიც ყოფილა) გაუშვიათ. გაიარა სამა დღემ, ეს ტრედი დაბრუნებულა მორჩენილი, მაგრამ დასველებული. დაუწახავს ეს თამარ-დედოფალს და ძალიან გაჰვირვებია. უბრძანებია, აქ სადღაცა აბანოს წყალი უნდა იყოსო. გაუზმანია რამდენიმე კაცი სხვა და სხვა მხარეს მოსაძებნად და მართლაც უნახავთ, დღეს რომ აბანოა, იმ ადგილას თოვლი მთლად გამდნარი იყო და ცხელი წყალიც გამოჩნუხუხებდა. რასაკვირველია, როგორც ნახეს, ისე მოახსენეს თამარს და ძალიან ენა იმ წყლის ნახე და მნახველებსაც დიდი საჩუქარი უბოძა. გაზაფხული დადგა თუ არა, შეუდგა იმ აუზის კეთებას და გააკეთებინა ის აუზი, რომელსაც დღეს ვხედავთ, იმისთანა სასარგებლო აბანო შეიქნა მართლაც, რომ ყოველ ზაფხულობით რამდენიმე ათასი ავადმყოფი მოდიოდა ყოველ მხრიდან. როდესაც ეს ქვეყანა ძალით გააჰმაჰმადიანეს, იმის შემდეგაც ერთხანს კიდევ დიდბოდნენ თურმე ავადმყოფები, როგორც წინაღ. მაგრამ



ამოღენა ხალხის ს. დ. ს. ქვეყნებიდან სიარული ვერ აიტანეს ნოლახოვებმა, რომლებიც
 ემინოდან ახალ გამაჰმადიანებულ ქალებს დაუწყებენ ცქერას, რაცა მათსა
 არ შეიძლებოდა: მემყო კიდევ ემინოდან, რომ იმათი შეხედვით ისევ არ მიედნო
 ქრისტიანობა. ამის გამო უბრძანეს სოჯებმა ხალხს, ამოეყარათ ამ აბანოს აუზი.
 ფოხარაც იმათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და ამოყარეს კიდევ. იქიდან მო-
 კიდებული 1080 წლამდის ისე იყო ამოკორეგული მაგრამ, როდესაც აქ დაინიშნა უღრ-
 სად ახმედ-ეფენდი ხალვაში რადგან იცოდა აბანოს ისტორია, თავე ამოაწმენდინა:
 გაიგეს თუ არა, ოთინიკოს აბანო ისევ გააქეთესო, ისევ დაიწყო ხალხმა სიარული
 ყოველ მხრიდან და მას აქედ, ყოველ ზაფხულობით ვინჯეულასავით ესევიან ზოღმე
 ხალხი, მაგრამ უგზობის გამო იმდენი ვერ მოდიან, რამდენიც არიან მსურველნი ამ
 სასარგებლო აბანოში მანათობისა. თუ ამ საქმეს მოთავე და გამძლოლი ვინმე გამო-
 უჩნდება და მიბძავეს ახმედ-ეფენდი ხალვაშს, ხალხი დიდი საიმოგებებით მიეზმარება
 ამ ძვირფასს ნაშთს, რომ მოუბრუნოს ისევ ბედი თამარ დედოფლის დროისა.

ი. ჯაიანი.

„ივერია“, № 210, 1893 წ., 1 ოქტომბერი

კორესპონდენცია

სოფ. ბორჩხა, 24-ს სექტემბერს. საზოგადოდ ბათუმისა და ართვინის ოლქის
 მცხოვრებთ, ქართველ მაჰმადიანებს, ჩვეულებად აქვთ, ვისაც კი თხა-ცხვარი ჰყავთ,
 ზამთრისთვის იმათ გამოსაკვებად დაიშაღონ ნეყერი (მუხის შტოები ფოთლებიანად).
 თუ გინდ ბევრი თივა-ჩაღაც ჰქონდეთ, მაინც ნეყერი თუ არ დაიშაღეს, არ შეიძ-
 ლება, რადგან აქ დიდი ზამთარი იცის. ზამთარში ამ ფოთლებიან მუხის შტოებს
 ალბობენ ცხელ წყალში და ისე აჰმევენ საქონელს. შემოდგომა დადგება თუ არა,
 მაშინვე შეუდგებიან ნეყერს ზრას. ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს, „ნადსაც“ მოიბ-
 მარს, მაგრამ აქ იშვიათია ისეთი შეძლებული კაცი, რომ დიდი საქონელი ჰყავდეს
 და „ნადის“ მოხმარება იყოს მისთვის საჭირო. მუხის ხეები სოფელელ გაყოფილი
 და დაჩემაბული აქვთ თავ-თავისთვის, ისე როგორც ხეჩილი. ერთს არ შეუძლია
 მეორის მუხას აბლთა ხელი, თუ გინდ იმას არა ჰყავდეს საქონელი, სანამდის წამდ-
 ვილ პატრონისაგან ნებას არ აიღებს. ვისაც რომ საქონელი ცოტა ჰყავს და სანდერე
 ხე ბევრი აქვს, ის ჰყიდის იმაზე, ვისაც უფრო სჭირია, ასე რომ ათ შათრიდგან
 მანათამდისაც შეიძლება გაყიდოს ერთის მუხის ნეყერი, თუ ხე დიდია; მომეტებული
 ფასი მაშინ აქვს, როცა სამყოფი თივა და ჩალა არ მოვა. მუხის შტოებიც სმ წე-
 ლიწადში ეროხელ „პირცხლებს“, რადგან ერთსა და ორ წელს იმდენად ვერ ვაზრ-
 დება შტოები, რომ მოჭრად ეღიროს. აჭაურნი ძალიან შეშინებულნი არიან, ვთუ თუ
 მცველებმა დაგეგმალი ფოთლის მოჭრა და მათს ცხოვრება გავევირდება,
 რადგან უინისოდ საქონლად გამოკვება მოუჭრებელი არისო. აქონლია გამოსაკვე-
 ბად ეს ფოთლი აუცილებელ საჭიროებად მიანიათ არა თუ ძროხა-ხარისა, ცხენი-
 სათვისაც კი. წელს მეტადრე ამ ფოთლის იმედი აქვთ, რადგან სიამინდი ისე დაწვა
 გვალვამ, რომ იმისი ღერო ნახევარ არშისს არ ასცდენია. დიდი ღერის წყალთა
 იქნება, რომ ათს მოსახლეში ერთა მოუცილდეს ორის თვის სამყოფი ჩალა, ნეყერსა
 სჭრის. კარგია კიდევ, რომ რაღაც იღბალია, დარიც ხელს უწყობს და თუ მოთელმა
 ზაფხულმა უწყობოდ გაიარა, შემოდგომამც იმას მიჰმბა, არა თუ მუხის ფოთლის,
 აწწლაც კი სჭირან ძირში და მოაქვთ სახლში გასასმობად; თუ ძალიან გავევირდა,
 ამასაც ვაჰმევეთ საქონელსაო.

ერთ სოფელში ამას წინად კარ ლაზათიანი ჩხუბიც მოსვლდათ ნეყერის დამ-
 ზადების დროს. ცილაობა მოსვლოდათ ერთ მუხის გამო. ერთს ეთქვა — ჩემიაო,



ქვემოთწერილი
თქმულია

მეთაურსაც — ისევ და კარქად მოეტყუებათ ერთმანეთი. კიდევ ცარვი. რომ იქნებ
ახლოს მუხთარი (მამასახლისი) ყოფილიყო და ჩქარა მიწვევებოდა, თორემ
მტერი სიკვდილით დაბოლავდებოდა ისეთი ჩხუბი ნების ფითლის გამო.

საქონლის გამოსაყვები რომ არა აქვთ სამყარო, საქონელი გაიფიქრა. 8 და 10 შა.
ნათად კი ძროხა იყიდება, და ხარკი თოთხმეტ-თხუთმეტ მანათად. ფუხარას ურჩე-
ვნი ისევ ამ თავითვე მოაწიროს საქონელი, რომლის გამოყვება არ შეუძლიან, გინეშ
ხამთარში იმის საცოდაობას უყუროს. იქნება უშველობის გამო დაეხადოს კიდევ.

მადლობა ღმერთს, ამას ყოცი არ სჭირია, ყველა თვლით მხედვას, რა საცოდაო-
ობა მოვლით აქაურ მცხოვრებთ მოუხაგლობის გამო. ამიტომ აუცილებლად საჭიროა
მათვის ვიხმემ ეზრუნოს თავის დროზედ და აღმოუჩინოს ენერგიული შემწეობა, რომ
რადგან კახბერძნი და ბათუმის ახლო-მახლოში კარგს მოსაგებს მოელოდნენ. იქი-
დან ჭირნახული არ გაზიდონ ოსმალეთში და ამით აქაურ ხალხს ჭირნახული არ გა-
უწყვიტონ, თუ თავის დროზე იქნა შესაფერი ღონისძიება მიღებული, მაშინ აქაურ
მცხოვრებთ ეყოფათ, იქ რომ ამისდა შოვა, და მიმასიხლად შორს სადმე არ დას-
ჭირდებოთ სყიდვა. ამისთანა ღონისძიების შედეგად ამ თავითვე იმეტომ არის საჭირო,
რომ, ამბობენ, ოსმალეთშიაც ძალიან დაუზიანებია ჭირნახული გვალვას. თუ ეს ხმა
გამართლდა, მაშინ თქვენი მტერი, აქაურ მაწამულებს ვერ გაღებურჩებია.

ო. ჭაიანი,

„ივერია“, № 216, 1898 წ., 12 ოქტომბერი

სოფ. ზორჩხა. 8 ოქტომბერი. წელს ეტუბია, როგორც აღამიანს, აგრეთვე სა-
ქონელსაც არ უწვია ჭირნახულით გაძღომა. ჩვენ გვალვას ვემდურდით და ზენი
ჭარმა უარესი დღე დაგვაყენა: ამიყარა 2 დღეობისთვის და დიდიდგან დაწყებუ-
ლი სადგომიდან ისე საშინლადა პქროდა, რომ ახლოს კრამეტები პანტასავით ჩამო-
ჰყარა. გვალვასაგან გამხმარი ხეები დაამტვრია, სახლები თუშცა დასცალეს, მაგრამ
წაქცევით არ წაუქცევია და უბედურებაც არაფერი მომხდარა, მხოლოდ ქალბაღ-
დამ დიდიდგან საღამოსდის მისდგარად გატარა, რადგან სახლში შესვლა საშიში იყო.
როგორც გვეცხია, სოფ. მარადიდოვან დაწყებული ბათუმამდის სიმინდები სულ
მიწაზე დააწეხა, ყოთილი სულ ჩამოაცალა და აქაურებს ჩალის იმედი ჰქონდათ,
მაგრამ ეს იმედიც გაუცუდდათ.

როგორც იყო გაათავეს ჭირნახულის მოზიდვა, მაგრამ რა ჭირნახულისა! სიმინ-
დის ტარო არავის უნახავს, ჩალისთვის არ მოუტყუებია და ან რა მოსაგებდელი
იყო, როდესაც ტარო გაქანებდ დიდი არ არის. სასიმინდეს კარი არავის გაუღია.
რითი ირჩინოს ფუხარამ თავი და ცოლ-შვილი — ვერ მოუტყუებიათ და ძნელი მო-
საფიქრებელიც არის, აქაც არ იქნება მგონი ურცხო სახელდებრივ დავასაგელო ის
სოფლებიც, სადაც ერთი ორის თვის სარჩიც არ მოუყვია. ამ სოფლებში სახელს
ინეტომ ვასახელებ, რომ თვლით მიჩაჩავენ მუშაობაც, მოსაგალიც: კიხეხურეთი, კე-
ლასკური, არავეთი, სამესრალ, ზორჩხა, ცოცხობა, ქეადქეთი, არჩვეთი, კოსტანეთი,
დაკვარა, პანჭურეთი, მაჩანათი, დუშქოი, მაქრეთი, ბაშქოი, ბანეწა, შეახეგია, ვალა-
შენი, სახათისი, პეტრული, დეგაკელი, კვინტაული, ბაგინი, ადგული, (ეს სოფლები,
რიცხვით 24, არის ბათუმის ოლქში გონის საზოქაულოა); ახალბაზა, ირსა, ბეშაული,
ქვარესანი, სიწყობი, ვაზრია, ვარჯჯანი, ომანა, ურბეშა, ხატილა, კარტლა, ავანა,
თხილაური, ორვი, დანპალა, ტრაპენი, არჩვი, ყვანი და ვეული (19 სოფელი ართვი-
ნის ოლქისა) და სხვაც კიდევ ბევრი.

ამ სოფლებში სხვა ღრის თუთუნიც მოდიოდა გვარჩიან, რომელიც ერთად-

უნდა მიაწოდოს რამე, მაგრამ იმისთანა მათხოვარა, რომელიც ხალხს გულს უფრის აქაურობაზედ და იქ შემშალის მსხვერპლად უნდა გახადოს, ხოჯა-მოლეები დახმარებულნი ბოთ, არ იქმნება ურიგო სამუდამოდ აილაგმოს.

ამის წინათ ბათუმიდან მივდიოდით, კახაბრის მანდორში რომ მოვედი, იქ ორ-მოც მოსახლეშის შემხვია, კაცი ცოლ-შვილით და ბარგი-ბარხანით ოსმალეთში მისული. ვნახე, ზოგს ცხენზე აეკიდა ბარგი და ზოგსაც ზურგზედ, როგორც კაცებს, აგრედვე ქალებს. ბათუმში ეჭვარებოდათ, „პარახოდს“ მიავსწროთო. რადგან იმათში ზოგიერთი ნაცნობი გამოდგა ჩემი, დამიწყეს თვალ-ცრემლიანება ლოცვა და გამო-თხოვება. მართალი მოგახსენოს, ამათმა ტირილმა მეც თვალში ცრემლი მომგვარა. ზოგიერთ ქალების ტირილი-ქეთიანიც მესმოდა, რომლებიც ჩვენთან ასლოს იდგნენ ხალხში გამოხეულები. მე ვკითხე, რად მიხვალთ ოსმალეთში მეოქი. იმათ მიპასუ-ნეს: რა ექნათ ბატონო, იქითგან ხისიმები მოვადნენ და გვიქეს იქ ყოფნაო: ხოჯა-მოლეებაც გვირჩიეს, და ჩვენც მივალთო. მერე ვკითხე, თუ რამდენი ფულები ჰქონდა თითოთს იმათგანს. იმათ მიპასუხეს, ათიდან ოც-და-ათ ოქრომდე ექნება თითო მო-სახლესო. ბევრი ეურჩიე დარჩენილთაგან თავის მიწა-წყალზე, მაგრამ არ დაიშალეს.

ივ. ჯაიანი.

„ივერია“, — № 1, 1894 წ., 1 იანვარი

ჭოროხის ხეობა

ამის წინად წასულა ბათუმში ერთი მოხეტეხული კაცი 75 წლისა და თან წაუ-ღია 25 ლირაც. იქ გეტულებოდა თურმე დაპატიმრებული თავისი შვილი, რომელიც დაკარგულა, ერთს თეეს უძებნიათ ნათესავებს ყველგან და ვერც ცოცხალი, და ვერც მკვდარი ვერ უპოვნიათ. მოხუცი დაბრუნებულა ბათუმიდან: თან გამიპო-ლიან ორნი ართვინის ბოქაულთან დესეტნიკებად სამყოფნი. მოხუცი სახლში აღარ დაბრუნებულა. ამბობენ, რომ ის დესეტნიკებმა მოაკლესო. ეს იმათ უფრო სადიქ-რებელი არის, რომ ერთი მათგანი შეიპყრეს, ხოლო მეორეს გაქცივე მოუსწვრია.

ი. ჯაიანი.

შენიშვნები

1 ართვინის ოლქის უფროსი, პოდპოლკოვნიკი მიხეილ იაკობის ძე ერისთავ-შერვაშიძე.

2 ართვინის უბნის უფროსი, შტაბს-კაპიტანი იასონ კონსტანტინეს ძე აბაშიძე.

3 ბათუმის ოლქის მილიციის ფეხოსანთა ასეულის მეთაური, კაპიტანი ფარსადან გიორგის ძე მიქელაძე. სხვათა შორის, მას ივ. აბაშიძესთან ერთად 1893 წელს ართვი-ნში 6. მარათაშვილის ფონდისათვის შემოწირულებასი შეუვაროვებია.

4 ბათუმის ტყეთა ზედამხედველი, მესამე თანრიგის ტაბულარულა მრჩეველი ალექსანდრე იეახეს ძე აბაშიძე.

5 გონიას ოლქის უფროსი, პორუჩიკი ვასილ დიმიტრის ძე ლეონიძე.

6 ახმედ ხალვაში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრებისთანავე დანიშნეს ართვი-ნის ხეობის უფროსად. შემდეგ გადაიყვანეს გონიას უბნის უფროსად, სადაც 1891 წლამდე მუშაობდა. მის სახელთან ბევრი მამულსშვილური საქმეა დაკავშირებული. მისი ხელმძღვანელობით 1893 წელს მარადიდში გაიხსნა ქართული სკოლა.

(გაბრიელუშა იმეშვა)

ბრძოლა საბჭოთა სოციალისტურ კაპიტალიზმში

ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმეში უაღრესად დიდ მნიშვნელობას კულტურულ რევოლუციას რომ აძლევდა, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, პოლიტიკური გადართილების შემდეგ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მთელი სიღრმით დადგა კულტურის ამოცანები.¹

ვ. ი. ლენინმა კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ამოცანათა გადაწყვეტისათვის პირველ რიგში აუცილებელ მოთხოვნად წამოაყენა მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ბელადი წერა-კითხვის უცოდინარობას სოციალიზმის ერთ-ერთ შტრად თვლიდა. აღნიშნავდა, რომ გაუნათლებელი აღამიანი პოლიტიკის გარეშე, მას პირველ ყოვლისა უნდა ესწავლოთ ანბანი, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გარეშე შეუძლებელია მშრომელთა მასები ჩაებათ სოციალიზმისათვის შეგნებულ ბრძოლაში, რომ კულტურული რევოლუციის განხორციელების გარეშე შეუძლებელია სოციალისტური საზოგადოების აშენება.


1919 წლის დეკემბერში სასჯომაბჭომ მიიღო ვ. ი. ლენინის დეკრეტი „რადსრ მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ“, რომელიც ავალეს და რიგგანაოტდაათ წლამდე ყველა წერა-კითხვის უცოდინარ მოქალაქეს თავის დედა-ნაზე შეესწავლა წერა-კითხვა.

1923 წელს შეიქმნა სრულად რუსეთის ნებაყოფლობითი საზოგადოება „ძირს უწიგნებობა“. მთელ ქვეყანაში გაჩაღდა ფართო მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

სოციალისტური კულტურული გარდაქმნების გასსორციელება უნდა გამჭრიაყო რუსეთის ყოფილი ერთგნული განამბრა მხარეების ცხოვრების ყველა მხარის განვითარების მძლეობა დამაჩქარებელი საშუალება. საბჭოთა ქვეყანა უანგარო დახმარებას უწევდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალსს, რომელთა შორის ზოგიერთს თავიანთი დამწერლობაც კი არ ჰქონდა. ცხოვრებაში სორციელებოდა ვ. ი. ლენინის ჯერ კიდევ თქტომბრის რევოლუციამდე მიტეპული მიოთებები, რომ ჩამორჩენილ და ჩაგრულ ხალსებს აღმოჩნოდათ უანგარო და კულტურული დახმარება.²

კულტურული რევოლუციის ამოცანები, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მწვავედ აღდა ააბჭოთა საქართველოს წინაშე, სადაც რევოლუციამდე მოსახლეობის ორი მესამედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ხოლო წიგნიერთა შორის 90 პროცენტს ჰქონდა მხოლოდ დაწყებითი განათლება.

ლენინური მიოთებებიდან და არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ბოლშეიკებმა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებიდან გაჩაღეს ფართო მუშაობა მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის. 1921 წლის 4 ივლისს საქართვე-



დღის ბევრგზაში მიიღო დეკრეტი „მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარობის
ლიკვიდაციის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა უმოკლეს დროში წერა-კითხვის
უცოდინარობის ლიკვიდაციას, წერა-კითხვის უცოდინარი ის პირები, რომლებიც
ქმედული იყვნენ წარმოებაში, ბელისის შენახვით ორი საათით ადრე თავისუფლდებო-
დნენ სამუშაოდან, რათა მათ მიეცემათ შესაძლებლობა ესწავლათ.

ბირტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის ღრ-
ედაცობათვის აუცილებელი ზომების მიღებას შეეცადა, 1941 წლისათვის საქართვე-
ლო გახდა სრული წიგნიერების რესპუბლიკა.

კულტურული რევოლუცია, კერძოდ, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია: აქარის პირობებში გაცილებით უფრო მწვავედ იდგა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯ-
ვებამდე აქარაში მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.
1917 წელს აქარაში სულ 24 სკოლა იყო 1875 მოსწავლეთ, რომელია შორის მხოლოდ
498 იყო აქარის მკვიდრი. 4 კაცს ჰქონდა უმაღლესი განათლება და 10 კაცს — საშუა-
ლო.

აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ განათლების, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, მასობრივად კულტურული რევოლუციის საკითხი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის უპირველეს ამოცანად გამოაცხადა. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, 1921 წლის აპრილში, პარტიის საოლქო კომიტეტის დადგენილების საფუძველზე აჭარის რევკომის განათლების განყოფილებამ, თავი შეიკმნა აჭარაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საგანგებო კომისიის, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვის, სკოლებს მომზადების, სასწავლო გეგმების შედგენისა და მასწავლებელთა მოზილნადების საქმეში. 1921 წლის აპრილშივე, როგორც განსაკუთრებულ მნიშვნელობის ონისძევა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე ცალკე საერთო სასკოლო განათლებასაგან გამოიყო.

აქარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წლისათვის შეკრებილმა პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის მარტში დაადგინა: „ყოველწლიურად შეგვედგეთ როგორც საერთო, ისე პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაციას აქარაში, არ ღვეიშურათ ამისათვის არც სახსრები, არც ენერგია, და მოვეუწოდოთ ამ მუშაობისათვის ყველა შესაბამის საბჭოთა აპარატს“.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის I ყრილობამ, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის 23 იანვრიდან 1 თებერვლამდე, თავის დადგენილებაში ჩაწერა, რომ ღრ-
ლობა ღებულობა რა მხედველობაში ზოგიერთი განაპირა მხარის კულტურულ ჩამორ-
ყენილობას, ინტელიგენტური ძალების უკმარისობას, ან საერთოდ უქონლობას, ატი-
ლებლად მაინცა გაშალის სკოლების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულე-
ბების, თეატრების, აგრეთვე სამსახურებლო ინსტიტუტების ფართო ქსელს ინტელი-
გენტურ მუშაკთა კატრების მომზადებისათვის აღვილობრივი მოსახლეობისაგან.⁴

ამგვარად, აჭარაში, ისე როგორც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან იწყება ნამდვილი ბრძოლა კულტურული რევოლუციისათვის ათასობით მუშა და მშრომელი გლეხი იწყებს ანბანის სწავლას. საბჭოთა ხელისუფლებას გამარჯვების მეორე წლისათვის აჭარაში უკვე წარმოუდგენია მუშაობდა 52 პირველი საფეხურისა და 6 მეორე საფეხურის სკოლა, საში ტექნიკური⁵ მოსწავლეთა რიცხვა 8.697 მიაღწია, რომელთა შორის 55 პროცენტი მშრომელი გლეხების შვილები იყო. აღნიშნულ სკოლებს ემსახურებოდა 383 მასწავლებელი, რომელთა დიდი უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან იყო მოწვეული, 300-მდე აჭარის სოფლის ახალგაზრდა სწავლობდა ქალაქის ტექნიკუმებში.



1923 წლის 1 ნოემბერს მაშაველებელთა ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად ბათუმში გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელსაც 1933 წლამდე პედაგოგიური ინსტიტუტის ემანდნენ. 1924 წლის 2 აპრილს მას მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი. ტექნიკუმს ჰქონდა ინტერნატი. მოსწავლეების კეცება უფასო იყო. გაიხსნა აგრეთვე ცხრა-თეცათამდე კურსები პირველი საფეხურის შრომითი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. შორეული სოფლების მშრომელი გლეხები შეიღებინათ ხელოვნად, ქედისა და ქობულეთში გაიხსნა სკოლა-ინტერნატები, ბათუმში — ტექნიკუმი მექანიკური, სამშენებლო და ელექტრომექანიკური განყოფილებებით. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებლად 1922 წელს პირველად მოეწყო საზოგადოებრივი კურსები.

პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1925 წლის ივლისში აჭარაში დაარსდა საზოგადოება „ძირს უწიგნურთა“. 1925 წლის ბოლოს საზოგადოებამ აერთიანებდა 600 წევრს, ხოლო 1926 წელს აპრილისათვის მასამ რიცხვმა 2743 მიაღწია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ 45 უკრებში.⁶ საზოგადოების ყველა წევრი წვრთნისას ასწავლიდა მშრომელ მოსახლეობას.


სწრაფად ვითარდებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა რიცხვი. 1925-26 სასწავლო წელს ასეთ სკოლათა რიცხვმა აჭარაში 125-ს მიაღწია, მათ შორის 14 იყო ბათუმში და 111 აჭარის სოფლებში. მოსწავლეთა რიცხვმა 10328 მიაღწია.⁷ აღნიშნულ სკოლებს ემსახურებოდა 607 მასწავლებელი. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არცერთი აჭარელი ქალი სკოლაში არ სწავლობდა. 1925-1926 სასწავლო წელს პარტი აჭარის სოფლებში 1.175 აჭარელი გოგონა დადიოდა სკოლაში.

აპარის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1925 წელს გაიხსნა მეწყვი, სადაც 130 მუშა ახალგაზრდა სწავლობდა. მეწყვი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ამზადებდა ამ ახალგაზრდებს, რომელთაც თავის დროზე გერ ზიიღეს სამუშაო განთავლება.

ბათუმის მუშა-მოსამახერებლისათვის გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც მშრომელ მაგზში ლექციების, მოხსენებების, დისპუტებისა და სხვა ღონისძიებებით ატარებდა ფართო სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობას, ხოლო ნოვეიანგზო ინდუსტრიულ ტექნიკუმთან ჩამოყალიბდა საღამოს მუშათა უნივერსიტეტი ტექნიკური განხრობის (ქართულ რუსული განყოფილებები).⁸ სუბტროპიკული კულტურების ამიერკავკასიის ინსტიტუტის დამოუკიდებელ მუშდაც 400-კაციანი კონტინგენტი ჰყავდა. დაწესდა 250 სტიპენდია და გაიყოფო 150 ადგილი ინტერნატში. ხელოს, ქედის, ბათუმისა და კობულეთის რაიონებში აგებონიოტური რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის მოეწყო მონაგარიშუთა კურსები.

აჭარის პარტიული ორგანიზაცია თანმიმდევრულ ღონისძიებებს აწარმოებდა სასოფლო-სოფლის ლიკვიდაციისათვის, რათა დაერწმუნებინა მოსახლეობა რელიგიური სწავლების უსარგებლობაში. 1924 წლის 29 აპრილს პარტიის აპარის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება აჭარა ყველა სკოლაში რელიგიის სწავლების აკრძალვის შესახებ.⁹

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე აჭარაში არცერთი სკოლამდელი დაწესებულება არ იყო ფაქტობრივ სკოლამდელი აღზრდის ისტორია იწყება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. პირველად სკოლამდელი დაწესებულება საზოგადოებრივ ბაღით ნიათში გაიხსნა 1921 წლის მაისში, რომელსაც მიენიჭა გამორჩენილი საბჭოთა პედაგოგის ნ. კ. კრუპსკაიის სახელი. 1925 წელს აჭარაში იყო 6 საბავშვო ბაღი 450 აღსაზრდელით. ბათუმში გაიხსნა აგრეთვე სპეციალურა ბავშვთა სახლი აჭარის მშობნელ გლეხთა ბავშვებისათვის.



აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ქალთა შორის. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა კლუბებმა. კლუბებთან ორგანიზებული იურიდიული კონსულტაციები, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და ჯანსაღი სკოლების, ბიბლიოთეკების, ბაჟშეთა ოთახების, ლენინის კუთხეები, დრამატული, ლიტერატურული და სიმღერის წრეები. პარტიის საოლქო კომიტეტთან შეიქმნა მუშათა და გლეხ ქალთა ავტოწრები, ეწყობოდა კრებები.

აჭარელ ქალთა შორის მუშაობა ძირითადი მეთოდი იყო დღევანდელ ქალთა კრებები. 1925 წლისათვის აჭარაში იყო 227 დღევანდელი ქალი.¹⁰

1921 წლის 11 მაისს ჩატარდა აჭარის მეშა და გლეხ ქალთა პირველი უპარტიო კონფერენცია, რომელმაც თავის დადგენილებაში აღნიშნა: „მხოლოდ საბჭოთა ხელი-სუფლებას მოაქვს ხალხთა მთლიანი განთავისუფლება, მხოლოდ მშრომელთა ხელისუფლება შეძლებს გადაწყვეტოს ყველა მტკიცეული საკითხი.“¹¹

კულტურული რევოლუციის დაჩქარებისათვის აჭარაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1928 წელს შენობებულ 8-დან 14 წლის ასაკის ბავშვთა სავალდებულო სწავლას. ამ დროისათვის უკვე დახურული იყო რელიგიური სკოლები. ემბრა-ვლებობა.

1928 წლის ივნისში საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მორიგ პლენუმზე მიიღო საქართველოში კულტურული რევოლუციის გაშლილი პროგრამა. პლენუმმა მიუთითა ჩატარებულიყო ფართო სამუშაო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის. პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კულტსაგანმანათლებლო მუშაობას აჭარის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

პლენუმმა გადაწყვეტილებაზე შექმნა ფართოდ გაიშალა მუშაობა კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის აჭარაში.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა 1930 წ. 12 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება ქ. ბათუმსა და დაბა ჩაქვში 1930-1931 სასწავლო წლიდან, ხოლო 1932-1933 სასწავლო წლიდან მთლიანად აჭარაში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ, რის შესახებაც აჭარის ასსრ ცაქა დაეცა სათანადო დეკრეტის შემუშავება; შეიქმნა საყოველთაო სწავლების კომიტეტი.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილება აჭარაში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების შესახებ ავალდებდა განათლების სახალხო კომისარიატს შეემუშავებინა ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა წერა-კითხვის უცოდინარობა, სასკოლო ასაკის და დაწყებითი კლასების, ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა, მასწავლებელთა კადრების მომზადება, სასკოლო შენობების აგება და სხვ. ეს მთელი ძალებისა და სახსრების მობილიზაციის მოთხოვნაა.

აღნიშნულ ღონისძიებას აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც 1930 წ. 2 სექტემბერს სპეციალურად განიხილა საკითხი „აჭარის ასსრ არსებულ სასკოლო შენობების მდგომარეობისა და ახალი სკოლების მშენებლობის შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ სცნო 1930-1931 სამეცნიერო წელსკე მიღწეული ყოფილიყო სასკოლო შენობების მაქსიმალური გაფართოება, სასკოლო შენობების მშენებლობის გაიარებლისა და ახალი სასკოლო შენობების რიცხვის გაზრდის მიზნით, აჭარის ცაქა ნება დაერთო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის სასკოლო შენობების ტიპური გეგმიდან გადახვევა. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა საბჭოს დაეცა აჭარაში სასკოლო მშენებლობის უზრუნველყოფა საჭირო სახსრებით.¹²

1930 წლის 17 ნოემბერს პარტიის საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი აჭარაში საყოველთაო სწავლების მიმდინარეობის შესახებ. იმასთან დაკავშირებით, რომ შედარ-

გოტიუროს ეადრების უკმარისობა იყო, ამ დამეში უნდა გამოეყენებინათ მედაგოგიური ინსტიტუტის გრძელვადიან შევსებულმაში მყოფი სტუდენტები; ბათუმის მედაგოგიური ტექნიკუმის ყველა გადამდებული მოსწავლეები. აერთიანებულ რეპრეზენტაციას ჩატარდა საყოველთაო სწავლების დათვალეობების დეკლარაცია.

1931 წლის 2 აპრილს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე მოიხილა მოხსენება აჭარის რაიონებში 1932-33 სასწავლო წელს საყოველთაო სწავლების შემოღებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შესახებ. მიღწევითან ერთად აღინიშნა განათლების სახალხო კომისარიატის სუბტი მუშაობა სოფლად. დაიწყო მედაგოგიური ტექნიკუმის მიერ სპეციალური კლასებში ვიდეო ადრე გამოშვება და მათი გაფანჯრა სოფლებში, მედაგოგიური სამუშაოსათვის კონკრეტული მომარაგება, მოსწავლეთა ცხოვრების პირობებში გაუმჯობესება, მათი შეუფერხებელი მომარაგება სურსათით და სამრეწველო საქონლით, მასწავლებელთა კვალიფიკაცია ამაღლება, სკოლების პოლიტექნიზაციის უზრუნველყოფა. ჩატარდა მასწავლებელთა რაიონული კრებები და ცალკეულ დისციპლინებში სასწავლო პროგრამების განხილვა, სკოლებსა და საწარმოებს შორის ხელშეკრულებების შესრულება შემოწმდა.

აჭარის ასსრ ცავს წინადადება მთელი სახალხო განათლების სარაიონო ინსპექტორის რეორგანიზაციის შესახებ და მისი გარდაქმნა სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებად. დადგენილებაში მოთხოვნილი იყო აგრეთვე სკოლის მუშაობის ხარისხის ამაღლებისადმი კონტროლის გაძლიერებაზე.

საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი პოლიტექნიზაცია განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წლის აგვისტოს დადგენილებას „აჭარაში საყოველთაო სწავლებისა და სკოლის პოლიტექნიზაციის მორიგე სამუშაოების შესახებ“. პარტიის საოლქო კომიტეტმა მოითხოვა, რომ 1931-32 სასწავლო წელს სოფლის ადგილებში დამატებით გახსნილიყო 78 ახალი სკოლა — 10 ქობულეთის რაიონში, 10 — ქედის, 14 — ბათუმისა და 44 — ხულოს რაიონში. პარტიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება ითვალისწინებდა აგრეთვე 1931-32 სასწავლო წელს თითო ახალი შეიქმნედი გახსნას ქობულეთის, ქედის და ხულოს რაიონებში, აღნიშნული დადგენილების მიხედვით ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა უნდა დაიწყებოდა არაუგვიანეს 1932 წლის 1 იანვრისა. დადგენილებაში ნათქვამია: „მიღებულ იქნას ზომები, რათა არ მოხდეს ბავშვთა გათესვა სკოლებიდან. ამ მიზნით გაძლიერდეს ღარიბთა ფონდი, გაუმჯობესდეს ღარიბ-ღატაკთა და მოჯამაგირეთა ბავშვების მომარაგება ტანსაცმლით და ფეხსაცმლით, უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეები ცხელი საჭმელით და ა. შ. გარდა საბიუჯეტო სივრცისა, ამ საქმისათვის გამოყენებულ იქნას სახსრები სხვათა მოხსნისათვისაგან.“

პარტიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით 1931-32 სასწავლო წლის დასაწყისში აჭარის ყველა სკოლა მიამაგრეს ფაბრიკა-აქიხნებზე, კოლმეურნეობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო-სატრანსპორტო სადგურებზე. ერთდროულად სოფლის გველა სკოლას გამოეყო მიწის ნაკვეთი. ქალაქისა და რაიონის საბაზო სკოლებში მოეწყო სახელოსნოები, ლაბორატორიები და სამუშაო ოთახები.

სახალხო განათლების საქმე აჭარაში მეორე ხტოვნიდში ახალ სადგურზე ავიდა. 1936 წლის 1 სექტემბრისათვის მდლიანად დიკიდირებული იქნა სამცხლის მეცადინეთობა. ამ დროისათვის ქ. ბათუმში მთელი დატვირთვით მუშაობდა 5 დაწყებითი, 12 არსებული საშუალო და 5 სიმაღლო სკოლა, მათ შორის 2 ქართული, 1 რუსული, 1 სომხური და 1 ბერძნული. 1937 წელს აჭარის სკოლებში მიიღეს ბათუმის მედაგოგიური ინსტიტუტის პირველი გამოშვება.

1937 წლის 5 იანვარს პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ იმ სპეციალურად ანუ-
ლა სახალხო განათლების საკითხებზე, მიღებულ დიდგენილებაში მითითებული იყო ა.
საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები. სკოლების მეშვიშობის განვითარების
სამეცნიერო პრაქტიკული ბაზების შექმნის მიზნით გადაწყდა აჭარის განათლების
დაავიჯიერება ცენტრალური კაბინეტის ორგანიზება და მის განვითარებაში ყრთილი
შედეგოვანი ღაბორატორიების შენობებისა და ინვენტარის გადამცემა.

აჭარაში კულტურული რევოლუციის შედეგები სოციალიზმის ვაბარჯების ჰერა-
ფდისათვის ღრმად ვაანალიზა აჭარის საოლქო ორგანიზაციის ნეაქტემიტე პარტიუ-
ლმა კანტერენციამ, იმ ღრთისათვის ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმატებით ფუნქ-
ციონირებდა 300 დაწყებითი სკოლა, 60 არასრული საშუალო და საშუალო სკოლა, 4
პედაგოგიური სასწავლებელი, 2 მუშთაგი, 10-მდე სხვადასხვა ტექნიკური, პედაგოგიუ-
რი ინსტიტუტი.¹⁴

1937 წლისათვის აჭარაში ყოველ ათას მცხოვრებზე 187,4 მოსწავლე მოდიოდა.
აჭარის სკოლებს ემსახურებოდა 1.400 მდე მასწავლებელი. იმ ღრთისათვის პედაგოგი-
ური ინსტიტუტის დღის განყოფილებაზე სწავლობდა 423 სტუდენტი. 1937 წელს აჭა-
რის საშუალო და არასრულმა საშუალო სკოლებმა მიიღეს 139 მასწავლებელი — ბა-
თუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსდამთავრებულნი. შესამჩნევად გაიზ-
ოზესდა სკოლების, ტექნიკუმების, პედაგოგიურებისა და პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის მეშვიშობა, გაიზარდა მოსწავლეთა და პტუდენტთა ავადმყოფი მოსწრება, სწავლე-
ბის ბარისი.

ამჟრად, ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველღიური ზრე-
ნის შედეგად, აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული
მეშვიშობით, აჭარაში ჰეშვარტად რევოლუციური გარდაქმნა მოხდა სახალხო განათლე-
ბისა და კულტურის სფეროში.

მუბრად ჩაწლმომხვილი,

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პე-
დაგოგიური ინსტიტუტის პარტიის იბტორიბა და მო-
ლიტეკონომიის კათედრის გამგე, დოცენტი.

შ ა ნ ი შ ი ნ ა ნ ბ ი

1 გ. ი. ლენინი. თხ., კ. ტ. 44, გვ. 163-169.

2 გ. ი. ლენინი. თხ., კ. ტ. 30, გვ. 120.

3 საქ. კბ. აჭარის პ. ფ. I, ს. 58, ფ. 7.

4 სკვბ ცვ შლისფმა. ფ. 14, აღწ. 1, ს. 199, ფ. 238.

5 საქ. კბ აჭარის საოლქო კომიტეტის პა. ფ. 1, აღ. 1, ს. 367, ფ. 9.

6 გაზ. „ფუხარა“, № 93. 1926 წ. 2 აპრილი.

7 საქ. კბ. აჭარის საოლქო კომიტეტის პა. ფ. 1. აღწ. 1. ს. 734, ფ. 17.

8 იქვე, ფ. 1. აღწ. 1, ს. 1214, ფ. 250.

9 საქ. კბ აჭარის საოლქო კომიტეტის პა. ფ. 1 აღწ. 1, ს. 271, ფ. 32.

10 საქ. კბ აჭარის საოლქო კომიტეტის პა. ფ. 1, აღწ. 1, 633, ფ. 48.

11 გაზ. „ზვესტია“, № 51, 1921 წ.

12 საქ. კბ. აჭარის პა. ფ. 1, აღწ. 1. ს. 1357, ფ. 89.

13 აჭარის ახსრ ცხა, ფ. რ. — 96, ს. 6. აღწ. 1, ს. 3, ფ. 23.

14 საქ. კბ. აჭარის პა. ფ. ს. აღწ. 4, ს. 303, ფ. 23.

შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ბათუმელი კაცის ბავშვობა პიონერთა პარკიდან იწყება. მე არ შეგულება ისეთი ბათუმელი, რომელიც არ ყოფილიყოს ნორჩების გაზრდობისა და დასვენების ამ შესანიშნავ კერაში, არ გაესეირნოს პარკის ტბაზე პიონერთა ხომალდით...

ასევე, ალბათ, ძნელად მოიძებნება ბათუმში კაცი, რომელიც ამ პარკის თავგაცს რეზო ბოლქვაძეს არ იცნობდეს — წითელაფეხსაფეხიანო საყვარელ აღმზრდელს. თუმცა ახალგაზრდობის წლები უკვე გავიდა, იგა კვლავაც დაუშრეტელი ეხერგებით, ახალგაზრდული შეპართებით თავს დასტრიალებს ბათუმისა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკს და ნორჩ თიბის მამულისა და შრომის სიყვარულით ზრდის. დიდმა ერისკაცმა გ. ლეონიძემ, როცა პიონერთა და მოსწავლეთა პარკი მთ-ინახულა, რეზო ბოლქვაძეს „ყრმათა სარდალი“ უწოდა. სხვა სახელი არც შეიძლება უწოდოთ პედაგოგიურ ოჯახში აღზრდილ კაცს. მისი შრომები კალე ბოლქვაძე და ქეთევან ჯინჭარაძე ჩინებული პედაგოგები, ლენინისა და შრომა წითელი ღრმის ორდენებით იყვნენ დაჯილდოებულნი, მინიჭებული ჰქონდათ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ბავშვებთან მუშაობის პირველი სისარული ორმოციოდე წლის წინათ გაჩნდა, როცა ციხისძირის „ინტურისტის“ პიონერთა ბანაკს ეფეროს პიონერხელმძღვანელად დანიშნეს.

1952 წელს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებია შეძლე, ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. მაღალი პასუხისმგებლობით მოეციდა მოვალეობას, მაღალ დირექტორად დანიშნეს. უკვე 26 წელია თავს დასტრიალებს მაღლიანი ბუნებით შემკულ ამ ლამაზ კუთხეს. ყველა კუნძულს სწევდა მისი კეთილი ხელი. ამავე დღეუასდა, მისი შრომა არაერთხელ აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“. პიონერებთან აქტიური მუშაობისათვის შეტანილია აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს საპატიო წოდება, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

უკვე 30 წელია რეზო ბოლქვაძე პარკის № 1 საქალაქო პიონერთა ბანაკს ხელმძღვანელობს. გასული წლის შედეგებით ბანაკი და მისი ხელმძღვანელი საკავშირო, ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა, ასლანან კი შრომის ვეტერანის მედლით გააფაცა.

დიან, გამორჩეული კაცია რეზო ბოლქვაძე, რადგან მისი ხელმძღვანელობითა და შემოქმედებით მუშაობით ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ნორჩებს უყვართ თავიანთი აღმზრდელი, რომელიც თანაბრად უნაწილებს თითოეულ მათგანს გულის სითბოსა და სიკეთეს.

შრომითა და იაბითაა აღსავსე ამაგდარი აღმზრდელის ცხოვრების წლები, დაე, კიდევ მრავალი დღე გაეღოს მას ნორჩების სამსახურში.

ზურაბ კომასნიძე



შოთა შარია

შეიცან თავი შენი,

ანუ დათა თუთაშხია როგორც ხასიათი

წაკლი 11

დაქინებთ ეგებდა დათა თუთაშხია სულგერი კრიზისიდან გამოსვალს, ცდილობდა აღედგინა სიყუთის რწმენა, რომელიც ქცევიას და შედეგის შეუსაბამობის გამო დაკარგა. ურწმენო კაცი კი, ეს დათას არ ეგვივებოდა, რის ნაქნისია? იგი მხოლოდ არსებობს და არ ცხოვრობს. რა უნდა მისცეს ასეთმა აღმწამმა ქვეყანას, ხალხს? ცხადია, არაფერი. „მარადილან იწყება კაცის წანდენა, — თქვა დათამ ერთ-ერთ პა-უბარში, — ვეფერებ გახგებას, დამსბრუნოს ის რწმენა, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულსა უშენებლად“ — იმის რწმენა. ეგ, მქონდა თდეღაჲ“.

დათ, მქონდა და აღარ აქვს, რადგან თავის საქციელს შედეგის მიხედვით აფა-სებდა. დათამ არ იცოდა, რომ მალე ზნეობრივ ქცევაზე კი შეიძლება არ მოაყვას სასურველი შედეგი, მაგრამ ამის გამო იგი არ კარგავს თავის მორალურ მნიშვნელო-ბას. ეთქვით, მაგანი აზოობტრებულ მდინარეში გადაეშვა წაღწაღებულის ვადასარ-ჩენად, მაგრამ ისე მოხდა, რომ ვერც ის ვადაარჩინა და თავდაც დაიხრჩო, ე. ი. ერთიან მაგიერად დაიღუპა ორი აღამიანი. განა ანია გამო მაგანის საქციელი ზნეობ-რივი არ არის, ამორალურია?

ფრიად საგულისხმოა, რომ ხალხიც, ჩვეულებრივ, ქცევის მიზანს, მოტივს ამ-ლევეს უბრატესობას. ანია დასტურია თუთა დათას მავალით, სანამ იგი სხვის საქ-მეში ერეოდა, გულთან მიჰქონდა სხვისი გასაჭირი, ამ ჩარევის შედეგის მიუხედა-ვად, მას საგანგებო პატივს მიაგებდნენ, მაგრამ როგორც კი უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი აღდგა, ყველამ ზურგი შეაქცია. „მართალია, თვითონ არავინ და არაფერს არ დაუშავებდა, — ამბობს რომანის ერთ-ერთი პერ-სონაჟი ბევლარ გვალია, — მაგრამ მის გვერდით წინდა გიორგისთვის ყელი რომ გამოტრიათ, თითს არ გაახრევედა არასჯიო. ეს ქვეყანა ისეთ მოწყობილი, რომ შენ თუ არ გინდობარ, არც მე მინდობარ მაშინ! ნახა წალხნა, დათა თუთაშხიამ ფეხებზე რომ დაიკიდა ყველა უსამართლობა და აღამიანის გასაჭირი, მაშინ თვითონ ხალხმაც იფარა გული დათაზე“. მაშასადამე, ხალხს თვალშიც მნიშვნელობა აქვს არა იმ-დენად შედეგს, რამდენადაც ქცევის მიზანს, მის მოტივს. და, ჩენი აზრით, პაცხებით მართალი იყო რომანის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო პერსონაჟი ნანო, რომელმაც დათას უთხრა: „მადლი ქენი, ქვაზე დადგ და შედეგს არ დაელოდო, წადი, სხვი ნა-ფლი ქენი... საქციელიც ეს არის და მისი თესვის აუცილებელი პირობაც“.

დათა თუთაშხიამ თავად აღიარა, რომ შეცდა, როცა ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი აღდგა და „ნეიტრალური“ პოზიცია დაიკავა: „წევამკყო ზურგი ვეფლავებ, აღარ ჩავერიე სხვის საქმეში, ქვა ქვაზე ნუ დარჩება ნურსად-ნეტში“.



მამინ ყველამ ღიავა, რაც სიკეთე მქონდა გაეთხოვო. ცუდი კაცები ჩემსადმი აყვა ხალხი, ზურგი შემაქცია თვითონაც, დივანი მართოდმართ და მიტოვებული მოვიქცეი „სწორად“. ხალხის რეაქციამ, როგორც ხედავთ, დათა დაარწმუნა, რომ აუცილებელია ბოროტების წინააღმდეგ ძალის გამოყენება. „ნართო ქადაგება ევ-ლირაფერს ზდება, ხედავთ ამას თქვენ, — უთხრა მან ეფემია-წინამძღვარს, — წიბილწა ერი, ძალაა საჭირო, „შიში შვიტს სიყვარულს“. შიში ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მართო სიკეთე არ კმარადა არასოდეს“.

სწორია, არ კმარადა. საჭირო იყო და აუცილებელიც ძალის გამოყენება, როგორც სამართლიანობის დამცვიდრებისა და ბოროტების მოსპობის ერთ-ერთი საშუალება. პროტრესულმა კაცობრიობამ დიდი ხანია უარყო იგზუიტთა მტკიცება — „მიზანი ამართლებს საშუალებას“. როგორც ცნობილია, ამ დევნით მათ არაერთი საზიზღარი დანაშაული ჩადინეს, მაგრამ არც ეს მტკიცება საფუძვლიანი, თითქმის ბოროტებას არასოდეს არ უნდა დაეუპირისპირეთ ძალა, როგორც ამას, მაგალითად, ქრისტიანული რელიგია ქადაგებს — თუ ეინმემ ერთ ლოყაზე ვავარტყა, მეორე მიუშვირეო. როცა მედღეჟნე ჯონჯოლიამ დათას თოფი ესროლა, მოველეთ და მთავრობის ჯილდოს — ხუთი ათას მანეთს მივღებო და აბრაგმა დამბაჩა დემიშნა ბოროტმოქმედს, დამტრია მღვდელი ღმერთს შეევედრა: „შთაგაონე მას, რომ ბოროტების აღმოფხვრა და ამომსახვა ბოროტებითე არ არის გონიერი და მართებული, რადგან ავსა საქმეს, თუნდაც სიკეთის სახელით ჩადენილს. სხვა უმარავი გირა მოაქვს. რომელსი უსასრულო და დამღუპველნი არიან“. ამასვე უქადაგებდნენ დათას ეფემია-წინამძღვარი და სხვები. „არ არსებობს მიზანი, — უთხრა მას ეფემია-წინამძღვარმა, — რომლისთვისაც იმდენი ცოდვის ჩადენა იყოს გამართლებული რამდენიც, შენ იტყვირთ“.

ბოროტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების წინააღმდეგი იყო დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი. როგორც ცეცხლის ჩაქრობა არ შეიძლება ცეცხლითვე, ამბობდა იგი, ისე ბოროტების დაძლევა ბოროტებითე. მთავარი მიზანი კი არ არის, არამედ მისი რეალიზაციის საშუალება და ამიტომ იგი, ეს საშუალება, ზნეობრივად უმწიკვლო უნდა იყოს. როგორც ვხედავთ, ლევ ტოლსტოიმ ერთმანეთს დაუპირისპირა მიზანი და საშუალება, მამინ როცა, მათს პარანოიულობას უნდა ვესწრაფვოდეთ.

ვ. ი. ლენინი თუმცა დიდად აფასებდა ლევ ტოლსტოის „როგორც გენიალურ მხატვარს“, რომელმაც მოგვცა „მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებები“, არ იზიარებდა, არ იზიარებდა კი არა, გმობდა მის მოძღვრებას. იგი ხანგასმით აღნიშნავდა, რომ აშკარა იყო „წინააღმდეგობანი მის ნაწარმოებებსა, შეხედულებებსა, მოძღვრებებსა და სკოლასი“, რასაც განპირობებდა XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსული სინამდვილე. ამ წინააღმდეგობათა კონკრეტული გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ ლევ ტოლსტოი დაუნდობლად აკრიტიკებდა კაპიტალისტური საზოგადოების სიზნინაჩეებს და ამავე დროს ქადაგებდა „ბოროტებისადმი წინააღმდეგობას“. აი, რას წერდა ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი: „ერთი მხრივ, ნეტად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღბის ჩამოგლეჯი, — მეორე მხრივ, ყველაზე უსამაგლესი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყანაზე, სახელდობრ. რელიგიისა, მისწრაფება საზიზღო ზუცების ნაცვლად ზნეობრივი რწმენის მქონე ზუცების დაყენების, ვ. ი. ყველაზე მოქნილი და ამიტომაც განსაკუთრებით საზიზღარი ხეცობის გაფრცხლება“. ამის გამო მიიჩნდა დიდ ბელადს ლეი ტოლსტოის მოძღვრება რეაქციონერ მოძღვრებად და წერდა, რომ ტოლსტოისებური ბოროტებისა



რომ ჰქონდა, და მეორე ის, რომ ჩვენ თუ გმარგლეთ, სხვაც მოგებადეს; მაშინ მათი ნება თავისი იზამს, მომარგლდება ჩვენი თანა კაცები და, ბევრი რომ მოგვითქვამს, მაშინ სათავეში რომ ბოროტებაა, იმაზეც მიგვიწყდება ხელი და ტყეა“.

„სათავეში რომ ბოროტებაა“. სწორად მსჯელობს დათა. აი, ამ ბოროტებას სათავეს ძირფესვიანად ამოგდება იყო საჭირო და, ამას ერთი და ორი კაცის ძალი რომ არ ეყოფოდა, დათამ მშენებრად იცოდა. „მე და შენ იმდენი ძალი ახლ გვაქვს, — უთხრა მან იმავე ძმადნადივს, — ბოროტების სათავე რომ მოვსპოთ. მაგრამ ბოროტებას ჩელები რომ მოგვართ, ვომ შეგვიძლია ეა?“ რა თქმა უნდა, შეეძლოთ. არც ეს იყო ცუდი საქმე, მაგრამ ბოროტების სათავეს დაძლევის ხალხია გაერთიანება და ერთობლივი ბრძოლა რომ დაამყარება, ამ შეგნებამდე, დათა, სამწუხაროდ, ვერ ამალა და ვერც 1905 წლის რევოლუციის არას ჩამყვდა. გრაფი სეგედი ამაოდ ეძებდა მის მოქმედებაში რაიმე ჩანაყალიბებულ პროგრამას, რომელიმე პოლიტიკური პარტიის თვალს და არცთუ უსაფუძვლოდ დააკყნა: „მოქმედების პროგრამა, მით უმეტეს გარკვეული პოლიტიკური მრწამსი თუთაშხიას არ ჰქონდა. ყველა მისი საქციელი აფექტის შედეგი იყო და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარეობდა“. გულისტყვილით აღიარებდა ამ ფაქტს დათას ერთი მეგობარიც: „დათას პოლიტიკა და პარტიები არ წამდა, არ ესმოდა, პოლიტიკურად უსწავლელი და ბევრი კაცა იყო, მაგრამ მეფეა და ყანდარმურისა რომ ყველაფერი ცობდა, ეს იცოდა კარგად“.

ციხეშიც, პოლიტიკურ პატიმრობიდან ურთაყრთობია შედეგად, არ შეუძვლია დათას პოზიცია, თუმცა ფრიად აქტიური მონაწილეობა მიაღწია პარტიარსა ამბოხებაში — სწორედ მისი მეცადინეობითა და თავდაცობით უხმაურად და სისხლის დღოდ ვრელად გააღო ციხის ყველა საკანი და ციხის უფროსიც გამოინწყვიდეს თავის ერთგულ დამქაშიან ერთად. ამის მიუხედავად, რომელიმე პარტიას მაინც არ მიყვალეზბია. მხოლოდ ეს უთხრა პოლიტიკურ პატიმარ კლასიონ კეიხიამეს: „თუ ხალხს მომეალეზე უანგაროდ მოფიქრალი კაცები ხართ აქვენ, თქვენი მიზანი ის აუა, რომ აღამიხსა იზაზე უკეთესი შეგნმას, ასლა რომ არის, მაშინ კაი ხნის მოსული ვარ თქვენთან მე, კაი ხნის“. ციხიდან გაქცევის მერვც არ გარეულა იგი პოლიტიკაში და კვლავ ეულ მებრძოლად, მარტოიმარტო დარბა. ამით აიხსნება, რომ დათამ ის პარგებლობა ვერ ნოუტანა მშობელ ერს, რასაც მოუტანდა, ბოროტების სათავეს მოსპობისათვის გაერთიანებულ მებრძოლებს: რომ შეერთებოდა.

დათა თუთაშხიას უთოოდ დიდი ზნეობრივი ღირსებაა, რომ იგი არსად და არასდროს არ იჩენდა ძალადობის რაიმე სიგეარულს. თუნცა „სარგველებს“ მარგლიდა, კაცის კვლას ერიდებოდა, ისიც საკმარისად ნიაჩნდა, რომ მისი შინა ქონდათ თვით ასხელგანთქმულ ყაიღებსაც კი. გაიხსენეთ ის ეპიზოდი, დათამ ციხეები რომ წაართვა ბოღდოსა და მის ამფსონებს, როგორ დაემუქრნენ ისინი, ციხეები დატოვე, თორემ გესერიოთ. „თქვენ დერუს რომ ესერიოთ, ის კაცები ხართ! — უბასუხა დათამ. — ნე რომ შესერიოთ, ის კაცები არ ხართ, წუპაკო მამაძალებოთ, თქვენ!“ და ასეც მოხდა — ყაიღებში სროლა ვერ გაბედეს.

აღამიანს ხაიათი, მისი ზნეობრივი საქე განსაკუთრებით მკაცრიად წარმოიხსენდება მორალური კანფლიქტის დროს, როცა ორი მორალური ნორმიდან ახარჩევია ერთი. ეს არც თუ ისე ადვილი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება, მაშე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული. იესა-ფშაველას ცნობილია პოეზის „ატუმარ-მასპინძლის“ გნირთა გოჯალას ტრაგედია სწორედ ზნეობრივმა არჩევანმა განაპირობა. სოფელში უპირატესობა მისცა მორალურ ნორმას — „მეტრის ჩტრულად მოეცე“. გოჯალამ კი სტუმარ-მასპინძლობია წესს, აღია ქაქავაძის დრამატული პოეზია ქართ-

ელის დედა“ მორალურ კონფლიქტზეა აგებული. აქაც არჩევანია — რა არის უმჯობესი გეგმის — სამშობლო თუ შვილის მოვალეობა ავადმყოფი დედის წინაშე. კვლავი-
ტი ადამიანური გულისტკიველით, დედამაც და შეიღმაც ერთნაირი არჩევანი გააე-
თეს — უპირველესია სამშობლო, ხოლო მისი დაცვა თითოეული მოქალაქის წმიდა-
თა წმიდა მოვალეობაა, უმაღლესი ზნეობრივი პრინციპია.

მაინც, როგორ უნდა მოეცეთ ასეთ შემთხვევაში, რომელ ზნეობრივ ნორმას
მივცეთ უპირატესობა, რომ არჩევანი სწორი გამოდგეს? ცნობილი ფრანგი ფილო-
ლოგისა და მწერლის სარტრის აზრით, ორიდან სულერთია, რომელ ზნეობრივ
ნორმასაც ავირჩევთ, რადგან ორივე მორალურია და თანაბარიერებელი. ნარქსისტულ-
ლენინური ეთიკა განასხვავებს მორალურ ნორმებს და თვლია, რომ უპირატესობა
უნდა მიეცეთ უფრო მაღალ ზნეობრივ ნორმას უფრო დაბალთან შედარებით.

საგულისხმოა, რომ მორალურ არჩევანს დათა თუთაშნია მთელი პასუხისმგებ-
ლობით ეკადებოდა, დიდ მოთმინებას იჩენდა, გულდაგულ სწონიდა თითოეულ ზნე-
ობრივ ნორმას, წესს, თითქმის ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებდა — უპირატე-
სობას აძლევდა მაღალ მორალურ ნორმას. ძმებმა თოდუებმა რომ სცემეს მხოლოდ
იმიტომ, რომ სახელი შორს გაგვივარდება, აღიარებული აბრაგის გაღახვით, დათა
თუთაშნიამ ხელი არ გამოიღო. არც იარადი ისმარა მათი მამის დროითი თოდუას
ხატობით. ახვარმაც ტყუილ-უბრალოდ, აქაოდა, ვაჟაკი ვარო, სილა გააწა დათას —
არ იცოდა, ვინ იყო, თორემ რას გახედავდა! დათამ ეს შეურაცხყოფაც მოითმინა.
გასაკვირი კი არა, საოცარია, განსაკვირვებელია — ეს ამაყ და თავმოყვარე აბრაგი
რა მოთმინებას იჩენდა ასეთ შემთხვევებში! არა მგონია, ენმეს ეჭვი შეეპაროს
იმაში, რომ დათას სულ იოლად შეეძლო აელაგმა თავგასული ძმები თოდუები, შე-
ეძლო საკადრისა მიეზღო ავარიისთვისაც, ამის ზნეობრივი უფლებაც ჰქონდა, რო-
გორც სიანებით უღაცაშაულთ კაცს. მაგრამ არც ერთი ქნა და არც მეორე, თუ იგი
ძმებს დასჯიდა უღირსი საქციელისათვის, ამით მხოლოდ თავის პირად ღირსებას დაი-
ცავდა, სამაგიეროდ დაარღვევდა მეორე მორალურ ნორმას — უფროსის (ამ შემთ-
ხვევაში დროითი თოდუას) პატივისცემას ამ ორი მორალური ნორმიდან, ჩემი აზ-
რით, საესებით მართებულად უპირატესობა მისცა უფრო მაღალ ზნეობრივ ნორმას
— უფროსის პატივისცემას.

ახლა ვიცითთ: რატომ მისცა უპირატესობა დათა თუთაშნიამ უფროსის პატი-
ვისცემას და არა პირადი ღირსების დაცვას? იმიტომ, რომ მეორე შემთხვევაში სა-
ქმე შეეხებოდა მხოლოდ მის პირად ღირსებას, რასაც იმდენი საზოგადოებრივი მნი-
შენელობა არ ჰქონდა, რამდენიც უფროსის პატივისცემას, უფრო გასაგები რომ გას-
დეს ეს აზრი, მოვიშვილებ ჟეკი ცნობილ ეპიზოდს, როცა დათამ დაშბანა კი დაუ-
მიზნა ჯონჯოლიას, მაგრამ არ ესროლა და უთხრა: „კი ხარ მოსაკლავი, მაგრამ ჩემი
ხელით არ შეიძლება შენი სიკვდილი. იტყვიან, მას რომ ესროლა, იმიტომ მოკლა
თუთაშნიამო. მე რომ ესროლე, ამისათვის კი არ ხარ მოსაკლავი, — ფულის გუ-
ლისთვის კაცის მოკვლა რომ შეიძლება, იმიტომ ხარ სიკვდილის ღირსი და დაიხსომე
ჩემი სიტყვა, შენი სიზარბე და დაუნდობლობა მალე მოგიდგბს ბოლოს“.

არათუ მველელობა, ვისნეს მტრად მოვიდებაც არ სურდა დათა თუთაშნიას.
ახლაგაბრაგებულთ ტოჩი მიქაშავრია ასე დაარბა მან: ტოჩი, ბიჭიო, უღანაშულო
თუ ხარ და შენოაჩტყა ენამემ, საპასუხოდ თუ არ შენოაჩტყი შენც, წყავა ის კაცი
თავის გზაზე და უმჯეღლად იწანებს იმ საქციელს: არ გყავს მტრად ის კაცი, სცოდნე,
შენ. მაგრამ თუ შენოაჩტყამ შენც, მტერია უკვე შენი ის. აბრაგი იმიტომ ხარ ახლა,
რომ სამაგიეროდ გადუხადე, უსამართლოდ რომ მოგკეტა, იმ ადამიანს, და გყავს
მტერი, იცოდნე ესეც. მოაგრობა და კანონია შენი მტერი“.



ზომ არ არის ეს ქრისტიანული მორალის ქადაგება? ანა მკონია, ამ მორალისადმი წინააღმდეგობა კი არ არის დათა თუთაშვიას ზნეობრივი ამოსავალი, არამედ ის უცილობელი ფაქტი, რომ ამ ქვეყანაზე გვერდი-გვერდ ცხოვრობენ და თავიანთ საქმეებს აკეთებენ კარგი და ცუდი ადამიანები, რაც განაპირობებს მათდამი წესიერი ადამიანის განსხვავებულ დამოკიდებულებას. ცუდი კაცები იმიტომ არიან ცუდი, რომ თავიანთი საქმის კეთებისას სხვებს ზიანს აყენებენ, უღირს საქციელს, ბოროტებას სჩადიან. რანდენადაც ისინი, დათა ახრით, აღმამიანთა კრებულის დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ („ამსი ოთხმოცდაათი ცუდ კაცად აღზრდილი მკონია მე“). თუ სიკეთის თესვა გწყურია, ყველას ვერ გაიხდი მტრად — ცუდი კაცები ერთად უმეტესად გავლობენ. იმიტომ ამბობს დათა: „ცუდი კაცს ნურც მტრად ჩათვო, ნურც მოყვარედ. მის გაფუჭებულ საქმეს და მის მტრანად ზიანს უნდა ზედვადე — არაფერს სხვას. ამის უნდა ხედავდე და კარგ საქმედ აქცევდე. სხვები დაინახავენ, კარგია გოგონას აჯობო, მოგებაჲვენ თვითონაც, უკეთესი გახდებიან, ვიდრე იყვნენ. გამრავლდება ასეთი ხალხი და გაუჭირდება ავ საქმეს. ესაა აბრაგის ვალი და ყველა კარგი კაცის ვალი“ — აი ასე მსჯელობდა იგი ცინიდან გაქცევის შემდეგ, უფრო ზუსტად, დაღუპვიმდე ორიოდე დღით ადრე, ამ დისკენამდე ნიჩუყანა დათა თუთაშვილი ცხოვრების გამოცდილებამ.

მტრად არც მუშნი ზარანდიას თვლიდა დათა, თუმცა მხადნაფიცმა ბილაშმა პირდაპირ უთხრა, ეგ კაცი შენი მტერია, მის გამოჩენამდე ბევრი ვდიხს, მაგრამ „მანც, როგორც ვინდოდა, ისე დადიოდი. მაგან ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი დაგახვედრა“. დათამ მშენიერად იცოდა, თუ რა ბილწ, ბინჯურ საქმეებსაც აღრილვებდა მისი მამიდაშვილი: „დასწყავლა ჩემი გზები და ასავალ-დასავალი. მანეს-მიგებს ყველგან, ესაიც ვხედები, ვისთასაც დავდივარ — აფუქებს იმ ხალხს. ზოგს ფულად ყიდულობს, ზოგს შაშით ითანხმებს გაცემანზე, ზოგს თავისით გათახიარებულს მოულობს და ჩემს სადგერად იყენებს. ბოროტებას სჩადის, მოკლედ“. და თუ მუშნის მტრად არ თვლიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მტაცედ იწამა — ცუდი კაცი არც მტრად უნდა მიიჩნით და არც მოყვარედ.

მანც რა საკვირველია ცხოვრება! ერთ მტოზე ეკალიც ამოდის და ვარდიც. ერთ ოჯახში, ერთნაირ ზნეობრივ გარემოში აღიზარდნენ მუშნი და დათა, მაგრამ სრულიად სპირიტუალური მორალური პოზიციებზე კი დადგნენ. დათა ერთი იმამიანია, ვინც ბოროტებას ვერ ეგუება, საყოველთაო სიკეთის მომრავლება სწავია და თავისი ამ მაღალი ზნეობრივი მიზნის განსახორციელებლადაც ცდილობს მარტო ზნეობრივი საშუალებები გამოიყენოს. სულ სხვაა მუშნი. იგი მხოლოდ პირადი აღზევებასათვის ზრუნავს და მზად არის ამისათვის ყოველგვარი სისამაგლე ჩადიხოს, არ ერიდება არც შენატყს, არც სხვა რაიმე უღირს საქციელს. მისი ზნეობრივი კონცეფცია ანუ იტა კონცეფციას ემახვევა — „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ეს პირწადარდნილი კარიერისტი იქამდეც კი მივიდა, რომ ოჯახურ თათბირზე ვინაცხადა, პეტერბურგში დიდ თანამდებობას მაძლევენ და უნებრთულოა, ჩემი მამა აბრაგობდეს, იმიტომ დათა უნდა „თავისი ფეხით მოვიდეს, ჩაგებარდეს და ციხეში ჩაჯდეს“. მხაც ასეთი უნდა, არა?! შენ ციხეში ხუთი წელიწადი დახვე, რადგან მე ვასაქანი მჭირდებაო. თბილისში „ასპარეზია მცირე, ადამიანი ვარ, მეტი მწყურია და მიწა ვიკოდე, რაზე გადის ჩემი შესაძლებლობის ზღვარი“, — უსირცხვილოდ განაცხადა მუშნიმ. ზედავო, მუშნი, თორმე, ადამიანია და მეტი წყურია! კი მაგრამ, დათა ვინდა? მას კი არ უნდა გასაქანი, იქნებ მასაც მეტა წყურია და უნდა? არანაკლებ შემზარავია მუშნის ციხიერება, მისი ცდა, საქმე ისე მოგვაჩვენოს, თითქოს დიდი თანამდებობა საქართველოს საკეთილდღეოდ უნდა, რაც შეიძლება მეტი რომ მისცეს სამშობლოს. „იმ თანამდებ-

ბიბის ამაღლადან მეტი წაშენებულება, ესე ამბობს, თითქოს მანამდე რაიმე გაუქმდა
აქართველოს. და რა მანჩილებლად ყდურს მუშაია მამის მაგალის სიტყვები: *ქვეყნული*
განზრახვითა და დაპირებით ზეგება მოიღწია წაღოლ თანამდებობას, მაგრამ იქ *ბიბლიოთეკა*
მივიდა, შერე ვეღარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება. ასე იცის სანსა-
ზურში ღიღაკობამ, მეფის სამაჟური, მისთვის სასარგებლო და შენი ერისათვის
საზარალო რაც არის, იმას ვაგაკეთებინებს მარტო. ღიღებული ნათვამია, ღიღებუ-
ლი დარეგება!

კიდევ ერთ გარემოებას უნდა გავუსვით ზახი დათა თუთაშხაის ზნეობრივ განვითა-
რებაში. ამ განათლებულმა აბრავმა სხვის საქმეში ჩარევაზე ზელი რომ აიღო, ზეგმა
დაასკენა, ადამიანი შეიძლება, მის გულში სიყვარულია ხეცვლად სიძულვილმა ჩაიბე-
დაო. და არცთუ მთლიად უსაფუძვლოდ. ყანდარჩერიის შეფმა გრაფმა სეგელმ, მავა-
ლითად, მიღებული ინფორმაციების ანალიზით დაასკენა: „დათა თუთაშხაის მოქმედ-
ებაში ადამიანთა მოღვმის მიმართ სიძულვილიც უნდა მკვეთისსა“. ბეგლარ გვალაყ
ამას უსაყვედურებდა დათას: „შეუქცია ზურგა ყველაფერს, გული მოუგელა, გველა
ძე ხორციელი ჩემისთანა და ჩემზე უკეთესი რატომ არ არიას. გასაბრაზებელი და
გასაღვომი რა ქონდა დათა თუთაშხაის, არ ვიცი ე“. დათას პიტყვებშიც გამოკითხდა
პრეტენზიული ტონი: „მგონია, არც ერთი კაცი არაა ქვეყანაზე წისთანა, სხვისი ჩარე-
ვის და დახმარების ღირაი რომ იყოს“, „უკენი არც ერთი არაა ჩენი ჩარევის ღირაი“
და სხვ. გოგაა წილამქმ, ჩემი აზრით, აწორად ახსნა თავისი მეგობრის სულიერი
კრზისის მიზნები და დათას უთხრა: „წენ ადამიანებს ავირდები, ცალკალე პაროც-
ნებებს აიოქვან, ხედავ, რომ არ ვარა კაცი და ამიტომ ბალხზეც ავირეგდა გული...
ხალხი უნდა გაიყნოს და უბეგლად შევიყვარდებო. მაშინ პაროცნებაზეც სხვა თე-
ლით შეჩედვ, კაცი საზიზღარი კი არ არის — ააეოდავი და საბრალოა“.

გეგბ ჯობდა ეთქვა, ზოგი კაცი საზიზღარი კი არის, მაგრამ საბრალოცაო. განა
საზიზღარი არ არის ორი შავრაზმელი. ხაშტებით რომ ჩაყვს საგანგებო ყუთს შე-
ფარებული ქალ-ვაჟი, ხოლო როცა ამ საზიზღარ პორტოტოქმელებს დათა თუთაშხაი
წააწყდა, თრევე დატრა და პკოთხა მათ. რომელს ვინდათ სიცოცხლე, მხოლოდ ერთ-
ერთი აცოცხლებთო; უფრო მსუბუქად დატრეილმა, მართალია, ატეფუ დიდი ზალისით,
მაგრამ მაინც ბიშტიო მიწაზე მაღლურსმა ამხანაგო. საკუთარი სიცოცხლისა ვალხსარ-
ჩენად კაცი რომ ასეთ ააზარელ ნაბიჯს გადადგანს, საზიზღარია, აბა, რა არის?! არ
მესმის, როგორ უნდა ეცოცხლა არა მარტო უდანაშაულო ქალ-ვაჟის, არამედ საყუ-
თარი ამხანაგის წველილსაც. ნეთუ სინდისი არ დატანჯავდა, მუთუ მშვიდად ჰქვს
შეცდებდა! ამიტომაც იფე საცოდვეიც და საბრალოც არაფერი ჰქმნარიტო ადა-
მიანური აღარ წერჩენია!

დათა თუთაშხაია, ეფერებო, ამიტომ არ უნდოდა ადამიანში მტერი დგენა.
მტრებამ სიძულვილი იცის, კეთილ საქმეს კი სიყვარული უნდა, ადამიანის სიყვარუ-
ლი. „კაცი თუ მტრად ჩათვლი; — გაუზიარა თავისი ნაფიქრი დათან ძმადნაფიც
ბიოლა, — შეგძულდება და მისი მოტანილი ზიანის კარგ საქმედ გადაკეთებაში სი-
ძულვილი ვერ გამოადგება ამხანაგად. ამიტომაც, მტრად არ უნდა ჩათვლო ცედი
კაცები. მან ჩათვალოს მტრად, გდითს, გებრძოლოს. ის მღევარა იყოს, შენ —
დევნილა და ხალხი შენს საქციელს მიბაძვს, მხარს დაგიჭერს მაშინ“. ამ მსჯელობა-
ში თითქმის შინაგანი წინააღმდეგობაა — შენ ჩათვლი მტრად ცედი კაცს თუ ის ზავ-
ოელის, მაინც ზომ ერთნანეთია მტრები ხარო, რა გდევნის თუ შენ დევნი, განა
სულელოთი არ არის, ამით ვითომ რა იცვლება? მთავარია, ვინ არის დევნილი თუ
მღევარი, რა კაცი, რას ეაწრადვის ერთი ან ნეთრე, პორტოტებს სინდისი, თუ აცე-
თეს თესავს. მაგრამ დათამ ვაიხვალისწინა ერთი ფსიქოლოგიური ნიუანსი — ხალხი

დევნილს უფრო თანაუგრძნობს, ვიდრე მდეგარს. ცხადია, იმ შემთხვევაში, როდესაც
კარგი კაცია, სიკეთისათვის მებრძოლია. ან ამიტომ ამჯობინა დათამ დევნილობა მდე-
გრობას — ამით მეტ მხარდაჭერასა და თანაგრძნობას მოიპოვებდა.

მაგრამ, მე. მკონი, დათა თუთაშნია ცდებოდა, როცა ამბობდა, ბოროტის ნაგებია.
რის კარგ საქმედ გადაკეთებაში სიძულელი არ გამოდგება, ამას სიყვარული უნდათ.
არ არის ასე. სიძულელი სულაც არაა ცუდი და ხელშემშლელი გრძნობა; მას არსე-
ბობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც სიყვარულს. როგორ შეიძლება არ გძულდეს
ადამიანი, რომელიც გტანჯავს, გამიცირებს, გზაგარავს, ფუხქვეშ თელავს შენს ადამი-
ანურ ღირსებას, როგორ შეიძლება არ გძულდეს ბოროტება, მანკიერება, უხერხულო-
ბეზინი არც ბრძოლის უნარი გექნება და წინააღმდეგობას ვერ გაუწევ, ვერ დაამრც-
ხებ ბოროტებას. ერთი კია: რა პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, სიძულელი სი-
ყვარული უნდა წარმოშობდეს — ჩვენ ხომ იმიტომ გვძულს ცუდი კაცი, რომ კარგი
გვეყვარს, იმიტომ გვძულს ბოროტება, რომ სიკეთეს ვეთაყვანებით. კარგად ჩამოაყა-
ლიბა ეს აზრი ქალბატონმა ნანომ. „სიძულელს, თქვა მან, ერთი აუცილებელი პი-
რობა აქვს: სიყვარულის შედეგი უნდა იყოს და არა, ეთქვათ, შურის, თავკერძობის,
გამდიდრების თუ აღზევების წყურვილის ან სხვა რამ პირადული გრძნობის შედეგი“.

ისიც არ უნდა დაევიწყოთ, რომ სიძულელისაც საზღვარი აქვს და ადამიანს
უნდა შესწევდეს პატიების, მტკიცების უნარი. კაცმა თუ ცუდი საქციელი ჩაიდინა,
მახვდა ამას, იწანა და პატიება ითხოვა, ხელი არ უნდა ვკრათ. სიძულელია ისე არ
უნდა დაგვაბრძოლოს, რომ ადამიანობა დაგვარგოთ, შურისძიებას მიტევება სჯობს. ალა-
მანური შენდობის მარად უკნობ ნიშნად დარჩება ოღონდ გუგამიშვილის საქციე-
ლი: როცა მისი მეუღლის ილია ჭავჭავაძის მკვლელებს სიკვდილით დასჯა მიუთხაგეს,
მან ითხოვა ეს უმაღლესი სასჯელი პატიმრობით შეეცვალათ!

საბედნიეროდ, დათა თუთაშნიას, როგორც ეს არაერთხელ დავინახეთ, არ აკლდა
მიტევების, შენდობის უნარი და ეს, ცხადია, მისი დიდი ზნეობრივი ღირსებაა. ერთ-
ხელ მან შემთხვევით რომელი გაიხსენა, ერთი უცბოლური არაკი და იგი ვაჟა-ფშაველას
„არწივს“ შეადარა. არაქის მიხედვით, დაჭრილ ღონს აფთრები შემოსევია — მოყე-
დება და ლეში ჩვენ დავგრძნობთ, მაგრამ ღონმა მოიკრიბა ძალ-ღონე, წამოუფრინდა
აფთრებს, მათი სისხლის გუბე დააყენა და შიგ ჩავარდა, კრილობა რომ მტრის სის-
ხლით მოეშუშებინა. სულ სხვათა ქართული ლექსის დედააზრად. მას ავტობუს, ნეტავ,
იკითხა დათამ, რატომ არ უფიქრია. „მისი არწივიც რომ წამოუფრენოდა ყვავ-ყორანს,
ბუმბული გაეფანტა მათი და შეება მისცემოდა ამით? რატომ და, ასე რომ ეწნა,
ვაბოროტების და ჯაგრის ამოგრის მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. არ ეწნა მან ეს.
მესამედ გაიმეორებ შეხთვის თუ პირველად წაიკითხავ — არწივის სიბრალული, თა-
ნაგრძნობა გეწვევა კაცს. ჯერ მის მხარეზე დაგაყენებს, ღონემიხილს და განწი-
რულს შეგაყვარებს ლექსით. კაცი, რომელმაც ასე გაიგო ეს ლექსი, უთუოდ დიდი
პატივისცემის ღირსია და, ეკვი არ გეპაჩება, რომ რასაც იგი გააკეთებს, მხოლოდ
სიყვარულით და ჯურის ამოყრას, შურისძიებას ყოველთვის პატიებას ამჯობინებს.“

დათას ზნეობრივი პორტრეტი სრული არ იქნებოდა, თუ იმასაც არ ეიტყვიოთ,
რომ ადამიანის გათხსილების უმთავრეს წყაროდ სიხარბე, მოხევეა და გამდიდრების
დაუოკებელი წყურვილი მიაჩნდა. ხარბი კაცი ოღონდ გამდიდრდეს და, სულერთია,
რა გზითა და რა საშუალებით. სინდისი მას ნებას აძლევს მოკლას კაცი, რომელსაც
იოც პირადად მისთვის, არც სხვებისთვის არაფერი არ დაუშავებია. ასე მოკლა, ღრმა
ხევში გადაჩენა ზეამბამ მოხუცი ღორით თოდლა, მის ფულებს რომ დაპატრონე-
ბოდა. ასევე ფულის გულისთვის დათას თოფი ესროლა მედუქნე ჯიჩხოლიამ, ხოლო
მეწისქვილე ბონიამ დათას მკვლელობა იცისრა. მაინც რა საკვირველია კაცის ბუნება!



ბონიას სრულებითაც არ შერცხვა, დათასათვის რომ ეთქვა: „იცი, შენ, მოგვალის, ბოლოს და ბოლოს ვიღაც მამაძაღლი და მდიდარს და ბედნიერს თუ ერგო ეს ყველაფერი — ღმერთი და სამართალი სად იქნება მამაში?!“ სედავთ, რა აწუხებს ამ სინდის-გარეცხილ ადამიანს? სხვამ თუ მოგვლა, ვიღაც მდიდარმა და ბედნიერმა ეს უსამართლობა იქნება, მაგრამ მე თუ მოგვალი, სამართლიანი, ჩემს გაჭირვებას რაიმე ეშველებოდა. ასე ესმის ზოგიერთს სამართალი და უსამართლობა! მაგრამ რას იზამ. თავს ზევით ძალა არ არის, ადამიანის სიხარბე და გაუშადრობა ძნელი დასაძლევია.

ბედნიერება ის არის, რომ ბონია და მისი მსგავსი ადამიანები კაცთა კრებულის მცირე ნაწილს შეადგენენ, თორემ ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, არიან სხვა ყიდის ადამიანებიც, რომლებიც ძალადი ზნეობით გამოირჩევიან და სხვებსაც ზრდიან თავიანთი მაგალითით. უნდა დავთავაზოთ რომანიის ერთ-ერთ პერსონაჟს ელჩაბაძე კარიჭაშვილს იმაში, რომ „კაცთა მოღვაწის გარეგნულ ნაწილს გახგება ახლის, კეთილის, მშვენიერის შექმნის ენის ანიშებს და ეს ადამიანები შეადგენენ კაცობრიობის ჩაღებს“. ერთი ასეთი „თავით ფეხამდე, სულით ხორცამდე მძებნელი და შემქმნელი პაროქიანა“ დათა თუთაშხია იყო. ცხადია, ბრძოლის მძაფრა ფინი სწორედ ასეთ ადამიანებს სჭირდებათ, რადგან იმანი დაუნდობლად ებრძვიან საკუთარ თავს, რათა რაც შეიძლება სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობანი და, მათსადამე, მეტი მისცენ საღეს, ქვეყანას. ამ გავებით შეიძლება ჩვენც შევევრადეთ ელიზბარის საღვთისმეტყველოს: „ჩველაზე კეთილშობილ, ხანგრძლივ და უღმობელ ომს გაუმარჯოს — ომს საკუთარ თავთან!“

განგებამ ისე იწება, რომ ორი ძმა — ბიძაშვილ-მამიდაშვილი დათა და მუშნი ერთმანეთს შეაჯიბრა საკუთარ შესაძლებლობათა ირთულიად გამოვლენისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით მუშნის ანტიტრესებდა, საღ გადიოდა მისი შესაძლებლობის ზღვარი. ამისთვის იგი უკეთეს პარტნიორს ვერ იპოვდა. გრაფი სევედი გადმოგვცემს: „ამ უდავოდ დიდი ტალანტის ადამიანს თავისი შესაძლებლობების საზომად დათა თუთაშხია ჰყავდა!“ მათი ბრძოლა იყო კეთილისა და ბოროტის კიბილი, რომელიც დათა თუთაშხიას უპირატესობით მიმდინარეობდა. მუშნი ზარანდია მახეს მახეზე უგებდა დათას, უგებდა ჭკვიანურად და საზრანად, მაგრამ იგი, დათა, გვერდს უვლიდა მათ. გახსოვთ, აღბათ, როცა მმანაფიცმა ბილალა მუშნის მტრობაზე ჩამოუვლო სიტყვა. დათამ თქვა: „ვართ ასე. ის თავისას შერბება, მე ჩემსას. ასეც უნდა იყოს ეს... ჩემი კიდევ ერთი გზა მე თვითონ გავაგებინე — ვააკეთოს თავისი საქმე. არაფერი არ გამოუვა ისევ. თვითონ თუ ვერ დარწმუნდა, რომ ვერ მჯობნის და ვერ მიჩვეა, რატომ ვერ მჯობნის — ხალხი დარწმუნდება და ერთხელ კიდევ დაიწინავს, იგი საქმე კარგ საქმეს რომ ვერ აჯობებს საბოლოოდ“.

საბოლოოდ ვერა, მაგრამ დროდადრო ბოროტი არცთუ ისე იშვიათად ჯობის საკეთესს, აწვრთავს ან მოწინაა. დათა თუთაშხიამ კარგად იცოდა, რა ვერა იგი და მუხანათი. რა დაუნდობელი იყო მუშნი ზარანდია, მაგრამ თუ ასეთ არაკაცობას გამოიჩენდა — თოთხმეტი წლის ბიჭს რევოლვერს მისცემდა და მამის მკვლელს გახდიდა, ეს მისცე ვერ წარმოედგინა. და როცა გუდუნამ რევოლვერი ესროლა, ვერ გულისხმობდა გაიკვირვა, „რამ მოაფიქრებინა ეგ!“, მერე კი სინანულით დასძინა: „მაინც მჯობა“. თუმცა დაჭრილი იყო და წამი-წამ სიკვდილი უახლოვდებოდა, თავის თავზე კი არა, ცოცხლად დარჩენილებზე ფიქრობდა და გველაფერი იღონა, შეუძლებელი შეძლო, მის პატარა ბიჭს მამის მკვლელი რომ არ შერქმეოდა, ხალხს ვერ გაეგო რა მოხდა, მაგული ზარანდიას ოჯახს ჩაერქა არ მოცხებოდა მის მკვლელის აღზრდისათვის და მუშნიც პირში ჩაილაგამოვლებული დაეტოვებინა — ხომ მაინც ვერ მოიხელთა აბრავი. იყო და გაქრა კაცო, გაქრა უზოთუკლოდ — არც მკვლელი ჩა-

ნდა და არც მოკლულს გავიძი ეს კი მას ხაზნავდა, რომ ხალხის თვალში ბოროტ-
ტყუარა ვერ გაიზარდვას, ვერა და ვერ ძლია კეთილს. ესეა — ზნეობა და მშვენიერება
ნებიანი კაცია სიცოცხლის უკანასკნელი წუთებშიც კი კეთილშობილებით არის გასწავ-
ლესი...

„მაინც მაგობარ“, სინაწულით ატყდა დიოპ. ატობა კი? ისეთი აღაშინებელი, რო-
გორც დათა თუთაშნიაა, ან კედებიან — მარალ რჩევიან ხალხის ხაოვნაში, ხალხის
გულში, რადგან თვითონ ზნეობა უკედელი და მარადისი, ზნეობა სიკეთეა და, რო-
გორც დიდმა რუსთაველმა ბრძანა, „არსება მისა გრძელია“. სწორად შენიშნა რომანის
ერთ-ერთმა პერსონაჟმა სანდრო კარძემ, რომ ზნეობა შეიძლება ამაღლდეს ან და-
ეცეს, მაგრამ ყოველთვის არის, ხოლო სხვა დანარჩენი ზან არის და ხან არა. „რამ-
დენჯერაც უნდა გაიჩვენეს და დაეცეს კაცთა მოღვათა, — დასძინა მან, — რამდენჯე-
რაც უნდა გაიმეტონ მოსამთხმელ ღმერთებმა იგი, იმდენჯერ გადაიჩინეს გახეება და-
თა თუთაშნიას, როგორც კვეთსა და მაწვნის დედის“.

დიახ, ასეა — თუთაშნიების სიკვდილი არ შეიძლება. ეს ერის, კაცობრიობის მო-
საზრება ტოლი ძეგლებია. ისინი რომ ზნეობის მცდროვნეა არიან. ხოლო, როგორც რომ-
ანისმა ნათქვამი, „ბუნებაში, ალბათ, არაფერია ერთმანეთზე ისე პირდაპირ დამოკი-
დებული, როგორც პაროვნების ზნეობაზე — მისი ერის ბედ-აღბალი, მოქალაქის ზნე-
ობაზე — მისი სახელმწიფოს ავ-კარგი და პირუტყვი“.

დათა თუთაშნია ისე წაუღია ამ ქვეყნიდან, რომ წმიდად აღასრულა თავისი ადამ-
იანური, თავისი ზნეობრივი მოვალეობა. შემთხვევით რომელი გაიხსენა მან სიკვდილის
წინ ეგვიპტა-წინამძღვრის გამონათქვამი:

„ბოლომდე დამწვარი სანთლის ნაღვენით თავისთავადი ცნენიერა და იმ მშვე-
ნიერებასაც გვაგონებს, რაც რბილად მოციმციმე და წყვდიადის შემანგრეველი იყო“.


შეშმარიტად!

„ჩიტის ბუდე“

ქართული საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოთეკას კადრე ერთი საინტერესო კრი-
ტიკული შეემატა. ესაა უდროოდ გარდაცვლილი ცნობილი პოეტის გაორგი სალუქვაძის
ლექსების წიგნი „ჩიტის ბუდე“:

ეს წიგნი პოეტმა ნორჩებს მიუძღვნა. მე კი ამ წყაროთი დიდებს მივბარებ და
მინდა გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება როგორც სარეცენსო კრებულის, ისე მოზა-
რდებში წიგნისადმი სიყვარულის აღზრდის თაობაზე. ერთი წიგნის შექმნა, კარგი წი-
გნი მართლაც დღესასწაულია, მაგრამ მხოლოდ იმის დღესასწაულია, ვისთვისაც წიგნი
ცოდნის ძირითადი წყაროა. დღეა მასობრივი ინფორმაციის მრავალფეროვნების პირო-
ბებში, ბერძნისთვის წიგნი არ არის ცოდნის ძირითადი წყარო. მშობელი ახლა იშვია-
თად უკითხავს ლექსებს და ზღაპრებს ნორჩებს. ახალგაზრდობას უნდა შევავსოთ
წიგნი, უნდა ვასწავლოთ წიგნის კითხვა. ეს რთული და ხანგრძლივი პედაგოგიური
პროცესია. დღეს კიდევ უფრო აქტუალურად ედებს მანამ გორკის მოთხოვნა: „ბავ-
შეებისათვის ისევე უნდა ვწეროთ, როგორც დიდებისათვის, ოღონდ უფრო უკეთე-
სად“. ბავშვებისათვის კარგად დაწერილი წიგნი სწორედ ის ბალეარია, რომელზეც
სწორი პედაგოგიური ხელმძღვანელობით შენდება ჯერ წიგნისადმი მოზარდის სიყვა-
რული და შემდეგ, შესაბამისად, წიგნიერების დიდი კულტურა.

ა. სალუქვაძე ერთგულია სიმბოთა და კლასიკური საბავშვო ლიტერატურული ტრა-
დისიას.

[illegible]

— ბებო, გახსოვს? — ბაბუშე მოაზნა,
ჩემი გულის მწეო,
მზად ვარ შენთვის გადაჩინო
თუნდაც ჩიტის რძეო.
მკვრივ ჩიტის ხომ რძე ანა აქვს,
რეცხვს გამოჩენსო?..

მართალია, ამ კითხვას პირდაპირი პასუხი არა აქვს, — „მაზე შენთვის შეუძლებელს შეძლებს, თვალისწინა“ — მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია, რომ ბავშვს შეეძლოს დაეკვირვება და გონივრულადვე გამოსატყუდეს თავის დაკვირვებას, დაკვირვების საფუძველზე გაიჩინოს ბავშვის მეორე ასეთი შეკითხვა:

„ჩიტო, ჩიტო, ჩიოზა,
ნეტავ ხად გაქვს შინა“.

მთლიანად ბავშვის ცნობისმოყვარეობაზეა აგებული ლექსები „ვიმ არას უფრო ძლიერი“, „კინოფარსკვლავი“, „რა უფრო დიდია“ და სხვა, რომლებიც გაგანისხილ და დაკვირვების სიანგზის დაქტება შექმნილია.

საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს მოზარდი თაობის ჰუმანიტურად აღზრდა, აღმზანანადში სიყვარულისა და შებრალების სულისკვეთება ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ამ თეალსაზრისით გ. საღულქაძე მდიდარ სულოერ საზრდოს აწვდის თავის ქეთხეელებს. ფრიად საგულსხმიო ფაქტად მივეჩნია, რომ პოეტი აღმზანანადში ყურადღების აღზრდის ისეთ კონტექსტში გამოხატავს, როცა მთხლოდწელია ბავშვი აღვიდალ აქყეს. ბავშვურ ცდუეებას ასეთი ცდუნების წანაშე დგას ყოველი ბავშვი, როცა საზატრელს დაუსახვენ და არჩევიანი მსხუა. მაგრამ, გვასწავლის პოეტი, როცა ბავშვის ბუნება სიყვარულითაა გაშიდრებული, იგი ყოველთვის სიკეთეს ინატრებს სხვისთვის.

ადამიანებისადმი სიყვარულისა და ზრუნვის ასწავლის ნორმებს დეკლარაცია და

შვილიშვილი“. თაობათა შორის ურთულესი პრობლემის უმარტივესი საწყისებია გადწყვეტის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ამ ლექსის მარტივი სიუჟეტი:

ერყენული
ხიზლიყმთა

ვინძლო, მალე გამეზარდო,
ჩემო ბიჭო, გოგია,
საცა არის მოვხუცდები,
ქიქა წყალს ხომ მომიტან?
მეორე დღეს ბიჭი წყალზე
წაცუნცულდა კოკითა
და ბაბუას მოუტანა:
— ბაბუ, წყალი ხომ გინდა!

ქუშანისკუჭი საწყისების აღზრდის მრავალ საუკეთესო ნიმუშს იბოვებს მკითხველი გ. სალუქვაძის „ჩიტის ბუდეში“. ყველა მათგანის გარჩევა-დახასიათება შორს წაგვიყვანს.

ბავშვის სამყაროში შეღწევის, ბავშვის ბუნების წარმოჩენის საუკეთესო ხერხს მიაგნო პოეტმა. ეს არის ბავშვის თოჯინასთან დამოკიდებულება, როგორ ხედავს ბავშვი თავის თავს, როგორ რეაგირებს უფროსების რჩევა-დარიგებებზე — ყოველივე ამაში იხატება ბავშვის ხასიათი. მასზე გონივრული დაკვირვება აღმზრდელს უფრო სრულყოფილ წარმოდგენას მისცემს ბავშვის პიროვნებაზე. „თინიკოს“ ლირიკული გმირი თავის თავს თამაშობს თოჯინასთან. გოგონა გაცივდა და ბაბუში არ გაუშვებს, წევს ლოჯიანში და დედოფალს ეთამაშება.

ბავშვის გასაკეთებლად
უსწორებდა ნაწნავებს,
თანაც ეუბნებოდა:
— შვილო, რატომ მაწვალბე?
ასე თმაგაწილი
უნდა დახედე მნახველებს?
ნაყინი რომ შეჭამე,
სწორედ მიტომ გახველებს.

თოჯინა, თურმე, ჯიუტობს, აბებს არ ყლავავს, თერმომეტრის ანლოს არ იკარებს, შეწუხებული „დედა“ ამიტომ საყვედურობს — „შენისთანა შვილისაგან რა იქნება სიკეთე“. შემოდის დედა და ახლა თინიკოსს და დედას შორის მეორდება იგივე დიალოგი. ჩანს, ბავშვი ყურადღებით აღიქვამს მის მიმართ გამოვლენილ დამოკიდებულებებს, იცის, რა არის კარგი და რა ცუდი, მაგრამ ის მაინც თავის სამყაროში, თავისი ბავშვური სამყაროთი ცხოვრობს და წამალს, ტკბილიც რომ იყოს, მაინც მწარედ სვამს: „თიკომ ტკბილი წამალი მაინც მწარედ დალია“. — ამბობს პოეტი და გვიჩვენებს, რომ ბავშვიც პიროვნებაა, რომელსაც საკუთარი, მართალია, ბავშვური, მაგრამ მაინც საკუთარი სამყარო გააჩნია და, რომელიც აუცილებლად უნდა აღმოაჩინოს.

ბავშვი სიხარულით ცხოვრობს. პოეტიამ ეს სიხარული უნდა მიანიჭოს მას. გ. სალუქვაძის ლექსებიც საესეა ამ სიხარულით. მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, ლექსები, რომლებშიც ბავშვისადმი დამოკიდებულება ისახება. ეს დამოკიდებულება აუცილებლად უნდა იყოს ზომიერი, ხალისიანი და შინაარსიანი ამ სიხარულს ბავშვი მთელი სისხვით აღიქვამს და ასევე უსაზღვრო ერთგულებით პასუხობს მას.

თითქოს ფრთები გაეშალა,
სიხარულით ფრინავდა —

სარეცენზიო კრებულში გვხვდება შეგონებები და სენტენციები, რომელთა უმრავლესობის შინაარსი ადგილად მისაწვდომია სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. სწორედ ადრეული ასაკიდან უნდა შეითვისოს ბავშვმა იმის სიბრძნე, რომ „რაც მოგივა დავითათ, ყველა შენი თავითათ“, „არ დაივიწყო, სად დაიბადე, დედა გასოფლეს ყველაზე მეტად“, „ყველაფერი, ყველაფერი შენი როგორ იქნება“, „დიდს და პატარას რა დაღვეს, ჩემზე პატარა ბუზია“, — თავს რომ იწონებს პატარა ჭინჭრაქა: „კატა, კატა, რომც მოკვდეს, მაშინაც არ გაეკაროთ“ — არიგებს გამოცდილი დედა თავის წრუჭუნას, რომ „ყველა საქმე კარგი არის, თუ საქმეში ჩადე გული“.

ჩვენ წიგნის სიყვარულის აღზრდაზე ვლაბარაობდით და მავთუთებდით მის ერთ-ერთ წყაროზე — კარგ წიგნზე. მხედველობაში გვაქვს ის, რომ წიგნის შინაარსი დამშვენებული უნდა იყოს მაღალმხატვრული ფორმით და, ორივე ერთად, უნდა წარმოქმნიდეს მიმზიდველ ძალას. გ. სალუქვაძე თავის მკითხველს ესაუბრება და ასწავლის დახვეწილი მხატვრული სახეებით: „შთაბეჭდავი სურათებით, რაც ხელს უწყობს მოზარდში, მხატვრული აზროვნების უნარის განვითარებას. ამის საუკეთესო ნიმუშია „ალუბალი დამწიფდა“, „მზე“, „გოლიათი“, „იხვი და მისი ჭუკები“, „ხათუნა“, „წვეც და ძინავს“, „ბახაობა“, „თოვლი მოვიდა“, „მგელი“, „თინკო“ და სხვ. ლექსის სილამაზეს, მის სურათოვნებას აძლიერებს და სარულყოფს ასეთი სურათები: „და იბილათ ლუჩქ ტალღებზე თოლიების თოვას“, „წამოდი, ნახე, ტალღები კენჭებზე როგორ მღერაინ“ და სხვ.

საბავშვო ნაწარმოებებს ამშვენებს ენის გასატეხები და იდიომები. გ. სალუქვაძის ლექსებში ესეც ზომიერად არის წარმოდგენილი. მაგ. „როცა სკოლიდან მზია მოვიდა, ეკა ბებიას მზე ამოვიდა“ ან „დაიღალა მწესუმზირა, — სადამომდე მზეს უმზირა“ და სხვ.

გ. სალუქვაძის ლექსებში ზედწიგნად ერწყმის ერთმანეთს პოეზიის მაღლი და პედაგოგიური აღღო. ამ ორი ძალის შეერთება სარეცენზიო კრებულის ერთ-ერთ ნათვარ და ძირითად ღირსებად მიგვაჩნია.

იუზი გიგიშვილი

გასულ ორ თვეში

ბათუმში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის ძეგლი

გასული წლის 11 დეკემბერი ბათუმში უდიდესი კულტურული მოვლენით აღინიშნა.

ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ, სადაც ლენინისა და რუსთაველის ქუჩები კვეთს ერთმანეთს, შეიკრიბნენ მუშა-მოსამსახურენი, ინტელექციისა თუ ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ისინი მოუთმენლად ელოდნენ იმ მამულიშვილის ძეგლის ხილვას, ვისი სახელაც ესოდენ ძვირფასია მთელი ერისათვის, შემოქმედისა, ვინც იარები დაუამა გადამთიელთა თარეშობისაგან წამებული უძველესი ქართული მიწის შვილებს, არა მარტო მოეფერა, არამედ საქმით დაუმტკიცა თანადგომა, ცოდნა-განათლების ჩირაღდნით თავს მოხვეული ბურჟუასაგან დაიხსნა.

განუწმენდა ილია ჭავჭავაძის ამაგი, და დადგა ის დღეც, მაღლიერმა შთამო-

მაგლობამ სულიერ მოძღვარს, დიდ პატრიოტსა და საზოგადო მოღვაწეს ძეგლი რომ ააღუშართა.

ძეგლის გახსნისადმი მოძღვნილი საღმრთო მითინგი გახსნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ემარიძემ.

ქალაქ ბათუმს, — თქვა მან, — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უდიდესი პატივი და ბედნიერება სჯდა წილად. აქ დაიდგა ბუმბერაზი ადამიანის ძეგლი — უცვალებისა და ხალხის პატივისცემის სიმბოლო. ილია ქავავაძის შემოქმედება უცვადა, იგი ეროვნულიც არის და საკაცობრიოც, დღესაც ეხმარება ცხოვრებას, ხამარადისო პრობლემებს, სიკეთეს, ბედნიერებას, პუმანაზს, ქმობას, თანაცხოვრებას.

როგორც ვახუშტი საუკუნის ქართული ინტელიგენციის მამამთავარმა და ერის წინამძღოლმა, დიდი ამაგი დასდო 300 წლიანი ტყვეობიდან დედანსამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის აღორძინებას; გათვითცნობიერებას, განათლებასა და კულტურის განვითარებას. მის სახელს უკავშირდება ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნა, სხვა მრავალი სიკეთე.

ყოველივე ამით დიდმა მამულიშვილმა თავასთავად აიგო ძეგლი ბათუმში, აჭარაში მცხოვრებთა ყველა ოჯახში, ესოდენი პატივისცემა და მაღლიერება სულმნათი ილიასადმი სიმბოლურად გამოისახა ბრინჯაოს შეხანისწავ მოწემენტურ ქმნილებაში, რომელიც გამოირჩევა ღრმა იდეური ჩანაფიქრით, მაღალი სამშემოსულებლო ოსტატობითა და დიდი შინაარსით.

თითქმის ისევე, თქვა შემდეგ ორატორმა, როგორც ამ ასი წლის წინათ, ჩვენთან ჩამობრძანდა სულმნათი ილია, გადმოგვყვინა მისი ნათელი შუქი, მოგვანიჭა სიბორო, დაბრძანდა ტახტზე დიდებული მოძღვარი და მოგვარწოდებს კაცური კაცობის, სამშობლოსათვის თავდადების, შრომის, სიკეთის, სათნოებისაკენ, გვეხმარება წინსვლაში, გაჯანსაღებაში, დაჩქარებასა და გარდაქმნაში.

თავით ხალხმა დაადგა ღირსეულ შვილს და აღმწრდელს ეს გვირგვინი, რომელიც უქრობი ჩირადღანივით გაუნათებს გზას ახალ თაობებს.

მზიური, განახლებული, აღორძინებული და აყვავებული აჭარა ილია ქავავაძის ოცნება იყო, აღსრულდა კიდეც ეს ოცნება და დღეს ჩვენი ქალაქის საუკეთესო ადგილი დაიშვენა მისმა ძეგლმა. ეს მოვლენა სამუდამოდ დარჩება აჭარის ისტორიაში, როგორც მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი.

ნება მიბოძეთ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს, აჭარის ყველა მშრომელის სახელით უღრმესა მაღლობა ვუძღვნა ამ დიდებული ქმნილების ავტორებს — სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს ელგუჯა ამაშუკელსა და სსრ კავშირის სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატს, რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს პროფესორ ვახტანგ დავითაიას, ვუსურვოთ მათ ჯანმრთელობა, ახალი შემოქმედებითი მიღწევები ქართული საბჭოთა ხელოვნების საამაუოდ და სადიდებლად, დაე, კიდეც ბევრი შესანიშნავი ქმნილებით დაემშვენებინათ ჩვენი მამული.

მინდა, ეს სასიხარულო დღე მივულოცო ქალაქ ბათუმის, ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებიც სათუთად ინახავენ და თვალისწინით უფრთხილდებიან ილია ქავავაძის ძეგლსა და ხსოვნას.

ღმრთი გაკრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი დ. ხაზუთაიშვილი, უფროსი მეცნიერი გიორგი რედაქტორი ა. სამხონია, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი თ. ანდლუაშვი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი დ. ზალვაში, მანქანათმშენი ქარხნის ხარაბი გ. ლომაძე, პოეტი შ. ზოიძე, პარტიის ვეტერანთა აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. გელაძე, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ი. სანიძე.

მიტინგი ლიტერატურულ-მხატვრული მონტაჟით დასრულდა ბათუმის ი. ქავჭავაძის სახელობის № 4 და ხევა სკოლების მოსწავლეებმა, მონუმენტის ევარცხლებეს კი ნაირფერად დაეფინა ყვავილების თაფულები.

ლტპარპოზს და უჩვეულებას ბათუმში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავის იუბილის წინ საზღვიმოდ გაიხსნა აჭარის ტელევიზია. ამ მოვლენას მიემდევნა საზღვიმოდ შეკრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა გ. ემირიძემ.

შეკრებილთ ღირსსახსოვარი დღე მიულოცეს პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ახვლედიანმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა პოეტმა ფ. ზალვაშმა, სტუდენტმა მ. ჩოხრაძემ, დრამატურგმა ა. ჩხაიძემ, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ღარაბაგმა.

აჭარის ასსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლექტივის სახელით მადლობა გადაიხადა კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბოლქვაძემ.

„საბავშვო აპარატი“ გამოსცა

რაც დრო გადის, სულ უფრო მძლავრად გაიხსნა დიდი ქართველი მწერლის, მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის ილია ქავჭავაძის გულის ხმა:

„მარად და უფელგან, საქართველო, მე ვარ შენათნა!“. მისი „თანამდევნი უკვდავი სული“ ისე არასდროს დაუფლებია ქართველობის გრძნობა-გონებას, როგორც ახლა, როდესაც კვლავ მთელი სიმძაფრით დადგა ჩვენი ერის სულიერი განახლებისა და აღორძინების, შემდგომი წინსვლისა და განვითარების პრობლემები. ილია ქავჭავაძე იყო, არის და მუდამ იქნება აჭარის შემწე, მისი დაუცხრომელი მოქირან-ხული.

ამას გვიამბობს აკაკი შონიას ლიტერატურული ნარკვევი „აჭარის მოქირან-ხაული“, რომელიც გამოცემილია „საბავშვო აპარატ“ მთავრად მკითხველებს დიდი ილიას საიუბილეოდ. ნარკვევს წამდვარებული აქვს თვით ილიას წერილი „ოსმალის საქართველო“ და მიმოხილვები აჭარის შესახებ.

წიგნის რედაქტორია ა. ახვლედიანი.

...

მკითხველმა ილია მწერალ ვახტანგ ახვლედიანის ნოველების კრებული „მოქირა“.

ვ. ახვლედიანის პირველი ნოველი ამ ოცი წლის წინათ დაიბეჭდა ახალგაზრდა მწერლების კრებულში „საოვერბთან“. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები ხისტმატურად ქვეყნდება რესპუბლიკურ უფროსალ-გაზეთებში და მკითხველთა ცხოველი ინტერესითაც ხარგბ-

ლობს. დღეს იგი ათამდე წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, ბულგარულ და ფინურ ენებზე.

კრებულში შეტანილი ნოველების ლაიტმოტივი მშობელი მიწისა და საღვთის სიყვარულია. ნოველების გმირები ჩვენი თანამედროვენი არიან. ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და შრომობენ.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალაიშვილი. მხატვრულად კი თვით ავტორმა გააფორმა.

მწერლები ბუროსტუმბახს

საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების გამგეობასთან არსებულმა მხატვრული ლიტერატურის პრობლემის ბიურომ ტურისტულ კომპლექს „მეხსენები“ მოაწყო ლიტერატურული საღამო თემაზე „აქარის მწერლები — ხუთწლეულები“.

ქართული ლიტერატურის მდიდარი ტრადიციები და მეთორმეტე ხუთწლეულის პროგრამის განხორციელებაში აქარის მწერალთა ამოცანები გააშუქა საქართველოს მწერალთა კავშირის აქარის განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა პოეტმა ფრ. ხალვაშმა.

მწერლებმა მ. ვარშანიძემ, ჯ. ჯაფარიძემ, რ. სურგულაძემ, გ. ჯაფარიძემ, ა. ბარაკეს თავიანთ შემოქმედებით გაუმეგზეს, წაიკითხეს ახალი ნაწარმოებები და ხასტურის კოლექტივს, ჩვენი რესპუბლიკის სტუმრებს უსახსოვრეს თავიანთი ავტოგრაფიანი წიგნები.

ფოტოგამოფენა

ახლო ჩანტლადის მხატვრული ფოტოები ხშირად ქვეყნდება ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მისი ინიციატივით ჟურნალ „ქორიზის“ რედაქციასთან ჩამოყალიბდა ფოტოკლუბი „კახაბერი“.

ახლანა აქარის მხატვართა კლუბში აქარის ახსრ კულტურის სამინისტროს სახლური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მეშეობის საოლქო-სამეცნიერო ცენტრმა მოაწყო ა. ჩანტლადის ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა.

მსაზველთა მოწონება დამსახურთა თანამედროვეთა პორტრეტებმა, აქარის პეიზაჟებმა, ჩვენი კლუბის მშრომელთა საქმიანობის ამსახველმა მხატვრულმა ფოტოებმა.

გორეანის 1-ლ გვერდზე — ფრაგმენტი ილია ჭავჭავაძის ძეგლისა ბათუმში.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. ღარიბაიძე.

681/38



წაკ 40 წწ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118